ბაზეთი გამოდის 1999 წლიდან

ქართველობის გადასარჩენად

# ილორი



E-mail: r.jalagania@mail.ru

№186 (245) 4-11 სექტემბერი 2012 სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო 30 თეთრი

# სომეხი მეცნიერები ვარძიასაც გვედავებიან?

**სიმართლე გითხრათ, უკანასკნელ პერიოდში საკმაოდ ინტენსიურად ვაქვეყნებთ წერილებს სომხური ექსპანსიის თაობაზე, რასაც უკვე სომხები მათი თანამემამულე მიშა სააკოვის ხელით აკეთებენ საქართველოში და მართლაც რომ უზნეოდ გვედავებიან უამრავ ქართულ ფენომენს, ქართულ ეკლესიებსა და ისტორიული მხარეების დაჩემებაზე რომ არაფერი ვთქვათ. გაზეთ "ილორის" მთავარმა რედაქტორმა როლანდ ჯალაღანიამ და ჟურნალისტმა დავით ქობალიამ რამდენიმე წიგნიც კი მიუძღვნეს ქართულ-ინგლისურ ენებზე სომეხთა მზაკვრულ მოქმედებებს საქართველოში, რაც კიდევ ერთხელ მეტყველებს იმაზე, რომ სომხები აშკარად ჩამორჩებიან კულტურაში ქართველებს და ჩვენი ისტორიული ძეგლების უტიფრად მითვისებით ცდილობენ საკუთარი კულტურის დეფიციტის კომპენსაციას.**

**სწორედ იმან შეაწუხა უზომოდ სომხები, რომ მათი ავკაცობის მამხილებელი წიგნები ინგლისურ ენაზე გამოიცა და უსასყიდლოდ დარიგდა ევროპის ქვეყნებში და ევროპარლამენტშიც კი. თავი იმით დაიცვეს, რომ წიგნის ერთ-ერთი ავტორი – როლანდ ჯალაღანია, ცნობილ რეჟისორებთან რეზო ჩხეიძესა და რობერტ სტურუასთან ერთად არმენოფობად გამოაცხადეს.**

**საერთოდ, საქართველოს და ქართველ ერს მისი ხელისუფლება უნდა იცავდეს გადამთიელთა ამგვარი თავხედური შემოტევებისაგან, მაგრამ როგორ შეიძლება სომეხი სააკაშვილისა და მის ხელისუფლებაში მოკალათებული 150-ზე მეტი ქართულ გვარს ამოფარებული სომხების იმედი გქონდეს, რომლებიც უკვე დაუფარავად აკეთებენ სომხურ საქმეს ქართველებისა და საქართველოს ხარჯზე. ერთ-ერთი ასეთი მზაკვრული გეგმაა ქართული მოსახლეობისათვის ცხოვრების აუტანელი პირობების შექმნა, რათა მათ ლუკმა-პურის საძებნელად მიატოვონ სამშობლო და შორეთში გადაიხვეწონ სამუდამოდ. მათ ადგილებზე კი განზრახულია ბურების, ჩინელების და სხვა გადამთიელთა ჩამოსახლება და საქართველოში დასამკვიდრებლად მათთვის სასათბურე პირობების შექმნა. მათთვის ხომ სულ ერთი იქნება, საქართველოს სომხები დაეპატრონებიან, ესკიმოსები თუ ტაჯიკები!**

**სააკაშვილმა უკვე შეასრულა საქართველოს დანგრევის ხარჯზე "დიდი სომხეთის" აღორძინების ვერაგული გეგმის პირველი ნაწილი – აფხაზეთი და სამაჩაბლო უკვე სამუდამოდ მოწყდნენ საქართველოს. აფხაზეთში ადრე რომ 16 ათასი სომეხი ცხოვრობდა, ახლა მათი რიცხვი 80.000-ს აღწევს და ეჭვი არ უნდა შეეპაროს ვინმეს, რომ რამდენიმე წელიწადში სომხები აფხაზეთს სომხეთის ნაწილად გამოაცხადებენ. აჭარა უკვე თითქმის გათურქებულ-გასომხებულია. ახლა კი სააკაშვილს დარჩა ჯავახეთის სომხებისათვის გადაცემა და ამიტომ ცდილობს ყოველი დაუშვებელი გზით საქართველოს ხელისუფლებაში დარჩენას. ყველაზე სამწუხარო კი ის არის, რომ ქართველთა ბრიყვ ნაწილს (ჩვენდა საუბედუროდ, ამგვარი ქართველების რიცხვი საკმაოდ დიდია) ჯერ კიდევ ვერ შეუგნია, რომ მიხეილ სააკიანცი და მისი სომხური გარემოცვა საქართველოს დამაქცევარი ძალაა და არა მისი აღმშენებელი.**

**სომხეთა გველაძუობის დასტურად ვბეჭდავთ ინტერნეტსაიტ "ამბები.ge"-ზე გამოქვეყნებულ ინტერვიუს, რომელიც ჟურნალისტმა ნინო კვიტაიშვილმა ჩამოართვა ცნობილ ქართველ მეცნიერ-არმენოლოგს, პროფესორ ბატონ ბონდო არველაძეს:**

ორი მეზობელი ხალხის – ქართველების და სომხების ურთიერთობის ისტორია შუქჩრდილებით არის სავსე... იყო ბრძოლა საერთო მტრის წინააღმდეგ, მაგრამ იყო ურთიერთდაპირისპირება, ომიც. სამწუხაროდ, სომეხი მეცნიერები ხშირად მიკერძოებულად აშუქებენ ისტორიულ, არქეოლოგიურ, ლიტერატურულ საკითხებს. ხან ქართული ლიტერატურისა თუ არქიტექტურის ნიმუშები ცხადდება სომხურად, ხან – **"სუხიშვილების"** ანსამბლი; ბოლო ხანს ამ გრძელ სიაში ღვინო **"საფერავი"**, ხაჭაპური და ჩურჩხელაც კი შეიტანეს, როცა ვენახი მათთან ახლახან შევიდა, როგორც სასოფლო-სამეურნეო კულტურა და მკაცრი ყივნების გამო ზამთარში მას მიწას აყრიან და ისე ინახავენ, რომ არ გაიყინოს... საქმე იქამდე მივიდა, ზოგიერთმა სომეხმა ისტორიკოსმა უნიკალური ქართული სამონასტრო კომპლექსი – ვარძია – სომხურად გამოაცხადა. ამ პრობლემაზე არმენოლოგი, პროფესორი ბონდო არველაძე გვესაუბრება.

– სომხურ სამეცნიერო წრეებში კარგა ხანია დამკვიდრებულია აზრი, თითქოს ვარძია არის სომხური წარმომავლობის ტოპონიმი. ამ საკითხს არ ჩავუღრმავდები, მხოლოდ ხელოვნებათმცოდნე სამველ კარაპეტიანისა და აკადემიკოს აშოტ მელქონიანის ბოლო წლებში გამოქვეყნებულ მოსაზრებებს განვიხილავ ამ ტოპონიმის შესახებ. ქართველი საზოგადოება, ასე თუ ისე, იცნობს სამველ კარაპეტიანს. იცნობს იმით, რომ მან **"სახელი გაითქვა"** ქართული ეკლესიების სომხურად გამოცხადების საქმეში. ამის დასტურად კმარა მის მიერ სომხურ ენაზე გამოცემული რუკა-ცნობარი – **"სომხური ეკლესიები საქართველოში"**. 1995 წ.), ამ ე.წ. მკვლევარმა, არც აცივა, არც აცხელა და, 653 **"სომხური ეკლესია"** აღმოაჩინა საქართველოში, არადა, მათგან 80 პროცენტი მაინც ქართული ეკლესიაა და სომხურად არის წარმოჩენილი (იხ. ჩვენი მონოგრაფია – **"სომხური" თუ ქართული ეკლესიები საქართველოში?!"** 1996 წ.). კარაპეტიანმა ესეც არ იკმარა და 2001 წელს გამოსცა წიგნი – **"საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკა და სომხური კულტურის ძეგლები"**. თუ რა **"ობიექტურად"** არის დაწერილი ეს წიგნი, ამაზე არ შევჩერდები, ერთს ვიტყვი მხოლოდ – კარაპეტიანმა, რბილად რომ ვთქვათ, აუგად მოიხსენია საქართველოს პატრიარქი ილია II და ქართველ ერს **"ცივილიზაციის დამანგრეველი ერი უწოდა, აზერბაიჯანელ ხალხთან ერთად"**; ამ პასკვილზე სათანადო პასუხიც მიიღო. ეს ე.წ. მეცნიერი, რომ იტყვიან, შემოჩენილია და ქართველი ხალხის მოთმინებაზე თამაშობს. ექვსი წლის წინ, 2006 წელს, სომხურ ენაზე გამოსცა 590-გვერდიანი წიგნი – **"ჯავახქ"**. საქმე ის არის, რომ სომხები ქართულ ჯავახეთს – ჯავახქს უწოდებენ, რადგან თავისად მიაჩნიათ. კარაპეტიანის **"მეცნიერულ ობიექტურობაზე"** მეტყველებს ის, რომ ამ მონოგრაფიაში მე-10 საუკუნის ქართული საკათედრო ტაძარი – კუმურდო, სომხურად გამოაცხადა, ხოლო მისი აშენების ინიციატორი – ქართველი მართლმადიდებელი, დიოფიზიტი, იოანე ეპისკოპოსი სომეხ მონოფიზიტ ჰოვჰანეს ეპისკოპოსად აქცია. ღვთისმშობლის სახელობის კუმურდოს ტაძარი, სომეხი წმინდანის **"სურბ-ჰამბარძუმის"** სახელზე გადანათლა!

– რის საფუძველზე, რა არგუმენტებით ამტკიცებენ ვარძიის სომხურ წარმომავლობას?

– წიგნში **"ჯავახქ"** X-XIII საუკუნეების კლდეში ნაკვეთ ციხე-ქალაქ ვარძიას ავტორი ვარძუნიქს უწოდებს და პირდაპირ მიანიშნებს მის ვითომდა სომხურ წარმომავლობაზე. აგრეთვე, ცდილობს თავის სასარგებლოდ გამოიყენოს ის ფაქტი, რომ ისტორიული წყაროებით, ქართველი ლაშქარი ზაქარია მხარგრძელის მეთაურობით სპარსეთში სალაშქროდ გამგზავრების წინ ვარძიის ღვთისმშობლის ტაძარში დალოცა თამარ მეფემ. ვინაიდან ზაქარია მხარგრძელი იყო გასომხებული ქურთი, ამით ვაი-მეცნიერი გვეუბნება – თურმე ქართულ ლაშქარში წამყვანი ძალა სომხები იყვნენ და ქართველები ომში გამარჯვებებს მათ უნდა ვუმადლოდეთ. ამიტომ **"სომხურ-ქართული"** ლაშქარი უწოდა და თამარ მეფის მიერ დალოცვილ ლაშქარს. ასე კი ფიქრობს კარაპეტიანი, მაგრამ საკითხავია, იყვნენ კი სომეხი მეომრები ქართულ ლაშქარში? და თუ მონაწილეობდნენ, როგორი **"ერთგულებით"** იბრძოდნენ?! სომხური **"ერთგულება"** გამოჩნდა გარნისის ბრძოლაში 1225 წელს, როცა ზაქარია მხარგრძელის ძმამ, ივანე ათაბაგმა უღალატა შალვა ახალციხელს და მტერს ჩაუგდო ხელში. ეს ღალატი ქართველმა ხალხმა ვერ დაივიწყა და შექმნა უკვდავი სიმღერა **"შავლეგო"**... ან ტაძარში თამარ მეფის მიერ **"სომხურ-ქართული"** ლაშქრის დალოცვაზე ლაპარაკით იმის თქმა ხომ არ სურს კარაპეტიანს, რომ ვარძიის ღვთისმშობლის ტაძარი სომხურია?! ალბათ, ფიქრობს, რომ მონოფიზიტი ზაქარია მხარგრძელი სომხურ ტაძარში დალოცა ქართველმა მეფემ. ისე რა გაუჭირდა თამარ მეფეს, რომ თავისი ლაშქარი **"სომხურ"** ტაძარში, **"სომხური"** ჯვრით დალოცა?! რა, ქართული ტაძარი აღარ იყო, რომ იქ გადაეცა ეროვნული დროშა? რა თქმა უნდა, ვარძია და მისი ღვთისმშობლის ტაძარი ოდითგანვე იყო ქართული. ამიტომაც ჩაატარა იქ თამარ მეფემ ლაშქრის საომრად გაცილების ცერემონია.

სამველ კარაპეტიანს მოყვანილი აქვს ვარძიის ქართული ეპიგრაფიკა, მაგრამ ის XII-XIII საუკუნეებს ეკუთვნის და მისთვის არაფერს ნიშნავს. მისთვის მთავარია, ტოპონიმი **"ვარძუნიქ"** რომ სომხურია.

და თუ კარაპეტიანმა, ასე თუ ისე, ვარძია პირდაპირ არ გამოაცხადა სომხურად, ეს ერთი ხელის მოსმით გააკეთა აკადემიკოსმა აშოტ მელქონიანმა ნაშრომში **"ჯავახქ"**, რომელიც შესულია კრებულში **"სომხეთის ჩრდილოეთის კარიბჭე – ჯავახქი, ლორი"**, 2010, ერევანი, გვ. 19-39, (სომხურ ენაზე). აქ მელქონიანი წერს: **"ჯავახქი III-IV საუკუნეებში იყო გუგარქის შემადგენლობაში, მაგრამ დამოუკიდებელი ერთეული იყოო** (სომხები გუგარქს – ქართულ გოგარენს, ქვემო ქართლს უწოდებენ – ბ.ა.) **ჯავახქში ნახარარები** (თავადები). **იყვნენ ვარძუნის გვარის სანახარაროს სახლის წარმომადგენლები. არშაკუნიანთა სომხეთის პერიოდში, მათ განსაკუთრებული ადგილი ეკავათ. "გაჰნამაკ"-ის სიაში ვარძუნები 70 ნახარარებში მოხსენიებულნი არიან 23-ე ადგილზე". "გაჰნამაკი"** იყო ხელნაწერი სია, რომელშიც აღნიშნული იყო ომის დროს, რომელ სომეხ ნახარარს (თავადს) რამდენი მეომარი უნდა გამოეყვანა.

მელქონიანის აზრით, სწორედ ამ გვარიდან, **"ვარძუნებიდან"** მოდის ვარძიის სახელწოდება. იგი ასეთ მოსაზრებას გამოთქვამს, მაგრამ დამოწმებული არ აქვს საარქივო ან საისტორიო წყაროები და ზეპირად, ჰაერზე აცხადებს. ვარძუნები მართლაც იყვნენ სომეხი თავადები, მაგრამ პროფესორ ადონცს, რომელსაც მელქონიანი იმოწმებს, არსად უწერია, ვარძუნები მაინცდამაინც ჯავახეთის მკვიდრნი იყვნენ ან იქ მიწები ჰქონდათო. ასე რომ, მათი გვარიდან ტოპონიმ **"ვარძიის"** მიღება გამორიცხულია.

ქართველ მეცნიერთა შორის ვარძიის შესახებ არსებობს სხვადასხვა აზრი, მაგრამ მათგან ყველაზე მისაღებია პროფესორ მერაბ ბერიძის მოსაზრება. მას მოჰყავს საქართველოში ვარძიის პარალელური ფორმების მქონე ტოპონიმები: ტან-ძია, ხურ-ძია, ალან-ძია, ტორნა-ძია და სხვ. ახალქალაქის რაიონში არის ნასოფლარი – ვარძია, ვარზა (შეადარეთ ქართული გვარი – ვარძელაშვილი, რომლის ძირი არის ვარძია. წინააღმდეგ შემთხვევაში იქნებოდა – ვარძიელაშვილი). ფორმა ვარძა ივანე ჯავახიშვილის მიერ დამოწმებულია ტოპონიმ ვარძაგარაში. ისტორიკოსი დევი ბერძენიშვილი ამბობს, რომ ვარძაგარა შედგენილი სახელია, ისევე როგორც – დმანისისხევი, სამაგარა, წინაგარა მეჯუდას ხეობაში. ამ სახელის მეორე ნახევარში გვხვდება აგარა, ესე იგი, ვისიმე კუთვნილი სოფელი, ყანა, ველი. **"ვარძ"** ფუძე თავს იჩენს ტოპონიმებში – ვარძ-ვარძია, ვარძანეთი, ისე როგორც სიტყვაში – სავარძელი. ივანე ჯავახიშვილი მიიჩნევდა, რომ ვარძ-ვერძ მამაკაცისა და მამალი ცხოველის აღმნიშვნელი იყო.

ზემომოყვანილი ტოპონიმური მასალა მოწმობს, რომ ვარძია ქართულ ნიადაგზე წარმოქმნილი ტოპონიმია და მისი სხვაგვარი ახსნა ფაქტებზე ძალდატანებაა და მეტი არაფერი.

აღმაშფოთებელია ისიც, რომ სომხურ ენაზე გამოცემულ **"სომხეთის და მისი მიმდებარე ტერიტორიების ტოპონიმთა ლექსიკონის"** მე-4 ტომში ვარძია ასეა განმარტებული: **"ციხე-ქალაქი თბილისის გუბერნიის ახალციხის რაიონში. ახლა საქართველოს შემადგენლობაშია"**.

ესე იგი, ვარძია სომხური იყო და ახლა არის საქართველოსი?

## ცნობისათვის

**ვარძია** – კლდეში ნაკვეთი სამონასტრო კომპლექსი XII-XIII საუკუნეების ქართული მხატვრული კულტურის ძეგლი. მდებარეობს ისტორიულ ჯავახეთში, ასპინძის რაიონში, ასპინძიდან 30 კილომეტრში, მდინარე მტკვრის მარცხენა ნაპირზე... ის 1185 წლის 15 აგვისტოს, თამარის მეფობის ხანაში აკურთხეს. სამეფო მონასტერი დიდ როლს თამაშობდა ქვეყნის პოლიტიკურ, კულტურულ და ეკონომიკურ ცხოვრებაში.

რაც შეეხება სომეხ ვაი-მეცნიერთა მტკიცებულებებს: **"ეს ე.წ. მეცნიერი, რომ იტყვიან, შემოჩენილია და ქართველი ხალხის მოთმინებაზე თამაშობს"...**



# ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა ფესვები

# აფხაზთა და ქართველთა გმირი




ვიტალი დარასელია ცოცხალ ლეგენდად შემორჩა ქართულ ფეხბურთს. სამწუხაროდ, მას არ დასცალდა

მთლიანად გამოევლინა საკუთარი შესაძლებლობები, რადგან 25 წლის ასაკში ტრაგიკულად დაიღუპა.

სპორტის ექსპერტები უკვე აღარ კამათობენ ერთ საკითხზე — სწორედ ვიტალი დარასელიას, ამ მსოფლიო მასშტაბის ნახევარმცველის სიკვდილი გახდა იმხანად უძლეველი თბილისის "დინამოს" უკუსვლის მიზეზი. მქუხარე სახელს, გამარჯვებებს მიჩვეული გუნდი ერთბაშად მოეშვა, მარცხს მიეჩვია და საბჭოთა კავშირის ჩამპიონატზეც კი, ლამის ხელწამოსაკრავ გუნდად იქცა.

ოჩამჩირის "ამირანში" დაიწყო ფეხბურთის თამაში, მაგრამ იქ დიდხანს არ გააჩერეს. იმდენად მასშტაბური იყო მისი შესაძლებლობები, რომ 1975 წელს თბილისის "დინამოში" გადმოიყვანეს. მანამდე კი, საქართველოს ჭაბუკთა და ახალგაზრდულ ნაკრებებში არაერთხელ ჰქონდა დამტკიცებული თავისი ასაკისთვის შეუფერებელი მაღალი ოსტატობა. "სოვეტსკი სპორტის" მთავარი რედაქტორი ვიქტორ პონედელნიკი, რომელიც წარსულში დიდი ფეხბურთელი იყო, იგონებს: "პირველად ვიტალი დარასელიას თამაში მოსკოვში ვნახე. მოსწავლეთა სპარტაკიადაზე საქართველოს ნაკრები უკრაინელ თანატოლებს ხვდებოდა. პირველი ტაიმი ქართველებმა მოიგეს 2:0. ორივე გოლი პატარა ბიჭმა გაატანინა თანაგუნდელებს — დაკუნთული, მოძრავი და პირმცინარი ყმაწვილი იყო. ის არ გამკვირვებია, რომ ამ ჭაბუკმა ორჯერვე 4-4 მეტოქე მოატყუა და თავდამსხმელები მეკარესთან პირისპირ გაიყვანა. არა, მე იმან გამაოცა, რომ ამ ბიჭმა პირველი ტაიმი მარჯვენა ფლანგზე ითამაშა, მეორე — მარცხენაზე და ნახევარდაცვაში შეცდომა არ დაუშვია. ბოლო 10 წუთი თავდასხმაში გაამწესეს, თავისი გოლიც გაიტანა და საქართველოს ნაკრებმა ეს შეხვედრა 3:1 მოიგო. გვერდით ლეგენდარული ვალენტინ ივანოვი მეჯდა. მას ვუთხარი, რომ 3-4 წელიწადში საქართველოდან ახალი ვარსკვლავი შეემატებოდა საბჭოთა კავშირის ნაკრებს. ივანოვმა თავი დამიქნია და მომიჭრა: კი, აუცილებლად! და ეს ვარსკვლავი დარასელია იქნება. მერე გამომიტყდა ივანოვი, რომ ჩემსავით მატჩს კი არა, მთელი ორი ტაიმი ვიტალი დარასელიას თამაშს აკვირდებოდა".

ერთგული კაცი

ვიტალის თბილისის "დინამოში" დამკვიდრება არ გასჭირვებია მას "გაჭირვების ტალკვესიც" შეარქვეს თანაგუნდელებმა. უნივერსალური ფეხბურთელი იყო, ნებისმიერ პოზიციაზე ითამაშებდა, თუ გუნდს უჭირდა და არც არასდროს დაუღალატებია თანაგუნდელები. ოთარ გაბელია, ვეტერანი ფეხბურთელი: "მე გუნდში დამხვდა ვიტალი, მალე დავძმაკაცდით და ჭირი და ლხინი განუყოფელი გვქონდა. დიდი ფეხბურთელი რომ იყო, ეს სადავო არ არის, მაგრამ, იცით, რა ადამიანი იყო? ბავშვივით სუფთა, ალალი და გულუბრყვილო. უხამსი ანეკდოტების მოყოლისას წითლდებოდა... სიტყვის კაციაო, რომ იტყვიან, ვიტალიზე იყო ნათქვამი. თუ რაიმეს შეგპირდებოდა, მოკვდებოდა და შეგისრულებდა. მისი მოტყუებული ადამიანი ამქვეყნად არ დადის, ბავშვსაც კი არ მოატყუებდა. თვითონაც აკი დიდი ბავშვი იყო..."

ვიტალი დარასელია აფხაზი იყო და ამით ძალიან ამაყობდა. პასპორტშიც ასე ეწერა, ეროვნება — "აფხაზი". სპორტის მაშინდელმა ქართველმა ჩინოვნიკებმა ერთხელ შესთავაზეს, რომ პასპორტში ეროვნება **"ქართველი"** ჩაეწერა, ვიტალიმ წრფელი გაოცებით უპასუხა: "რატომ? ამით რა, შევიცვლები? სხვა ვიტალი დარასელია გავხდები თუ რა? ან აფხაზი რომ ვარ, რა არის ამაში ცუდი? ქართველები და აფხაზები რამ გაგვყო — ძმები არ ვართ?" ამის შემდეგ ვიტალი დარასელიასთვის ამის თაობაზე სიტყვაც აღარ ჩამოუგდიათ.






## უნივერსალი

ვიტალი დარასელიას, როგორც უნივერსალური ფეხბურთელის ერთ-ერთი თვისება ისიც გახლდათ, რომ მას თითქმის ნებისმიერ პარტნიორთან შეეძლო თამაში. "დინამოშიც" და სსრკ-ს ნაკრებშიც, ვიტალისთვის არაერთხელ გაუწევიათ პარტნიორობა ისეთ ფეხბურთელებს, რომლებიც მის ოსტატობასთან ახლოსაც ვერ მოვიდოდნენ. აწ გარდაცვლილი რამაზ შენგელია იგონებდა: "ჩუმად, ულაპარაკოდ აკეთებდა თავის საქმეს. რა დასამალია, "დინამოში" ბევრი ფეხბურთელი გამოსცადეს, ბევრმა მათგანმა ვერ დაიმკვიდრა გუნდში ადგილი. გვარს არ დავასახელებ, მაგრამ ერთხელ, მარჯვენა მცველს ცდიდა ნოდარ ახალკაცი. ვიტალის მაშინ ტრავმა ახალი მოშუშებული ჰქონდა და დროებით "დუბლებში" თამაშობდა. ცხადია, ამ ახალბედას ვიტალის ფრთაზე მოუწია თამაში. შემიძლია დავიფიცო, იმ დღეს ვიტალი ორი კაცის საქმეს აკეთებდა, იმ ახალბედამ მრავალი შეცდომა დაუშვა და ყველას ვიტალი ასწორებდა. ერთი საყვედური არ დასცდენია, ცუდად თამაშობო. დაცვაშიც იყო და ნახევარდაცვაშიც. სახეზე ღიმილი დასთამაშებდა და აი, ასე ითამაშა ორი ტაიმი. არადა, ხომ ვიცი, რომ ტანჯვა იყო ის მატჩი ვიტალისთვის, ტრავმა არ ჰქონდა ბოლომდე მორჩენილი და, როგორია, ორი კაცის საქმე აკეთო? მატჩის მერე, გასახდელში იმ ბიჭს ნახევარსაათიანი ლექცია წაუკითხა, თან მშვიდად, ისე, რომ ერთი საწყენი სიტყვაც არ დასცდენია. იმ ფეხბურთელმა "დინამოში" ვერ ითამაშა, მაგრამ ლანჩხუთის "გურიის" ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე გახდა. აი, ასეთი კაცი იყო ვიტალი — რაც არ ევალებოდა, იმასაც დაივალებდა, შენთვის გაირჯებოდა, მაგრამ არასგზით არ გაგრძნობინებდათ, რომ ამით ზედმეტად იტვირთავდა თავს. გვიკითხავს კიდეც ამის შესახებ, მაგრამ იცინოდა, — რა მოხდა მერე, გუნდს თუ დასჭირდა, ხუთი კაცის მაგივრად ვითამაშებ, რა არის ამაში ცუდიო? გამორჩეულად პატიოსანი ადამიანი იყო და ამას მინდორზეც ამტკიცებდა".

ვიტალი დარასელიამ თბილისის "დინამოსთან" ერთად ორჯერ მოიპოვა საბჭოთა კავშირის თასი, ერთხელ — ჩემპიონობა, მთავარი სულისჩამდგმელი იყო "დინამოს" უდიდესი გამარჯვებისა — მან ხომ ვიტალის გოლის წყალობით დაამარცხა იენას "კარლ-ცაისი" და ევროპის თასების თასი მოიგო. სსრკ-ს ჩემპიონატში 192 მატჩი ჩაატარა და 26 ბურთი გაიტანა, ხოლო საბჭოთა კავშირის ნაკრებში 22 შეხვედრა ჩაატარა. 5-ჯერ იყო დასახელებული 33 საუკეთესო ფეხბურთელთა შორის. 1981 წელს, "ფრანს პრესის" გამოკითხვით, ევროპის 10 საუკეთესო ფეხბურთელს შორის მოხვდა. 1976 წელს კი ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი მოიგო 19 წლამდელ ფეხბურთელთა შორის.

## 13 მაისი

1981 წლის 13 მაისს, სწორედ ვიტალი დარასელიას გოლმა მოუტანა ქართულ ფეხბურთს დღემდე ყველაზე დიდი გამარჯვება. ვლადიმერ გუცაევი ვიტალის გატანილ გოლს ასე იგონებს: "პირველი გოლი გერმანელებმა გაგვიტანეს — ჰოპემ. მერე, მოგეხსენებათ, მე გავათანაბრე ანგარიში. ამ დროს, უკვე დარწმუნებული ვიყავით საკუთარ ძალებში. დამატებითი დრო რომ დანიშნულიყო, აუცილებლად გავიმარჯვებდით, მაგრამ არ გვინდოდა ეს დამატებითი დრო და ზედმეტი დავიდარაბა... თანაც, რა იცი, ეშმაკს არ სძინავს, **"კარლ ცაისთან**" ხუმრობა არ შეიძლებოდა. ვატყუებდით, რომ დამატებითში არ გადასულიყო თამაში, გოლი იყო საჭირო... თვალიდან არ გადამდის ის მომენტი — ვიტალიმ ჯერ ერთი მცველი დააწვინა, მერე — მეორე და ულამაზესი და უსაჭიროესი გოლი გაიტანა. 3 წუთიღა რჩებოდა თამაშის დამთავრებამდე — ეს უკვე გამარჯვება იყო".

თბილისის აეროპორტში ზღვა ხალხი დახვდა თბილისის "დინამოს". ფეხბურთელები ტრაპიდან აიყვანეს ხელში მადლიერმა ქომაგებმა და აეროპორტის გარეთ ისე გამოიყვანეს. ყველა ცდილობდა, ვიტალი დარასელიას მარცხენა ფეხს შეხებოდა, რომლითაც ისტორიული გოლი გაიტანა. ქომაგები ამ ფეხზე ჰკოცნიდნენ ვიტალის...

## საბედისწერო რიცხვი

13 რიცხვი საბედისწერო გამოდგა ვიტალი დარასელიას ცხოვრებაში. 13 მაისს ის დიდებული გოლი გაიტანა დიუსელდორფში, სსრკ-ს ნაკრებში 13-ნომრიანი მაისურით თამაშობდა, 1975 წლის 13 ნოემბერს დაქორწინდა თავის თანაკლასელ მარინა მამალაძეზე. 1982 წლის 13 დეკემბერს კი ავტოკატასტროფაში დაიღუპა.

მარინა მამალაძე, ვიტალი დარასელიას მეუღლე: "ოჩამჩირეში ძმასთან მიდიოდა ვიტალი. მისი ძმა ციხეში იჯდა, დედამ დაურეკა — შენს ძმას რაღაც დაუშავებია და შეიძლება წლები დაუმატონ, ჩამოდი და მიხედეო. იმ დღეს წასვლა არ უნდოდა, ალბათ, გული უგრძნობდა ცუდს. თავის მეგობართან, ტარიელთან ერთად მდინარე ყვირილაში გადაიჩეხა მანქანით. მისი ცხედარი მე-13 დღეს იპოვეს. ვიტალიმ არ იცოდა კარგად მანქანის ტარება, ტარიელი უკეთ ატარებდა, მაგრამ ესეც ბედისწერა იყო".

ვიტალი დარასელია საქართველოს ყველა დროის ფეხბურთელთა სიმბოლურ ნაკრებში მოხვდა — 6 ნომერს ვერავინ შეეცილა. მისი სახელი ქართული ფეხბურთის ყველაზე დიდ გამარჯვებასა და, ამავდროულად, ყველაზე დიდ ტრაგედიას უკავშირდება — მის სიკვდილს.

აფხაზები დღემდე უდიდეს პატივს მიაგებენ ვაჟკაცი თანამემამულის ხსოვნას — ოჩამჩირის სტადიონს ვიტალი დარასელიას სახელი ჰქვია.

**ლევან ჯავახიშვილი**

# გაზეთ "ილორის" რედაქციას,

## სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" თავმჯდომარეს ბატონ ალექსანდრე ჭაჭიას

**ბატონო ალექსანდრე!**

მე ვარ დევნილი აფხაზეთიდან, 79 წლის ადამიანი, რომელმაც მთელი ჩემი სიცოცხლე თავაუღებელ შრომას შევალიე.

უპირველესად, მადლობა მინდა გადაგიხადოთ იმ მონდომებისა და თავდადებისათვის, რასაც თქვენ იჩენთ სამშობლოს კეთილდღეობისათვის ბრძოლაში. სამწუხაროდ, სწორედაც რომ – **"ბრძოლაში"**, და არა – **"მშვიდობიან შრომაში"**, რადგან ჩვენმა აშკარად არაქართულმა ხელისუფლებამ ნამდვილი სისხლისმღვრელი ომი გამოუცხადა განსხვავებულ აზრს საქართველოში, ცდილობს შიშისა და ძრწოლვის დანერგვას მოსახლეობაში, მაგრამ სწორედ თქვენნაირი უშიშარი და სწორუპოვარი ადამიანების შემართების წყალობით, ეს შიში უკვე დაძლეულია, რაც იმის იმედს იძლევა, რომ ქვეყანა სწორ არჩევანს გააკეთებს და ერთობლივი ძალისხმევით უმოკლეს ვადებში აღკვეთავს იმ შეუსაბამობებსა და სიმახინჯეებს, რასაც **"ნაციონალებად"** წოდებული არადემოკრატიული პოლიტიკური ძალა და მათი ეთნიკურად და სულიერად არაქართველი ბელადი სააკაშვილი 2003 წლიდან ნერგავდნენ საქართველოში.

წარმატებებს გისურვებთ მომავალ საქმიანობაში, ბატონო ალექსანდრე, რათა თქვენმა ღვაწლმა გზა გაუკაფოს ქართველთა მომავალ თაობას ბედნიერი ხვალინდელი დღისაკენ!

სწორედ ეს გახლავთ დღეს თითოეული ქართველის სანუკვარი ოცნება, იქნება იგი დევნილი, სამშობლოდან ლუკმა-პურის საძებრად გადახვეწილი, საქართველოში უსასოოდ დარჩენილი უმუშევარი თუ ელიავას ბაზრობასთან დროებითი სამუშაოს მომლოდინე ადამიანი.

ბატონო ალექსანდრე, მე ვესწრებოდი სახალხო მოძრაობა **"სამეგრელოს"** ყრილობას, რომელიც სამეგრელოს ულამაზეს ისტორიულ ადგილზე – ნოქალაქევში გაიმართა. სწორედ მაშინ, თქვენი შთამბეჭდავი გამოსვლის შემდეგ ჩაგვენერგა იმის იმედი, რომ ჯერ კიდევ ყველაფერი არ არის დაკარგული და სამშობლოს შველა შეიძლება, მაგრამ ამისათვის საჭიროა, რომ ქვეყნის სათავეში მოვიდნენ ეროვნული ძალები. სამწუხარო კი ის არის, რომ დღევანდელ საზოგადოებას ჯერ კიდევ ვერ გაურკვევია, თუ ვინ არის ჭეშმარიტი ეროვნული ძალა და ვინ არის ის ფსევდოეროვნული სახელმწიფო სახელისუფლებო წარმონაქმნი, რომელიც თანდათან შლის და ანადგურებს საქართველოს! თვალებით ბრმა ადამიანს შეუძლია ჯოხის კაკუნით იაროს სწორი მიმართულებით, პოლიტიკურად და იდეურად დაბრმავებული საზოგადოება კი ვერასოდეს ივლის სწორი გზით და, ადრე თუ გვიან, აუცილებლად გადაიჩეხება ხრამში. სწორედ ეს სიბრმავე სჭირს დღეს საქართველოს საზოგადოების საკმაოდ დიდ ნაწილს, რომელსაც ვერასგზით ვერ შეუგნია დიდი ვაჟას მიერ ამოკვნესილი სიტყვების სიბრძნე: **"ვინ მოყვარეა, ვინ არა, ქვეყანამ დაინახოსა"**.

ბრძენ ებრაელ ხალხს აქვს ერთი საშინელი წყევლა: **"მტერ-მოყვარე ვერ გაგერჩიოს ერთმანეთისგან"**-ო. თითქოს ჩვენი თვალთახედვის თარგზეა მოჭრილი ეს ავი ანდაზა, რადგან მართლაც ვერ გაგვირჩევია ერთმანეთისაგან მტერ-მოყვარე და ქვეყნის დამანგრეველ **"ნაციონალებსა"** და მათ ბელადს, თავმოუბმელ და თვითნება მიხეილ სააკაშვილს **"აღმაშენებლად"** მოვიხსენიებთ, რად დიდი დავით აღმაშენებლისა და მთელი ქართველი ერის მძიმე შეურაცხყოფაა!

ბატონო ალექსანდრე!

დღეს, როცა ქართული პოლიტიკური სპექტრი გულანთებული და უმწიკვლო პოლიტიკოსების დიდ დეფიციტს განიცდის, ალბათ საჭიროა უფრო მეტი აქტიურობა, ვიდრე ჯერ კიდევ შეიძლება არაქართული ხელისუფლების მიერ დამახინჯებული მწარე რეალობის გამოსწორება, დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება და საქართველოს ერთიანობის აღდგენა, დევნილთა ღირსეულად დაბრუნება მათ ოდაბადეში, ლამის აუტანელი სოციალური და ეკონომიკური ყოფის გაუმჯობესება...

სწორედ ამ იმედით სულდგმულობს დღეს სამეგრელო, სრულიად საქართველო! მიუხედავად იმისა, რომ ეს ხელისუფლება, უკვე თითქმის ათი წელია, როყიო დაპირებებით და აუხდენელი ოცნებებით კვებავს ქართველ ხალხს, საქმით კი ყოველნაირად უჭრის მათ ბედნიერებისაკენ მიმავალ ვიწრო ბილიკსაც კი.

მინდა ჯანმრთელობა და ბედნიერება ვუსურვო ყველა იმ ადამიანს, ვინც უანგაროდ იღვწის თქვენს გვერდით, ჩვენი სამშობლოსა და ხალხის საკეთილდღეოდ!

გულწრფელად გიჭერთ მხარს თქვენს შრომასა და მონდომებაში!

ღრმა პატივისცემითა და ქრისტესმიერი სიყვარულით,

**დავით ცაავა,**
**გულრიფში, დრანდა,**
***ღორონთიქ ვამიდინუას ჩქინი ხანდა!***

**გაზეთ "ილორის" კომენტარი: სრულიად ვეთანხმებით ამ სტრიქონების ავტორს, ღვაწლმოსილ ადამიანს, რომელიც დიდ სიყვარულსა და გულისტკივილს ამჟღავნებს მშობლიური კუთხისა და სრულიად საქართველოსადმი. სწორედ სამეგრელო გახლდათ საქართველოს ერთიანობის ბურჯი და ვიდრე ეს კუთხე მივიწყებული იქნება ჩვენი აშკარად არაქართული ხელისუფლების მიერ, ხოლო ქართულ პოლიტიკურ სივრცეში ღირსეულ ადგილს არ დაიკავებენ ბატონი ალექსანდრე ჭაჭია და მისნაირი უმწიკვლო სახელის მქონე პოლიტიკოსები, მანამდე საქართველოს გამთლიანებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იქნება.**

**ფაქტია, რომ მიხეილ სააკაშვილსა და მის არაქართულ ბანდას (სხვა სახელს ნამდვილად ვერ მოუძებნი იმ არაადამიანთა მცირე ჯგუფს, რომელიც მხოლოდ პირად კეთილდღეობასა და გამდიდრებაზეა ორიენტირებული და არაფრად აგდებს გაღატაკებულ-გაწამებული მოსახლეობის გაუსაძლის ყოფას) დიდად არ აღელვებს დათრგუნული ქართველი ხალხისა და სრულიად საქართველოს ბედი.**

**ნამდვილად მისასალმებელი იყო ის ფაქტი, რომ ცაგერში ყოფნისას ბიძინა ივანიშვილი პარლამენტის თავმჯდომარეს დავით ბაქრაძეს შეხვდა და ხელი ჩამოართვა. ასეც უნდა იყოს. როგორ შეიძლება, რომ პოლიტიკური დაპირისპირება იარაღით დაპირისპირებაში გადაიზარდოს. ყველაზე საძრახისი კი სწორედ ის არის, რომ ამგვარ დაპირისპირებაზე მიდის საქართველოს პრეზიდენტად წოდებული პოლიტიკური არარაობა, რითაც კიდევ ერთხელ დასტურდება, რომ სააკაშვილს ყველაზე მეტად თავისი საპრეზიდენტო სავარძელი ადარდებს, ხალხს კი სიამოვნებით შეაჟლიტავს ერთმანეთს არჩევნებში გასამარჯვებლად. აკი ამბობს კიდეც: "ჩვენ ყოველი საშუალების გამოყენებით მივაღწევთ გამარჯვებასო".**

**ქართველი კაცი ამას იკადრებს?**

**არავითარ შემთხვევაში!**

**სწორედ სააკაშვილის ამგვარი დამოკიდებულება საქართველოსა და ქართველი ხალხისადმი გვაძლევს ჩვენ იმის მტკიცების საფუძველს, რომ სააკაშვილი არ არის ეთნიკური ქართველი და იგი სომეხი ეროვნებისაა. ამაში თავისთავად ცუდი არაფერია, რადგან საქართველოში უამრავი წესიერი სომეხი ცხოვრობს და საქართველოს საკეთილდღეოდ იღწვის ჩვენს მხარდამხარ. ცუდი ისაა, რომ სააკაშვილი საქართველოში წარმოადგენს იმ დაშნაკი სომხების ვერაგულ ინტერესს, რომელთა მიზანია საქართველოს დამცრობა-დაკნინება, მისი აღმოსავლეთ ნაწილის მიტაცება და "დიდი სომხეთის" უტოპიური გეგმის განხორციელება.**

**ამიტომ ვერ ბედავს იგი პოლიტიკურ ოპონენტებთან ღია ტელედებატების გამართვას.**

**სწორედ ეს უნდა გაითვალისწინოს სამეგრელოს მოსახლეობამ არჩევნების დღეს, თუ უნდა, რომ თავისუფალ, დამოუკიდებელ და დემოკრატიულ საქართველოში იცხოვროს!**

# "აურზაური სალხინეთში"



ეს მხოლოდ ცნობილი კინოფილმის სათაური არ გეგონოთ. დღეს შეიძლება საქართველო გაჭირვებული ხალხისათვის **"სალხინეთი"** ვერ იყოს, მაგრამ ნაციონალებისა და სააკაშვილისათვის სალხინეთიც არის, სატაშ-ფანდუროც და სახინკლეც...

ჰოდა, ახლახან ამ სალხინეთში ისეთი უთავბოლო აურ-ზაური ატყდა, რომ, როგორც ამბობენ, დედა შვილს არ აიყვანდა ხელში!

ყველაფერი ტელეარხების განცხადებით დაიწყო – კახეთში, მდინარე ლოპოტის ხეობაში ქეიფიდან მომავალი ხუთი ახალგაზრდის გაუჩინარების და მძევლებად აყვანის შესახებ. მერე რომ აქ ამბები დატრიალდა – მტრისას – ოპოზიციური ტელეარხები თავისას მიერეკებოდნენ, სახელისუფლოები თავისას, როს გამოც ჭეშმარიტების დადგენა ძნელი გასაგები კი არა, საერთოდ შეუძლებელი გახდა.

ჯერ იყო და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ შოთა ხიზანიშვილმა განაცხადა: **"საქართველო-რუსეთის საზღვარზე აყვანილი ყველა მძევალი გათავისუფლებულიაო"**. რაც შეეხება დაღუპულებს, **შსს**-ს ინფორმაციით, დაღუპულთა შორის ორი სპეცრაზმელი და ერთი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სპეცრაზმის სამხედრო ექიმი იყო. დაიჭრა ხუთი სპეცრაზმელი, ლიკვიდირებული იქნა 11 დივერსანტი, 6 კი ალყაში მოაქციეს. თუმცა, შემდეგ არაფერი უთქვამთ, თუ რა ბედი ეწიათ ალყაში მოქცეულებს.

ამრიგად, საქართველო კიდევ ერთხელ აღმოჩნდა არც თუ სახარბიელო მდგომარეობაში. ავიენები ამბობდნენ, საქართველომ იმიტომ ჩაატარა აღნიშნული ოპერაცია, რომ არჩევნების წინ რუსეთის ხელისუფლების კეთილგანწყობა მოიპოვოსო, მაგრამ ამ საქმეს ჯერ არავითარი პირი არ უჩანს და არც მგონია, რომ ამგვარი პოლიტიკური ჟინგლიოროზით სააკაშვილმა რუსების გული მოიგოს. ხმები იმის თაობაზეც გავრცელდა, რომ შეიარაღებულ ტეტორისტებს ალბათ რუსები შემოჰყვებიან საქართველოს ტერიტორიაზეო.

აღნიშნულთან დაკავშირებით განცხადება გააკეთა რუსეთის **„ფე-ეს-ბე"**-მ, რომელმაც თავისი მოქალაქეების მიერ საქართველოს საზღვრის გადმოკვეთა უარყო.

განცხადებაში ნათქვამი იყო: **"ის, რომ შეიარაღებული ჯგუფი საქართველოში შესაძლოა, დაღესტნიდან მოხვდა, პროვოკაციული და უსაფუძვლოა"**. აღნიშნული ტექსტი სააგენტო **„რია ნოვოსტის"** მეშვეობით რუსეთის ფედერალური უშიშროების სამსახურის (**„ფე-ეს-ბე"**) საზოგადოებასთან ურთიერთობის ცენტრის უფროსის მოადგილემ ვადიმ შიბაევმა გაახმიანა.

**„სასაზღვრო სამსახურის მიერ რუსეთ-საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაღესტნის მონაკვეთის გადაკვეთის შემთხვევები არ დაფიქსირებულა"**, – განაცხადა შიბაევმა.

**„სამწუხაროდ, ქართული მხარე პირველად არ იტყობინება რუსეთ-საქართველოს საზღვარზე ინციდენტების თაობაზე, მაგრამ არცერთხელ ეს ინფორმაცია არ დადასტურებულა"**, – განაცხადა მან წინა სასაზღვრო ინციდენტების დაკონკრეტების გარეშე.

იმ მოკლე განცხადებებში, რომლებიც მანამდე შსს-მ გამოაქვეყნა, არაფერი იყო ნათქვამი იმის თაობაზე, თუ ვინ არიან ეს **„დივერსანტები"**, ან მოხვდნენ თუ არა ისინი საქართველოში რუსეთიდან. **„რუსთავი 2"**-მა და **„იმედმა"** – პროსახელისუფლებო ორმა ნაციონალურმა არხმა, განაცხადეს, რომ შეიარაღებული დაჯგუფება, სავარაუდოდ, დაღესტნიდან გადმოვიდა საქართველოში.

პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძემ არ უპასუხა ჟურნალისტების შეკითხვას, თუ ვინ იყვნენ შეიარაღებული დაჯგუფების წევრები და აღნიშნა, რომ **შსს**-ის კომპეტენციაში შედის ამ საკითხზე კომენტარის გაკეთება. თუმცა მან განაცხადა: **„ეს არის ჯგუფი, რომელიც აღმოჩენილ იქნა საქართველო-რუსეთის საზღვარზე დაღესტნის მონაკვეთთან, ეს არის შეიარაღებული ჯგუფი და ჯგუფის წევრები არ არიან საქართველოს მოქალაქეები"**.

სულ სხვა განცხადება გაავრცელა ქართულმა სახელისუფლებო მედიამ მომხდარის თაობაზე, რომელიც თითქოს გაავრცელა ე.წ. **"დაღესტანის ვილაიეთის"** ხელმძღვანელობამ – **"ასეთი ქმედებებით თქვენ კიდევ ერთ მტერს შეიძენთ, რომელიც სასტიკად იძიებს შურს"** – ავბედითად შემოგვითვალეს მეზობლებმა.

**"დაღესტანის ვილაიეთის" ხელმძღვანელობა იუწყება, რომ საქართველოში ბრძოლები "კავკასიის იმარათის" მოჯაჰედებთან მიმდინარეობს"**, – ამის შესახებ ინფორმაცია მოგვიანებით დაღესტნურმა ინტერნეტსაიტმა **v.dagestan.info**-მ გავრცელა.

**"ჩვენი ინფორმაციით, ჩვენი მოძმე მოჯაჰედები არ აპირებდნენ საქართველოს ტერიტორიაზე რაიმე ოპერაციის ჩატარებას, რადგან ეს არ შედიოდა მათ გეგმებში, თუმცა, რომ მოესურვებინათ, ალაჰის შემწეობით, იოლად მოახერხებდნენ ამას. ასევე, მოჯაჰედებს არანაირი მძევლები არ აუყვანიათ და ეს ქართული მხარის მიერ ნათქვამი სიცრუე და მონაჭორია"**, – აღნიშნულია განცხადებაში.

განცხადების მიხედვით, ქართულმა მხარემ **"მოღალატურად დარტყმის ქვეშ დააყენა მოჯაჰედები და კავკასიის 11 მამაცი შვილი მოკლა" და ეს არ არის "პირველ ფარისევლური ნაბიჯი, რომლის მიზანიც რუსეთის გულის მოგებაა"**.

**"ჩვენ მოვუწოდებთ საქართველოს მთავრობას, დაუყოვნებლივ შეწყვიტოს საომარი მოქმედებები მოჯაჰედთა წინააღმდეგ. მოვუწოდებთ არ მოატყუოს საკუთარი ხალხი და მთელი მსოფლიო და არ დასწამოს ცილი მოჯაჰედებს, ნუ ექნება იმედი, რომ მუსულმანთა სისხლის სანაცვლოდ რუსეთის კეთილგანწყობას მოიპოვებს. ასეთი ქმედებებით თქვენ მხოლოდ კიდევ ერთ მტერს შეიძენთ, რომელიც სასტიკად იძიებს შურს"**, – აღნიშნულია განცხადებაში.

არ ვიცი, თქვენ რა გაიგეთ ამ უთავბოლო გადაძახილ-გადმოძახილიდან, ძვირფასო მკითხველო, მაგრამ მე ბევრი ვერაფერი გავიგე! სავარაუდოდ, ჩვენი ხელისუფლება გულდასმით გვიმალავს კიდევ ერთ **"ნამამაძაღლარს"** და ამიტომ არ უნდა, რომ საზოგადოებას დალაგებით აუხსნას ყოველივე.

ვერც ის გავიგეთ, თუ ვინ იყვნენ ეს შეიარაღებული პირები, რომელთა თაობაზეც ასეთი ინფორმაციაც კი გავრცელდა: **"ესენი საქართველოს ხელისუფლების მიერ მოწვეული ბოევიკები იყვნენ, რომელიც რუსეთში სიტუაციის ასარევად სჭირდებოდათ. მათ გაუხსნეს ბაზა მთებში, მაგრამ, როგორც ჩანს, რაღაც მიზეზის გამო აუჯანყდნენ საქართველოს ხელისუფლებას და მთებს მიაშურესო"**.

ზოგმა ისიც კი სთქვა, ეს არეულ-დარეულობა სააკაშვილს წასაგებად განწირული საპარლამენტო არჩევნების ჩასაშლელად სჭირდებაო.

განა ეს ვერსიები შეიძლება იყოს ჭეშმარიტებას მოკლებული?

მაგრამ არც ის გვინდა, რომ ჩრდილოკავკასიელი ფუნდამენტალისტები გადაგვეკიდნონ ქართველებს სამკვდრო-სასიცოცხლოდ, რასაც შეიძლება სრულიად უდანაშაულო ხალხის მსხვერპლი მოჰყვეს. მათი **"შაჰიდები"** ხომ ხალხმრავალ ადგილებზე იფეთქებენ თავს, რადგან პრეზიდენტის კანცელარიამდე მათ არავინ მიუშვებს.

ასე რომ, ჯერჯერობით არავინ იცის, თუ რით დამთავრდება სააკაშვილისა და ნაციონალების სალხინეთური აურზაური!

ერთადერთი, რაც შეგვიძლია გავაკეთოთ, არის ის, რომ სამძიმარი გამოვუცხადოთ დაღუპულების ოჯახებს!

**საკ.ინფ.**



სერგეი კრემლიოვი

# ბერია XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი

თარგმანი როლანდ ჯალაღანიასი

ქაში ბერიას
ი დადებითი

უცხო იყო
და **"ბრეჟნ-**
ულიერების
ბრეჟნევთან
ს იდგა ხრ-
ენტი ბერია
ვი და **"გორ-**
ბევრად
ენ ბრე-
მათ მიიღეს თავიანთ
აჩოვი, მისცეს მას
ჩამოყალიბების
ი ბერია კი მათ
ცნობოდა, უბრალოდ,
ს წევრებს.

მ მას სადისტური
ლებები გამოუვლინ-
ოთა ხალხის სო-
დაცვის უმაღლესი
რე.
ისა და მისნაირების
კავშირში სოციალ-
ბის შესახებ, კატე-
ქვას, რომ საბჭოთა
მ სოციალურ აღმ-
ული პერსპექტივები
სტალინის პოლი-
გამო — მას არა-
პოლიტიკური კეკ-
ორედ იოსებ სტალ-
ენ მის განცხადებას
საათიან (შესაძლე-
სამუშაო დღეზე
ავშირებით, ახალი
ყოველმხრივი სრუ-
ბაზაზე ხდებოდა
ხოგადოების ტრანს-
ი დემოკრატიზმისა
ისუფლების მიმარ-

აზრისით რეალურ
შესაძლებლობების
კარად არ ჰყოფნიდა,
მთავრობასა და
ითი განვითარებადი
საბჭოთა ხელმძღ-
ადოების ჩამოშორე-
ბიც ვერ ეგუებოდნენ
ნ საბოლოოდ ჰქონ-
აკუთარ ხალხთან
დამყარების შესა-

ზმის განვითარების
ია საზოგადოების
უნდა გადაადგილე-
ი უნდა მდგარიყო
ში: ეკონომიკურ ან
ათლებლო სტრუქ-

მგვარ მიდგომებს
მი ხალხის ცხოვრე-
რგანიზებისას —
და შინაგან საქმეთა
იკურ ორგანიზაციას,
ი ჰქონდა ახალი
მოღვაწეებისათვის.
ავშირის უმაღლეს
ასთან ერთად ფეხს
ივ განვითარებული
რატიზაცია, რომელ-
დნენ კომპეტენტური
ნ, ბერიას დაბერების
ის შემდეგ რუსეთს
გამორჩეული ლიდ-
ბის შესაძლებლობა,
იქნებოდა ორი-სამი
ოვნებით დაკომპლე-
თარებული საზოგა-
ნიდნენ თავისუფალი
ვრ ასოციაციას.
რიტ თავისუფლებას
მეგობართა და
უფალ კოლექტივში.
უძლეველია!

სამწუხაროდ, ჩვენ ჯერ მივიღეთ ხრუშჩოვისა და ბრეჟნევის არაკომპეტენტური მმართველობითი სისტემის ბაკქანალია, შემდეგ კი გორბაჩოვის, ელცინისა და მისი შემდგომი ელცინოიდების ტოტალური პოლიტიკანობის ბაკქანალია. სხვათა შორის, ჩვენი ისტორიის პოსტსტალინისეული ათწლეულების ფართო ანალიზი სცილდება ამ წიგნის ფარგლებს. მაგრამ თემასთან კავშირის თაობაზე მე, აი, რას ვიტყვი...

სტალინის ეპოქამ რუსეთში ჩადო თავისი პოტენციალით მანამდე არნახული ცივილიზაციური ბაზა. მისი კულტურული, საგანმანათლებლო, სამეცნიერო-ტექნიკური, ეკონომიკური და სულიერი შედეგი ისეთი იყო, რომ დანერგილი განათლების წყალობით შეიძლებოდა რუსეთისა და მის შემადგენლობაში მყოფი ხალხების მანამდე არნახული განვითარება!

ქვეყანაში ჩამოყალიბდა მრავალმილიონიანი მძლავრი ადამიანური შრეები — შემოქმედებითი, პროფესიულად შესანიშნავად განათლებული, რომელშიც შენივთებული იყო ძველი თაობის შრომითი გამოცდილება და ახალგაზრდა განათლებული თაობის უშრეტი ენერგია, მეტწილად — ალტრუისტული, რომელიც მზად იყო ნებისმიერ გრანდიოზულ ამოცანებთან შესაჭიდებლად. საზოგადოების ამ შრეებს წინ მიუძღოდნენ მაღალინტელექტუალური საბჭოთა მეცნიერები და მოწინავე თავდაცვით სფეროებში დასაქმებული პროფესიონალი სპეციალისტები — მერაკეტეები, კოსმოსური კვლევის სფეროს წარმომადგენლები, ავიატორები, **"მეატომეები"**, ელექტრონიკის სფეროში დასაქმებული ფიზიკოსები, გემთმშენებლები...

მაგრამ, მათზე არანაკლები აღმშენებლობითი ჟინით იყვნენ შეპყრობილი მეტალურგები, არქიტექტორები, სელექციონერები, ჩარხმშენებლები, რკინიგზელები, ბიოლოგები, გეოლოგები, პედაგოგები, მხატვრები, სპორტსმენები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები...

მოკლედ, ყველგან ჩანდნენ გამარჯვებით წახალისებული **"ფიზიკოსები"** და **"ლირიკოსები"**! ქვეყანა სწორი კურსით მიდიოდა — პოლიტიკურად, ზნეობრივად, ეკონომიკურად.

წარმატების განმსაზღვრელი იყო ლიდერი!

ქვეყნის გამოკვეთილი ლიდერი კი ვერაგულად იქნა მოკლული, რომელიღაც ნახევრადბნელ სარდაფში, 1953 წლის ცხელი ივნისის ერთ დახუთულ ღამეს.

და თუ სტალინის ეპოქამ ქვეყანას მისცა განვითარების იმპულსი, ხრუშჩოვ-ბრეჟნევის პერიოდში ყველაფერი გაკეთდა ამ პოტენციალის გასაცამტვერებლად და ცხოვრების ყველა სფეროს დასანგრევად, მზარდი სახელმწიფოს და საბჭოთა ხალხის სწრაფი ტოტალური დეგრადაციისათვის.

მიხეილ გორბაჩოვმა (და არ მხოლოდ მან, არამედ სამშობლოს მოღალატე ელიტამაც) ქვეყანა დაუნანებლად აიყვანა პოლიტიკურ და ეკონომიკურ ეშაფოტზე.

ბორის ელცინმა (და არ მხოლოდ მან, არამედ სამშობლოს მოღალატე ელიტამაც) საბოლოოდ გახლიჩა ნაწილებად ერთ დროს მძლავრი სახელმწიფო.

ხოლო ერთისა და მეორის მემკვიდრეები დღეს მკვდარი წყლით ანოყიერებენ ამ სახელმწიფოს ნარჩენებს, მაგრამ ვერა და ვერ ბედავენ მის ფესვებს დაასხან ცოცხალი წყალი, მისი ახალი გაერთიანებისა და კოლექტივიზმის სულისკვეთების აღდგენისათვის.

იმიტომ, რომ მათ აღარ ჰყავთ ამხანაგი სტალინი.

ასევე — ამხანაგი ბერიაც!

## თავი 32
## ემი ნაიტის და მის მსგავსთა

### დანაშური ხოტბები...

წიგნის ეს თავიც მოკლე იქნება, მაგრამ, ჩემის აზრით, იგი აუცილებელია...

1985 წლის გაზაფხულზე დაიწყო ის, რასაც მოგვიანებით ზუსტად და მოხდენილად ეწოდა **"კატასტროიკა"** (კატასტროფული **"პერესტროიკა"** — მთარგმნელი). მაშინ მთელი ქვეყანა დირექტივასავით მოიარა კინორეჟისორ თენგიზ აბულაძის მიერ გადაღებულმა მხატვრულმა ფილმმა **"მონანიება"**. მისი მთავარი ანტიგმირი აშკარად ლავრენტი ბერიაა და მისი მიზანში ამოღება იმ დისიდენტების მიერ, რომლებიც შემდეგ არჩეულ იქნენ ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს **"სახალხო"** დეპუტატებად, თავისთავად მეტყველებს, რომ ლენინისა და სტალინის შემდეგ მათ ყველაზე მეტად სძულდათ ლავრენტი პავლეს ძე ბერია.

იმ დღეებში საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული კომპარტიის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი დევი სტურუა გაზეთ **"კომსომოლსკაია პრავდაში"** გამოქვეყნებულ წერილში წერდა: **"თავად ის ფაქტი, რომ საკავშირო ეკრანებზე გამოვიდა ფილმი "მონანიება", მეტყველებს იმათ მართებულ განწყობაზე, ვინც ქვეყანაში ამკვიდრებს ზნეობრივ და პოლიტიკურ კლიმატს..."** შემდეგ დევი სტურუა თავაღერილიტრაბახობდა იმით, რომ ქვეყანაში გამოვიდა მონოგრაფიები, რომლებიც ეძღვნებოდა **"კომუნისტური პარტიის ისეთ გამოჩენილ მოღვაწეებს, როგორებიც იყვნენ აბელ ენუქიძე, მამია ორახელაშვილი, შალვა ელიავა, ლავრენტი ქართველიშვილი, ლევან ღოღობერიძე, მიხეილ კახიანი, სამსონ მამულია** (სტალინი წერდა, რომ **"მამულიას ბერიას მარცხენა ფეხის ფასიც კი არ ადევსო"** — ს.კ.), **ეფრემ ეშბა, ნესტორ ლაკობა..."**

მოგვიანებით კი გამოსცეს კოლექტიური **"მონოგრაფია"** ლავრენტი ბერიაზეც — რომლის ნაწყვეტების ციტირება მე არაერთგზის მოვახდინე საკავშირო **"პოლიტგამომცემლობის"** ჟურნალიდან, სახელწოდებით: **"ბერია: კარიერის დასასრული"**. აღნიშნული ოპუსი ასევე გაჟღენთილია ლავრენტი ბერიასადმი პათოლოგიური, ლამის პარანოიასთან მიახლოებული ბრმა სიძულვილით.

და მაშინვე გამოვლინდა ახალი პარადოქსი! მისი არსი მდგომარეობს იმაში, რომ ინფორმაციის (და არა შეფასებების) დაწვრილებითი ანალიზის შემდეგ რწმუნდები — ამ კრებულში გამოქვეყნებული უტყუარი დოკუმენტები იძლევა ამგვარი კომპეტენტური დასკვნის გაკეთების საშუალებას: მისი ანტიგმირი ლავრენტი ბერია დადებითი პიროვნება უფროა, ვიდრე — უარყოფითი! ამიტომაც, სწორედ **"პოლიტგამომცემლობის"** მიერ გამოცემულ მონოგრაფიაში მოყვანილ ციფრებსა და ფაქტებს იყენებდნენ ბერიას **"გათეთრების"** მსურველი პუბლიცისტები: იური მუხინი, ელენე პრუდნიკოვა, მათ შორის — მეც.

გარკვეული თვალსაზრისით, სენსაციად იქცა ერთი რამ — გორბაჩოვის ფონდის ჟურნალ **"თავისუფალი აზრის"** სამეცნიერო დირექტორის ოლეგ ხლევნიუკის მიერ გაჟღერებული ვარაუდი იმის თაობაზე, რომ 1991 წელს ჟურნალ **"სკკპ ცეკას იზვესტიაში"** გამოქვეყნებული პუბლიკაცია გახლავთ სკკპ ცეკას 1953 წლის ივლისის პლენუმის სტენოგრამა. ამასთან, თავისივე ჟურნალში გამოქვეყნებულ წერილში: **"ბერია: ისტორიული რეაბილიტაციის ზღვარზე"** (№2, 1995 წელი) ხლევნიუკი **"გამოტყდა"** საინტერესო რაღაცეებში:

**"ტრიბუნაზე ასული *ორატორები მოღალატის დაღს ასვამდნენ ბერიას და, ამავდროულად, უნებლიედ აღიარებდნენ მის რეფორმატორობას*** (ხაზგასმა ჩემია — ს.კ.), **რომელიც ცდილობდა, რომ სტალინის გარდაცვალების შემდგომი მცირეხნიანი თავისუფლების პერიოდში მოეხდინა სტალინისეული სოციალიზმის დემონტაჟი. თვით ბერიას მოწინააღმდეგეები, ნიკიტა ხრუშჩოვის ჩათვლით, პლენუმზე გამოიყურებოდნენ თავგამოდებულ სტალინისტებად, რომლებიც ცდილობდნენ კბილებით დაეცვათ თავიანთი დიდი ბელადი პოლიტიკური და ეკონომიკური მემკვიდრეობის თითოეული ნამცეცი"**.

ხლევნიუკმა ეს სტრიქონები დაწერა 1995 წელს, მანამდე ორი წლით ადრე კი, 1993 წელს გამომცემლობა **"Princeton Universiti Press"**-მა გამოსცა ამერიკელი ისტორიკოსის ემი ნაიტის წიგნი, სათაურით: **"Beria: Stalin's First Leitenant"**. ნაშრომის დასკვნით ნაწილში ავტორი აღნიშნავს:

**"ბერიას კიდევაც რომ მოეტყუებინა ხრუშჩოვი და მისი გვერდის ავლით მოეხერხებინა ქვეყანაში პირველი თანამდებობის ხელში ჩაგდება, იგი ბევრად უფრო ნაკლებ წარმატებებს მიაღწევდა ეფექტური და სიცოცხლისუნარიანი სისტემის შექმნის საქმეში, ვიდრე ხრუშჩოვი, რადგან ბერია ბოლომდე იყო გამსჭვალული სტალინური ტრადიციებით"**.

მაშ ასე, **"დემოკრატ"** ხლევნიუკის ვერსიით ყველაზე პირწავარდნილი სტალინისტი ხრუშჩოვია, ემი ნაიტის ვერსიით კი პირველი სტალინისტი ბერიაა. რომელია ამათ შორის მართალი?

სამწუხაროდ, არცერთი არაა მართალი, თუმცა ერთმანეთისაგან განსხვავებული მიზეზების გამო. ხლევნიუკი დაუფარავად მიანიშნებდა — სტალინური სოციალიზმი იმდენად საშინელი და არაადამიანური იყო, რომ თვით **"ჯალათი"** და **"სატრაპი"** ლავრენტი ბერიაც კი ცდილობდა მის დემონტაჟს. ემი ნაიტი კი აშკარად მიანიშნებდა, რომ სოციალიზმი ნებისმიერი სახითაა საშინელი და არაადამიანური წყობა და სწორედ ამიტომ იყო განწირული ლავრენტი ბერია კრახისათვის.

მიუხედავად ზემოდაღნიშნული კონსტატაციისა, ემი ნაიტი მაინც ავითარებს ასეთ აზრს:

**"მაგრამ, ჩემის აზრით, ისტორიკოსებმა მაინც უნდა მისცენ ყოველივე ამას დაბალანსებული შეფასება, განარიდონ ბერია იმ ლეგენდას, რომ იგი იყო სტალინური ეპოქის ბოროტი დამნაშავე და მისი კარიერა შეაფასონ ფართო ისტორიულ ასპექტში..."**

ნაიტმა საკმაოდ მოცული და მდიდარი ისტორიული მასალები დააგროვა ლავრენტი ბერიას ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე. მაგრამ, სამწუხაროდ, მაინც ვერაფერი შეიგნო ვერც სტალინის ეპოქასა და ვერც ბერიას ბედზე, რომლის სახელს მაინც რეპრესიებსა და მასობრივ დეპორტაციებს უკავშირებდა...

მაგრამ, მანაც კი, რომელიც ეცადა, რომ გარკვეულ ასპექტებში ყოფილიყო ობიექტური, გამოარკვია, რომ **"ჯალათი"** ბერიას პოლიტიკური სახე, საქმისადმი ამგვარი მიდგომის შემთხვევაში, საფუძვლიანად ინგრევა. და, იგივე ხლევნიუკის სიტყვებით რომ ვთქვათ: **"ემი ნაიტი იძულებული შეიქმნა ეღიარებინა თავის გმირის რეფორმატორობა და პრაგმატულობა და წარმოეჩინა "ლიბერალად ქცეულ პოლიციელად", ზუსტად ისეთად, როგორიც იყო იური ანდროპოვი..."**

ბერია არასოდეს ყოფილა ლიბერალი, მაგრამ მისი პირწავარდნილ პოლიციელად წარმოჩენაც მცდარი ვარაუდია, მისი საგანგებო კომისიასა და მთავარ პოლიტიკურ სამმართველოში მუშაობის მიუხედავად. სასაცილოა მისი შედარება ანდროპოვთანაც. აი, იმ ღირსეული საქმეების გამგრძელებლად, რაც სტალინმა რუსეთს დაუტოვა, ბერია ნამდვილად ივარგებდა!

მიიღებდა რა სტალინისაგან რუსეთს ატომური ბომბით, რომლის შექმნაში ბერიას დიდი წვლილი იდო, ბერია შეძლებდა მემკვიდრეებისათვის დაეტოვებინა რუსეთი მყარად დამკვიდრებული სოციალისტური დემოკრატიით, განვითარებადი პროგრესული საზოგადოებით და კოლექტიურობის შეგნებით.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

# მშვიდობით, კოლხეთო...



მიხეილ სააკაშვილის იდეა შავი ზღვის ნაპირზე ახალი ქალაქი ლაზიკას მშენებლობის თაობაზე სულ უფრო დიდ აბსურდად გადაიქცევა.

საქართველოს ტურიზმის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლის თქმით, ქალაქის მშენებლობა უკვე დაიწყო. ახლა ლაზიკას ადგილას იუსტიციის სახლს აშენებენ და საავტომობილო გზა გაჰყავთ. თუმცა არანაირი პროექტი ან ქალაქის მშენებლობის გეგმა დღემდე არ არსებობს. არ ჩატარებულა არცერთი ექსპერტიზა ესოდენ მასშტაბური მშენებლობისთვის ნიადაგისა და სანაპირო ზოლის ვარგისიანობაზე. თანამედროვე მსოფლიოში ამგვარი საფუძვლიანი მომზადების გარეშე მხოლოდ ქვიშის სახლებს თუ აშენებენ, მაგრამ არავითარ შემთხვევაში – თანამედროვე ქალაქებს.

მაგრამ მთავრობას ეს დიდად არ აღელვებს. ის ხვდება, რომ 2013 წლის შემდეგ ხელისუფლებაში ვეღარ დარჩება და დარჩენილ დროში თავისი ქვეყნიდან მაქსიმუმი უნდა გამოწუროს. გრანდიოზული მშენებლობა სწორედაც რომ შესანიშნავი საშუალებაა, რომ ერთიორი ათეული საბიუჯეტო მილიონი მიითვისოს და, სასურველია, ორიოდე მილიონი უცხოელი ინვესტორებისგანაც მიაყოლოს, მერე კი ეს თანხები **„გაუთვალისწინებელ ხარჯებზე“** ჩამოწეროს.

თუმცა საეჭვოა, რომელიმე მსხვილმა ინვესტორმა ფული ჩადოს, თუ თავისი კაპიტალდაბანდების რისკების საექსპერტო შეფასება არ ექნება. აქ კი დასაფიქრებელი ნამდვილად ბევრია. ეკოლოგებმა უკვე ატეხეს განგაში.

როგორც მწვანეთა მოძრაობა **„დედამიწის მეგობრების“** თანათავმჯდომარე, საქართველოს ეკოლოგიის ყოფილი მინისტრი ნინო ჩხობაძე მიიჩნევს, ეკოლოგიური რისკების შეფასებას წელიწად-ნახევრიდან სამ წლამდე დასჭირდება. მისი აზრით, ამ რაიონში ლანდშაფტის შეცვლამ შესაძლოა, ეკოლოგიური კატასტროფა გამოიწვიოს, რადგანაც ჭაობიანი რაიონი, სადაც ლაზიკა აშენდება, ზღვის დონეზე დაბლა მდებარეობს. **„მთავრობას უნდა, მოსპოს დიუნები, რომლებიც ამჟამად ამ ადგილს შავი ზღვის წყლით დატბორვისგან იცავს. წყალმა შესაძლოა, ქუთაისამდეც კი მიაღწიოს“,** – აღნიშნავს ქალბატონი ჩხობაძე.

ეკოლოგები ამ რაიონში ნიადაგის უწყვეტ ეროზიას აღნიშნავენ, ზღვა თანდათან უტევს და ნაპირს ახალ-ახალ მიწებს ართმევს. ამას ადგილობრივებიც ადასტურებენ. **„სახლები წყალში დგას, კედლებს ხავსი მოედო. ზღვა ჩვენი სახლიდან შორს იყო, მაგრამ ნელ-ნელა მოგვიახლოვდა და ახლა 500 მეტრზეა“,** – ამბობს ახლომდებარე ქალაქი ფოთის მცხოვრები ნელი ქოიავა.

ამ თვალსაზრისით, ლაზიკამ შესაძლოა, დატბორილი კრიმსკის ბედი გაიზიაროს, რომელიც საბჭოთა ხელმძღვანელობის ვოლუნტარისტული გადაწყვეტილებით პატარა დასახლების ადგილზე გაშენდა. ეს გადაწყვეტილება ადგილობრივი ლანდშაფტის თავისებურებების გაუთვალისწინებლად იქნა მიღებული, ხოლო მშენებლობის დასაბუთება ჩინოვნიკების სურვილებს უკვე შემდგომ მოარგეს. ბუნებასთან აგდებულმა დამოკიდებულებამ, ეკოლოგიური ნორმების იგნორირებამ ათეულობით წლის შემდეგ ტექნოგენური ხასიათის კატასტროფა გამოიწვია. სააკაშვილის ამბიციების გათვალისწინებით – რომ ახალი ქალაქის მოსახლეობამ 500 ათას ადამიანს უნდა მიაღწიოს, ლაზიკაში კატასტროფის მასშტაბებმა შესაძლოა 10-ჯერ გადააჭარბოს რუსულ კრიმსკში მომხდარი წყალდიდობის შედეგებს.

გარდა ამისა, ეკოლოგიის სფეროს ბევრი ექსპერტი თანხმდება იმაში, რომ ქალაქის მშენებლობა და ჭაობის დაშრობა განადგურების საფრთხეს შეუქმნის კოლხეთის ეროვნული პარკის უნიკალურ ეკოსისტემას, რომლის ტერიტორიაზეც გაშენდება ლაზიკა. ნაკრძალში შენარჩუნებულია მცენარეთა უნიკალური სახეობები, რომლებიც ევროპაში უკვე აღარსად გვხვდება. პალიასტომის ტბის გარშემო ბინადრობს იშვიათი ფრინველების 45 სახეობა, ხოლო მილიონობით გადამფრენი წყლის ფრინველი აქ მიგრაციის დროს ისვენებს. გარდა ამისა, მნიშვნელოვან კლიმატურ ფუნქციას ასრულებს ტორფნარები, რომლებითაც მდიდარია ადგილობრივი ნიდაგები. წვიმის დროს ტორფი ღრუბელივით ისრუტავს წყლის დიდ რაოდენობას და გვალვის დროს ნიადაგს გამოშრობისგან იცავს.

კოლხეთის ეროვნული პარკი მართლაც მსოფლიო მნიშვნელობის ნაკრძალია და იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში შეტანის კანდიდატად არის დასახელებული. 1992 წელს საქართველომ მსოფლიო საზოგადოებრიობის წინაშე ბუნების ამ ძეგლის დაცვის ვალდებულება იკისრა, ხელი მოაწერა რა საერთაშორისო კონვენციას მსოფლიო ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ.გარდა ამისა, 1997 წლიდან ამ ადგილებს იცავს რამსარის კონვენცია საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე წყალჭარბი ტერიტორიების შესახებ. თუმცა კონვენცია, რომლის დაცვაზე ზედამხედველობა შვეიცარიიდან ხორციელდება, დამრღვევებისთვის სანქციებს არ ითვალისწინებს, ის აფრთხილებს, რომ მათ შესაძლოა დაემუქროს **„პოლიტიკური და დიპლომატიური დისკომფორტი და საერთაშორისო საზოგადოებრიობის ან მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მკვეთრი რეაქცია“.**

როგორც ჩანს, სააკაშვილს მგავსი **„წვრილმანები“** არ აშფოთებს... თავისი აკვიატებული იდეის განხორციელებისთვის და საზღვარგარეთ საკუთარი საბანკო ანგარიშების შესავსებად ის მზად არის, არაფრად ჩააგდოს თავისი ქვეყნის ეროვნული მონაპოვარი, რომ არაფერი ვთქვათ ეკოლოგიის სფეროში საერთაშორისო ვალდებულებებსა და შეთანხმებებზე.

**ვანო დუმბაძე,**
**სპეციალურად „საქინფორმისათვის“**

# გაზეთ „ილორის“ რედაქციას!

ბატონო რედაქტორო,

გაზეთ **„ილორის“** 7-14 აგვისტოს ნომერში (№182) გამოქვეყნდა ბატონ ზურაბ ცუცქირიძის გამოხმაურება ჩემს წერილზე **„კუჭით დანახული ლელთ ღუნია“**, რომელიც ამავე გაზეთის (17-24 ივლისი, 179) ფურცლებზე დაიბეჭდა. ბატონი ზურაბი ბრალს მდებს ტენდენციურობაში, მისი პიროვნების განზრახ შეურაცხყოფაში, **„უაპელაციო ნეგატიურ შეფასებაში“...**

ნება მომეცით თქვენი გაზეთის საშუალებით ბოდიში მოვუხადო უნებლიე წყენინებისათვის და ორიოდე სიტყვით მივმართო ბატონ ზურაბს.

ბატონო ზურაბ,

ყურად ვიღე თქვენი რჩევა, – წერილი **„უმადურობა“** გულითა და გრძნობით კი არ წამეკითხა, არამედ გონებით. მართლაც ასე მოვიქეცი. დავრწმუნდი, რომ თქვენ საქართველოს, ქართველი ერის ტრაგიკული, კატასტროფული მდგომარეობა გაწუხებთ.

მერწმუნეთ, ძალიან ვწუხვარ, რომ ჩემი ზოგიერთი გამონათქვამი ლანძღვად და შეურაცხყოფად მიიღეთ.

ბატონო ზურაბ, თქვენ მიშელ მონტენის უკვდავი სიტყვები მოგაქვთ, სადაც ლაპარაკია აზრის გამოთქმის თავისუფლებაზე, თუნდაც სავსებით მიუღებელი აზრის გამოთქმის თავისუფლებაზე და არა ლანძღვაზე.

მოკრძალებით მინდა შევნიშნო, რომ როცა თქვენ საკუთარ აზრს გამოთქვამთ ქართველი ერის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაზე, უნებლიედ ქართველ ერს ლანძღავთ, აბრალებთ სულსწრაფობას თუ ქარაფშუტობას, უმადურობას, სიბრიყვეს, ეროვნულ გამოთაყვანებას... ქართველი ერის ისტორიულ ბრძოლას თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის აკნინებთ: **„ხალხის გაბრიყვებას კი ბევრი არაფერი უნდა: დაჰპირდი მუქთა სმაჭამას და იმწამსვე გადაეკეტება აზროვნების უნარი. აბა სხვა რა უნდა იყოს 80-იან წლებში ჩვენი ხალხის უკიდურესი აღტკინების მიზეზი“.** ეს თქვენი სიტყვებია, ბატონო ზურაბ, დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას **„ე.წ“** უწოდებთ!

არავისგან, საქართველოს მტრებისგანაც კი არ მსმენია, ჩვენი ეროვნული მოძრაობის ამგვარი შეფასება! ორგინალური ხედვა!

ღმერთმანი, თქვენი წყენა არ მინდოდა, მაგრამ მეგრელი კაცი ვარ, ცოტაზე მეტად ფიცხი, ემოციური და თქვენს მიმართ უკადრისი სიტყვა წამომცდა: **„შენი მუცლის ხეთქვამ!“** ესეც იმიტომ, რომ ქართველ ხალხს, ნიშნისგებით, ამ სიტყვებით მიმართეთ: **„თქვენი თავის ხეთქვამ“!**

ეს არის და ეს, ჩემი თქვენდამი **„უაპელაციო ნეგატიური“** მიმართვა, რისთვისაც კიდევ ერთხელ – ბოდიშს ვიხდი.

ბატონო ზურაბ, თქვენ გულისტკივილით ჩამოთვლით იმ უკეთურობებს, რომლებმაც საქართველო წალეკეს და აღნიშნავთ: **„დღეს დავით გურამიშვილი ან ილია ჭავჭავაძე ცოცხლები რომ ყოფილიყვნენ, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, კაი-კაი მკვახე შეძახილების მოწმენი ვიქნებოდით“.**

მეჩვენება, რომ ეს თავის მართლების უხერხული ფორმაა. მე დარწმუნებული იმაში ვარ, რომ ერის მამებს **„კაი-კაი მკვახე შეძახილების“** უფლება აქვთ, მაგრამ არ შეიძლება ყოველმა ჩვენთაგანმა წარამარა ვიძახოთ: ფურთხის ღირსი ხარ შენ საქართველო! არ შეიძლება ბატონო ზურაბ, იმიტომ, რომ დავკარგავთ ღირსების გრძნობას, დაგვეუფლება არასრულფასოვნების განცდა, დავბეჩავდებით, ნებისმიერი ვიგინდარა – თავში დაუსჯელად ჩაგვცხებს... როგორც ფილოსოფოსები ამბობენ: გადავიჩეხებით ეროვნული ნიჰილიზმის შავ მორევში!

თავს უფლებას ვაძლევ კიდევ ერთი შენიშვნა გამოვთქვა. თქვენ მწერთ: **„ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის ჩვენს ერს მზაობა არა ჰქონია, განა ეს არ დამტკიცდა 90-იან წლების დასაწყისში? განა თქვენ არ იცით, რომ ჩვენი სახელმწიფოებრივი მშენებლობა დროშების ფრიალს არ გასცდა? და როცა დამოუკიდებლობის მძიმე ტვირთის აწევა გახდა საჭირო, ნაცვლად იმისა, რომ საშრომლად მკლავები დაგვეკაპიწებინა (როგორც თავის დროზე გერმანელები მოიქცნენ სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებისათვის) მტრების კარნახით ცეცხლითა და მახვილით განვდევნეთ ეროვნული ხელისუფლება და ქვეყანა ანტიეროვნულ ძალებს გადავაბარეთ. იმის ნაცვლად, მთელი ერი ერთ მუშტად შევკრულიყავით, ჩვენ ხუთასი პარტია შევქმენით და ქვეყანა გავათითოკაცეთ.“**

ბატონო ზურაბ, მარტო დროშების ფრიალი არ ყოფილა! ჯერ ერთი წლისაც არ იყო ეროვნული ხელისუფლება, როცა მიწისძვრით დაზარალებული რაჭა და იმერეთი აღადგინა: მოასფალტდა გზები, მოსახლეობას უსასყიდლოდ აუშენდა ბლოკის სახლები, სკოლები, ბიბლიოთეკები, საავადმყოფოები... ამ სამუშაოს ჩასატარებლად საგარეო ვალი – კაპიკი არ აუღია! მაშინ მთელი ერი ერთ მუშტად იყო შეკრული და ხელებდაკაპიწებული მოხალისენი უხელფასოდ შრომობდნენ იმერეთსა და რაჭაში.

ნება მომეცით, ბატონო ზურაბ, გაგაცნოთ ამონარიდები ოფიციალური დოკუმენტებიდან: საქართველო 1991 წლის იანვარ-აგვისტოში (8 თვეში) უცხოეთის ქვეყნებს საექსპორტოდ 83,3 მლნ მანეთის პროდუქციას აწვდის: ბათუმის, ქუთაისის, ფოთის, რუსთავის, თბილისის ქარხნები მთელი დატვირთვით მუშაობენ და უცხოეთს თავიანთ გამოშვებულ პროდუქციას უგზავნიან.

ალბათ საჭიროა ვიცოდეთ, დროშების მოფრიალე ეროვნულმა ხელისუფლებამ რამდენი თანხა გამოყო ბიუჯეტიდან: სასკოლო ასაკის ბავშვებზე დახმარება – თვეში 285 მანეთი, ჯანდაცვის ღონისძიებებისთვის 845,9 მლნ მანეთი, სპორტისა და ტურიზმის განვითარებისათვის 30.0 მლნ მანეთი, მეცნიერების შემდგომი განვითარებისთვის 65,9 მლნ მანეთი, მრავალშვილიანი და მარტოხელა დედების დახმარებისათვის 55,3 მლნ მანეთი და ა. შ. (**„საქართველოს რესპუბლიკა”**-ში, **“სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობის შესახებ 1991 წლის იანვარ-აგვისტოში“,** თბ. 1991, **ნ ჭითანავა, „გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები“** II ნაწილი, თბ.1999 წ.)

ბატონო ზურაბ, სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ მოსული ანტიეროვნული ხელისუფლება, ბუნებრივია მალავდა დამხობილი ხელისუფლების საქმიანობას, უფრო უარესი, ავრცელებდა ჭორებს მისი უვარგისობის, დანაშაულებრივი ქმედებების შესახებ. ნუ დაუჯერებთ ამ მოარულ ჭორებს. გაეცანით ოფიციალურ დოკუმენტებს.

რაც შეეხება იმას, რომ ქართველი ერი დამოუკიდებლობისათვის მზად არ იყო და მან ცეცხლითა და მახვილით განდევნა ეროვნული ხელისუფლება, მაგონდება მიშელ მონტენის შეგონება და თქვენს ამ აზრს პატივს ვცემ, მიუხედავად იმისა, რომ მე რადიკალურად განსხვავებული აზრი მაქვს.

ეროვნული ხელისუფლება ხალხს არ დაუმხია.

ინტელიგენციის ზოგიერთი გაღორებული წარმომადგენელი, კრიმინალური მხედრიონელები, სხვადასხვა მასტის რეციდივისტები, ფიცის გამტეხი გვარდიელები და უცხოეთიდან მართული ზოგიერთი პოლიტიკური პარტია ერს არ წარმოადგენს. თქვენ გეხსომებათ, ბატონო ზურაბ, ქართველი ერის დაუმორჩილებლობა, დახვრეტილი მიტინგები, მრავალათასიანი საპროტესტო მანიფესტაციები, სისხლიანი ტერორი, სამეგრელოს ხუთგზის აოხრება, რაც წლების მანძილზე გაგრძელდა...

დღეს საიდუმლოს არ წარმოადგენს ის, რომ მსოფლიოს ფარული ხელისუფლება ნებისმიერ კონტინენტებზე, ნებისმიერ ქვეყანაში, რომლის ხელისუფლება მათი კარნახით არ დადის და საკუთარი ქვეყნის ინტერესებს იცავს, თავს ახვევს ქაოსს, არეულობას, სახელმწიფო გადატრიალებას. განწირული ქვეყნის ლიდერს ჯერ **„დიქტატორად“** მონათლავენ, ჭორებით სახელს უტეხენ, შემდეგ შინაურ მოღალატეთა ხროვას ცოფიანი ძაღლებივით მიუსევენ... ეროვნულ ხელისუფლებას დაამხობენ, განდევნიან, ძალაუფლებას ხელში ჩაიგდებენ, ამბოხებას კი სახალხო რევოლუციას დაარქმევენ...ასე მოხდა საქართველოშიც.

შეგახსენებთ, ბატონო ზურაბ, პუტჩის შემდეგ საკმარისი იყო ვინმეს ეთქვა გამსახურდიები სომხები არიანო და მაშინვე მინისტრის პორტფელს უბოძებდნენ ან დედაქალაქის მერად დანიშნავდნენ!...

ასე, რომ, ქართველ ერს ეროვნული ხელისუფლება ცეცხლითა და მახვილით არ განუდევნია. პირიქით, ქართველი ერი, საქართველოს ყველა კუთხე, როგორც იტყვიან, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იცავდა მის მიერ არჩეულ ეროვნულ ხელისუფლებას. მაგალითისთვის ჩემი მშობლიური კუთხე – სამეგრელოც კმარა.

ეროვნული ხელისუფლება ქართველმა ხალხმა კი არ დაამხო, არამედ ეს გააკეთა მოღალატეთა ხროვამ, გარეშე მტერების წაქეზებითა და დახმარებით.

მერწმუნეთ, სიძულვილი ან სხვა ქვენა გრძნობა არ მალაპარაკებს. ვწუხვარ იმაზე, რომ ჩვენ კვლავ ბედკრული საქართველოს შვილები ვართ.

პატივისცემით,

**ვახტანგ ჯეჯეია,**
**აბორიგენი სამურზაყანოდან**

**P.S.** *ჩემი გვარი – ჯეჯეიაა და არა ჯეჯელია, როგორც თქვენ მომმართავთ. ვფიქრობ უმჯობესია ქართულ ტრადიციულ სუფრასთან ვისაუბროთ, მაგრამ ერთი საშიშროება გვემუქრება. ემზარ ჯგერენაიას მახვილ თვალს ვერ დავემალებით! ეგრევე არშემდგარ მამაკაცებად და პედარასტებად შეგვრაცხავს.*

*ეჰ, მაინც არ არის საშველი...*

# კოლხეთი — კაცობრიობის ცივილიზაციის სათავე



დასაწყისი "ილორი" №171-183

## ფერეტე და მერმეროსი

*პონტოს ნაპირს რომ მოადგნენ*
*ოქროს ნავით,*
*ვინ არიან?!*
*ცა რომ შვენით მზით შემოსილთ,*
*და ასე რომ შინაურად ირჯებიან?*
*— ფერეტეა,*
*მეორე კი მერმეროსი —*
*კოლხ მედეას ბიჭებია.*

(**ვაჟა ეგრისელი, „კოლხური ფსალმუნები“**, გაზ. **„ლიტერატურული საქართველო“**, 2003, 8-14 აგვისტო).

მედეას თავისი ვაჟიშვილები არ მოუკლავს, არამედ ღირსეულ ადამიანებად გაუზრდია. ზოგიერთი ბერძენი მწერალი შვილების დახოცვას მედეას იმიტომ აბრალებდა, რომ გაემართლებინა „ბერძენი“ იასონის მიერ ოჯახის დაშლა, მედეასთან განქორწინება. იმასაც კი ამბობენ და გარკვევით წერენ — ევრიპიდე მოსყიდული იყო.

მედეას მიერ შვილების დახოცვის სცენის გადმოცემა მხატვრების, მოქანდაკეების, დრამატურგების მიერ ხელოვნური გამოდის. უცხოელები, კოლხეთის არაკეთილმოსურნეები ამას აკეთებდნენ, კოლხეთის გამოჩენილი მმართველის აიეტის, ასევე მედეას, გამოჩენილი მმართველისა და მკურნალის სახელის დასაკნინებლად.

მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს ფიხუნიას, ჰელიოსის, აიეტის, კირკეს (ცირცეს), მედეას სამეფოს მდებარეობას, მდგომარეობას, მის ბრწყინვალებას, მის მსოფლიო ისტორიული წარსულის მნიშვნელობას და ა.შ.

პროფესორი ლევან სანიკიძე წერს: ჩვენთვის ცნობილია **„პირველი ქართველი ქალი“** მედეა, რომელსაც დღემდე მსოფლიოში იცნობენ, როგორც ღვიძლი შვილების მკვლელს. მაგრამ თვით ბერძნული წყაროებით ნათლად დასტურდება, რომ კოლხი ასულის შურისგება ასეთ საშინელ უკიდურესობამდე არ მისულა. ეს მხოლოდ ევრიპიდეს მიერაა მოგონილი თავისი უკვდავი ტრაგედიისათვის“ და ხაზგასმით აღნიშნავს იმასაც, რომ თითქმის ყველა ბერძენი მწერალი ტენდენციური იყო. ისინი ჩქმალავდნენ უცხო — **„ბარბაროსი“** ხალხების მიღწევებსა და ზომაზე მეტად განადიდებდნენ თანამემამულეთა — ელინთა საქმეებს. (ამ მხრივ შეგვიძლია სამაგალითოდ მივიჩნიოთ ცნობილი **„არგონავტიკა“**, რომლის ავტორი შეეცადა მიახლოებით მაინც აღედგინა ძველთაძველი კოლხეთისა და საბერძნეთის ურთიერთობის მართებული სურათი (**ლევან სანიკიძე**, ამბავი კოლხი ასულისა. თბ., 1963, ანოტაცია).

რადგან ბერძნული მითი წინ უსწრებს ტროასა და თებეს ელინურ თქმულებებს და ჩანს, შექმნილია ძვ. წ. II ათასწლეულის I ნახევარში, რომელშიც აღწერილია ძველი წელთაღრიცხვის XIV საუკუნის (XXXIV საუკუნის წინანდელი) კოლხეთის მდგომარეობა, თქმულება **„ოქროს საწმისის“** შესახებ — ვერძის ოქროსმატყლიანი ტყავი, ჩამოკიდებული იყო მდინარე ფასისის ახლოს, არესის ველზე, წმინდა ჭალაში, ლაპარაკია კირბებზე (კვირბი — წიგნები), რომლებშიც საკანონმდებლო, რელიგიური, კარტოგრაფიული, მხატვრული შინაარსის ტექსტები, წიგნები — მრავალი ცნობარი და დიდი ცოდნა იყო თავმოყრილი. მედეამ საბერძნეთში **„ნებაყოფლობით“** წაიღო — მამის, კოლხთა (აიას) მეფის ჰელიოსის ძე აიეტის (იხ. **სიმონ მასხარაშვილი**, თანხა, რომელიც მთელმა მსოფლიომ უნდა გადაუხადოს საქართველოს, ალბათ არითმეტიკისათვისაც კი მიუწვდომელია! (იმის საფასურად რაც კოლხეთიდან გაიტაცეს — კ. შ.), გაზ. **„ასავალ-დასავალი“,** 2003, 15-21 სექტემბერი), სპილენძის სამისნო ყუთიც, რომელშიც უძველესი კოლხური წარწერები, მეცნიერული აღმოჩენები და მიღწევები, გამოკვლევები, მასალები იყო შენახული.

XIX საუკუნეში დადიანების მოწვევით, სამეგრელოში ნამყოფი მეცნიერი დიუბუა დე მონპერე წერდა: კოლხეთის ხალხი და მეფე, რომლებმაც გულთბილი მიღება მოუწყვეს არგონავტებს, **„ცივილიზაციის გაცილებით უფრო მაღალი საფეხურებზე იდგნენ, ვიდრე ეს ფათერაკების მაძიებელნი და მათი მოლაშქრენი, რომლებიც მათთან საძარცვად მოვიდნენ და დაარღვიეს სტუმართმოყვარეობის ყველა კანონი“.**

მითის მიხედვით, იასონის თხოვნით და ათენას რჩევა-დარიგებით თესალიელი არესტორის ვაჟმა არგოსმა ააგო ორმოცდაათნიჩბიანი ხომალდი. ცნობილია (ჩამოთვლილია) ლაშქრობაში ორმოცდაათი მონაწილის სახელი. ეს იყო აქაველთა პირველი, ესოდენ წარმომადგენლობითი საზღვაო ექსპედიცია. „არგოს“ მეზღვაურებს არგონავტების გარდა მინიებსაც უწოდებდნენ, რადგან მათი უმეტესობა თესალიელი მინიასის ქალთა შთამომავალი იყო.

გზად ისინი (მინიები — არგონავტები) ხალიბების ქვეყანას მიადგნენ, რომლებიც მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობას არ მისდევდნენ და თავს რკინის მოპოვებითა და მისი სურსათზე გაცვლით ირჩენდნენ. მინიებმა ჩაუარეს მათ მეზობლად მცხოვრები ტიბარენების, ასევე მოსინიკების ქვეყნებს. ცურვით ჩაუარეს ფილირეს კუნძულს, მაკრონების, ბექირების, საპარების, ბიძერების მიწებს და კავკასიონის მთებს მიაღწიეს, სადაც პრომეთე იყო მიჯაჭული. მათ იხილეს არწივი, რომ მიფრინავდა და პრომეთეს კვნესაც შემოესმათ შორიდან. მინიებმა მიაღწიეს კოლხეთის მდინარე ფასისს და შეცურეს მასში. შემდეგ აფრამოხსნილი ხომალდი მახლობლად მდებარე ლერწმით დაფარულ ჭაობში შეაცურეს და ღუზა ჩაუშვეს. (**რისმაგ გორდეზიანი,** არგონავტები, თბ., 1999, გვ. 12, 25-27.).

**„პრომეთე“** კოლხეთის გმირია, ეს სახელი მას ელინებმა შეარქვეს, კოლხეთში მას **„ამირანი ჰქვია“** (ლევან სანიკიძე).

ძველბერძნული მითოლოგიის თანახმად, პრომეთე ითვლება ადამიანთა მოდგმის შემქმნელად, რომელმაც თავად „გამოძერწა“ ღმერთის მსგავსი პირველი ადამიანი მიწისა და წყლისაგან. პრომეთე აძლევს კაცობრიობას გონებას, მოსავს სამოსელით, ასწავლის სახლების აშენებას, ხელობას, დათვლას, წერა-კითხვას, წელიწადის დროთა გარჩევას, მსხვერპლშეწირვას და წინასწარგანჭვრეტას, ე.ი. საერთო ჯამში, ტექნიკურ პროგრესს. ამისათვის ზევსი(ზევსს ტყუპი შვილები ჰყავდა: პოლიდევკე და კასტორი.) მას მიაჯაჭვავს კავკასიის მთებზე (მოსხის მთაზე, მესხეთის, იგივე სამეგრელოს მთაზე), ხოლო, მის ძმას — ატლანტს — სამყაროს თაღზე განუწესებს მუდმივ სასჯელს, რათა საკუთარი მხრებით ეჭიროს სამყარო. (**А.А. Нейхарт, Легенды и сказания древней Греции и древнего Рима,** 1987, стр. 93-97. იხ. აგრეთვე **ირინა გვიაშვილი, ირაკლი კოპლატაძე.** ტაოკლარჯეთი, თბ., 2004, გვ. 13.).

როგორც ცნობილია, კოლხეთისაკენ მიმავალი არგონავტები შეძრა ტიტანის — პრომეთეს, იაპეტის ძის გმინვამ, რომ თითქოს ღმერთმებს გათანაბრებულმა ჰერაკლემ უარი თქვა მგზავრობის ხელმძღვანელობაზე და ამ მოვალეობას უთმობს მის ინიციატორ-იასონს. ჰერაკლეს, განგების ნებით, მონაწილეობა არ მიუღია ოქროს საწმისის მზაკვრულ მოტაცებაში, ის დროებით შეენაცვლა ატლანტს ცის თაღის დაჭერაში და, ჰერაკლე კვლავ ესტუმრება კავკასიას, განგმირავს არწივს და გაათავისუფლებს პრომეთე-ამირანს.

ძველბერძნული მითოლოგიით, კავკასიის მთებიდან პრომეთე წარღვნის შესახებ, აუწყებს თავის ვაჟს დევკალიონს და ურჩევს, რომ მან შეკრას კიდობანი, თან წაიყვანოს თავისი მეუღლე პირა და მოამარაგოს საგზალ-სანოვაგით. წარღვნის შედეგად დევკალიონის და პირას კიდობანი მიადგება ორთავა მთის მწვერვალს (მთა პარნასს). წარღვნის შესახებ მსგავსი მითი აქვთ, ძველ ებრაელებსაც. ბოლოს ნოეს კიდობანი ჩერდება ურარტუს მთასთან, საიდანაც სათავეს იღებს კაცობრიობის ახალი მოდგმა — იბერიულ-კავკასიური, ანუ იაფეტური (ნოეს ერთ-ერთი ვაჟიშვილის, იაფეტის) მოდგმა, რომელიც პროტოქართული მოდგმის დასაბამია. ამიტომ შემთხვევით არ ხმარობენ თანამედროვე დასავლეთელი თეთრკანიანი რასის აღმნიშვნელად სიტყვას **„კავკასიელი“.**

პროფესორი მიხეილ ჩიქოვანი ამბობს: **„ბერძნული მითოლოგიის ცენტრალურ ფიგურას, უძლიერეს ღვთაებას ზევსი წარმოადგენს. ზევსი ოლიმპოს მბრძანებელია და იქ განისვენებს, დროდადრო კი ქვეყნის სხვა კუთხეებსაც ეწვევა. ბერძნულ წყაროებში ზევსი და მისი რომაული სახესხვაობა იუპიტერი გაიგივებულია ცის თაღთან, ცის კამარასთან“.** ზევსი ჩვეულებრივი ბავშვივით არის დაბადებული. მომავალი გმირი-ღვთაება დიდის მოხერხებით გადაარჩინა მშობელმა დედამ თავისივე მამის — შვილების მყლაპველი კრონოსისაგან, რომელსაც ტახტის დაკარგვის ეშინოდა და ამიტომ საკუთარ შვილებს დაბადებისთანავე სპობდა. ზევსი დავაჟკაცდა თუ არა დაამხო კრონოსი და ქვესკნელში ჩააგდო. თვითონ ოლიმპოს მბრძანებელი გახდა და ქვეყნის მმართველობა გაუყო — პოსეიდონს და ჰადეს, მაგრამ, როგორც კრონოსზე გამარჯვებული, ზევსი უპირველესი ხდება. ზევსი ამაღლებული ღვთაებრივი სახეა, ყოვლისშემძლე და მბრძანებელი (**მიხეილ ჩიქოვანი,** ბერძნული და ქართული მითოლოგიის საკითხები, თბ., 1971, გვ. 9.).

მიხეილ ჩიქოვანი აღნიშნავს, რომ პრომეთესთან თავისი სიუჟეტით და ფილოსოფიური კონცეფციით კავკასიონის ქედზე მიჯაჭვული ღმერთთან მებრძოლი ამირანი დგას, რომლის სახელთან დაკავშირებული გადმოცემანი **ხნოვანებით ბერძნულ მითებზე ადრინდელი აღმოჩნდა** (ხაზგასმა ჩემია — კ. შ). ეს მარადიული სახეები დამოუკიდებელი ისტორიის მქონე მხატვრული ორეულები არიან. აღსანიშნავია, რომ ბერძნული მითის უძველესი ვერსიები არ იცნობს გმირის კავკასიონზე მოჯაჭვას (ჰესიოდე, ესქილე): რომ კავკასიაში მუქარით მოიხსენიებდნენ, დევნიდნენ არწივს და ამ ნიადაგზე მტკიცე ჩვეულება ჩამოყალიბებულა: III საუკუნის მოღვაწე ფილოსტრატე წერს: „კავკასიის მცხოვრებნი არწივს თავიანთ მტრად თვლიან და ბუდეებს, არწივები კლდეში რომ იკეთებენ, სწვავენ ცეცხლოვანი ისრებით, აგრეთვე მათ ხაფანგებსაც უგებენ. ყველა ამას ისინი პრომეთესათვის შურისძიებით ხსნიან; ასე მტკიცედ არიან ისინი დარწმუნებულნი — გადმოცემის სიმართლეში“ (**В. Латышев. Известия древних писателей о Скифии и Кавказе,** 1948, Стр. 294 (მითითებული გვაქვს მიხეილ ჩიქოვანის ბერძნული და ქართული..., გვ. 93-95. იხ. აგრეთვე მ. ჩიქოვანის მიჯაჭული ამირანი, თბ. 1948, ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, თბ., 1956).). ოლიმპოს მპყრობელმა ზევსმა პრომეთე სასტიკად დასაჯა, შორეულ კავკასიონზე მიჯაჭვითა და გულღვიძლის მჭამელი არწივის მიჩენით.

პრომეთეს სიუჟეტის ერთ-ერთი უძველესი ვარიანტია დიდი პოეტის მითოგრაფის ჰესიოდეს **„თეოგონიაში“** ეს ერთგვარად დაკავშირებულია ქართულ ამირანოლოგიასთან.

პრომეთეს მითთან არის დაკავშირებული კეკლუცი, ცაბიერი პანდორას შექმნის ისტორია. როცა პრომეთემ ზევსი მეორედ მოატყუა და ოლიმპოდან ცეცხლი მოიპარა და ქვეყნად ჩამოიტანა, გაბრაზებულმა ზევსმა გადაწყვიტა ტიტანის მკაცრად დასჯა, ადამიანებს კი დიდი უბედურებანი მოუვლინა. ეს შესანიშნავად, ლამაზ, ლექსად (პოემა) აქვს გადმოცემული ჰესიოდეს **„თეოგონიაში“.**

როგორც პროფ. მიხეილ ჩიქოვანი მიუთითებს **„პანდორა“** ბერძნულად ყველაფრით დაჯილდოებულს ნიშნავს. მაცდური ქალის შექმნაში ბევრ ზეციურ არსებას მიუღია მონაწილეობა: მჭედლობის ღვთაება ჰეფესტოსი მას თიხისაგან ძერწავს, და თავსაბურად ოქროს გვირგვინს გაუჭედავს; ღმერთ-ქალი ათენა პალადა — ლამაზი სამოსით და ძვირფასი სამკაულით შეამკობს; სხვა ღმერთები — სულს ჩაუდგამენ, თიხის ულამაზეს ფიგურას — სიცოცხლეს მიანიჭებენ; უძლიერესი ჰერმესი — ქალს მაცდური და მლიქვნელი ენით დააჯილდოებს. ამნაირად შეიქმნა პანდორა, რომელმაც სამყაროს — კაცობრიობას აურაცხელი ბოროტება, სნეულება, ტანჯვა, მწუხარება მოუტანა; თავისი წინდაუხედაობით და დაუოკებელი ცნობისმოყვარეობით ყუთი გახსნა, სადაც ბოროტება და სნეულებანი იყვნენ ჩაკეტილნი.

თუმცა, კეკლუც პანდორას გამოჩენას ტიტანის თავგადასავალთან უშუალო კავშირი არა აქვს.

ქართველი ხალხი უძველესი დროიდან, უმღეროდა ხალხისათვის თავდადებულ ღმერთებთან, დევებთან მებრძოლ გმირს, ოდებს უძღვნიდნენ მას მწერლები, პოეტები. შესანიშნავი ლექსები მიუძღვნეს ეროვნულ გმირს პაოლო იაშვილმა, გალაკტიონ ტაბიძემ და მრავალმა სხვამ. 1883 წლიდან ჰიმნის სახით იყო გავრცელებული აკაკი წერეთლის ლექსი **„ამირანი“,** რომელშიც ნათქვამია:

**კავკასიის მაღალ ქედზე**
**მიჯაჭვული ამირანი**
**არის მთელი საქართველო**
**და მტრები კი ყვავ-ყორანი.**

ღმერთებთან მებრძოლ ამირან-პრომეთეს სამშობლო საქართველოა (იბერია). ისტორიულად ორი იბერიაა ცნობილი — აღმოსავლეთისა და დასავლეთის. პირველი — კავკასიაშია მოთავსებული, შავი და კასპიის ზღვებს შორის, მეორე პირენეის ნახევარკუნძულზეა, ევროპის უკიდურეს დასავლეთ საზღვარზე, თანამედროვე ესპანეთს წარმოადგენს. მეცნიერებაში, — წერს მიხეილ ჩიქოვანი, — საბოლოოდ გარკვეული არ არის, თუ რამ გამოიწვია ქვეყნის სახელების ამგვარი დამთხვევა. ამ შემთხვევაში საკითხი ეხება ორი მეტად დაშორებული ქვეყნის ერთნაირ კულტურულ-ისტორიულ მონაცემებს. ისიც ცნობილია (ზემოთაც გვაქვს ნათქვამი), რომ ძველ სამეგრელოს იბერია ერქვა, რომელიც (სახელწოდება) შემდეგ, განსაზღვრულ პერიოდში, აღმოსავლეთ საქართველოზეც გავრცელდა.

პროფ. მიხეილ ჩიქოვანი წერს: **„ჰომეროსის „ოდისეა“ არის უძველესი ეპოპეა, რომელსაც არც მხატვრული ძალით და არც რჩეულობით ბადალი არ ჰყავს თავის დროზე და უფრო ადრინდელ მწერლობაში, თუ თვითონ იგივე მწერლის მეორე ასევე სახელოვან პოემას — „ილიადას“ არ მივიღებთ მხედველობაში. „ოდისეა“ სრულყოფილი საგმირო ეპიკური ძეგლია“.**

გვინდა ხაზგასმით ვთქვათ, რომ 3300 წლის წინ არგონავტების კოლხეთში ლაშქრობის მარშრუტი ასეთია: ეგეოსის ზღვის კუნძულებიდან — კუნძული ევბეა, იოლკოსი (იოლქოსი, იოკოლხი), დარდანელის სრუტე, მარმარილოს (პროპონტისის) ზღვა, ბოსფორის სრუტე, შავი ზღვა, მდინარე ფასისი (რიონი), **„ნავსადგური“** სუჯუნა, მიმდებარე სოფლები ნორიო, წყემი, გეჯეთი და ბოლო პუნქტი, სადაც **„არგომ“** ღუზა ჩაუშვა, უნდა იყოს კოლხეთის დედაქალაქი **„აია“**-ს ახლოს მდებარე ტერიტორია.

**კლიმენტი შელია,**
**პროფესორი,**
**მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე.**

*(გაგრძელება შემდეგ ნომერში)*

# ეროვნული მნიშვნელობის შეცდომა

საქართველოში მოხდა საშინელი ტრაგედია – საქართველოს მოწყდა მისი ისტორიულად მკვიდრი ნაწილი, აფხაზეთი.

სამწუხაროდ, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, დღესაც არ არის ზუსტად დადგენილი თუ რამ განაპირობა ეროვნული მნიშვნელობის საშინელი ტრაგედია და სათანადოდ არც ის გზაა მონახული, რომელიც აღადგენდა ისტორიულ კანონზომიერებას.

საქართველოს მთავრობის წევრები, ქართველი პოლიტიკოსები ერთმნიშვნელოვნად აცხადებენ, რომ აფხაზური მოვლენა განაპირობეს რუსულმა ძალებმა, მაგრამ არაფერს ამბობენ ქართული მხარის მიერ დაშვებულ შეცდომებზე, რიმლებმაც არანაკლები, თუ არა გადამწყვეტი როლი შეასრულეს აფხაზურ ტრაგედიაში.

აფხაზეთის ტრაგედიაზე ჩემი მოსაზრებები გავაცანი საზოგადოებას წიგნებით: **"დიდი საქართველოს ტრაგედია"** (1997წ.), **"ეგრისის სამეფო და ქართული სახელმწიფოებრიობა"** (2003წ.), **"კოლხები ქართველების წინაპრები"** (2007წ.), ნარკვევით **"ერის დიდი სატკივარი"** (1995წ.), ბროშურებით, **"გვარები მეტყველებენ"** (1995წ,), **"დანაშაულის ტოლფასი უთქმელობა"** (2003წ.), "Правда об Абхазии" (2003წ.), მთელი რიგი სტატიებით და წერილებით, სადაც ჩამოვაყალიბე ჩემი აზრი თუ რამ განაპირობა აფხაზური ტრაგედია და ამჟამად არ შევუდგები განმეორებას მაგრამ მინდა კიდევ ერთხელ შევახსენო საზოგადოებას იმ უმძიმეს შეცდომაზე, რომელმაც უაღრესად ცუდი როლი შეასრულა აფხაზეთის საშინელ მოვლენებში.

აღნიშნული შეცდომის არსი მდოგარეობს შემდეგში – არა თუ მსოფლიო საზოგადოებამ, არამედ ქართველმა ხალხმაც არ იცოდა სიმართლე აფხაზეთზე, აფხაზებზე, აფხაზებში საუკუნეების განმავლობაში მიმდინარე ანტიქართულ პროცესზე, რამაც ძირითრადად განაპირობა აფხაზების აშკარა გაუცხოება ქართულ სინამდვილიდან და ერთ-ერთი გადამწყვეტი როლი შეასრულა აფხაზეთში მომხდარ საშინელ ტრაგედიაში, რასაც მივიჩნევ ეროვნული მნიშვნელობის უმძიმეს შეცდომად.

დარწმუნებული ვარ, რომ ეს არის ქართული მთავრობის წარმომადგენლების და ქართველი მეცნიერების მიერ დაშვებული შეცდომა.

უფრო მეტი ეტყობა, მათ იმდენად ვერ გააცნობიერეს ამ შეცდომის უდიდესი ეროვნული მიშვნელობა, რომ დღესაც არ არის ნათქვამი სიმართლე აფხაზეთზე და იქ მიმდინარე ანტიქართულ პროცესებზე, რასაც გამართლება არა აქვს.

უფრო მეტი, გამოვიდა **"საქართველოს ისტორია"** (2012წ.), რომელშიც ისევ არაა ნათქვამი სიმართლე აფხაზეთზე. პირიქით, აფხაზები წარმოდგენილი არიან ჩრდილო-კავკასიელებად.

არადა, "საქართველოს ისტორია" შედგენილია ცნობილი ქართველი ესტორიკოსების მიერ, რომლებსაც მორალური უფლება არ ჰქონდათ არ ეთქვათ სიმართლე აფხაზეთზე, აფხაზებზე, იქ მიმდინარე პროცესებზე და არ შეეთავაზებინათ საზოგადოებისათვის მოსაზრება თუ რა უნდა გაკეთდეს ისტორიული სინამდვილის აღსადგენად.

თუ არა და სიმართლე აფხაზეთზე შემდეგია:

აფხაზები ქართველები იყვნენ, უფრო ზუსტად, აფხაზეთში მცხოვრებ მეგრელებს ერქვათ აფხაზები.

აფხაზების მშობლიური ენა იყო მეგრული.

აფხაზებს მეგრული გვარები ჰქონდათ და დღესაც ძირითადად ასევეა.

აფხაზეთი ეგრისის სამეფოს რიგითი საერთაო იყო ახალი წელთაღრიცხვის I-II საუკუნეებიდან.

აფხაზები, როგორც მეგრული ტერიტორიული ჯგუფის წარმომადგენლები I-საუკუნიდან ქრისტიანები იყვნენ.

აფხაზეთში ყველა ტოპონიმი მეგრული იყო და დღესაც თითქმის ასეა.

მართალია ნაწილი ტოპონიმების ე.წ. აფხაზურ სტილზეა გადაკეთებული მაგრამ აშკარად ემჩნევა, რომ მეგრული ტოპონიმი იყო.

როგორც ცნობილია, ძველი წელთაღრიცხვის VII საუკუნიდან კიმერიელების შემოსევების შედეგად კოლხეთის სამეფო, ფაქტობრივად დაიშალა და მის ტერიტორიაზე წარმოჩინდა ეგრისის სამეფო, რომელსაც ბერძნები კოლხეთის სამეფოდ მოიხსენიებდნენ სათანადოდ მეგრელებსაც კოლხებს ეძახდნენ. სწორედ ამ ეპოქიდან კოლხურ ენას ეწოდა მეგრული ენა.

კოლხეთის სამეფოში, შემდგომ კი ეგრისის სამეფოში 20-ზე მეტი ტერიტორიული ჯგუფია დასახელებული - ხალდები, ხალიბები, ჰენიოხები, მისიმიანები, სანები, სანიგები, მანრალები, მაკრინები, შკვითინები, დრილები, კორაქსები და ა.შ.

ბერძნები მათ ყველას კოლხებად (მეგრელებად) მოიხსენიებდნენ, მათი მშობლიური ენა იყო მეგრული და ისინი ამ სახელებით იმიტომ იწოდებდნენ, რომ ცხოვრობდნენ კოლხეთის (ეგრისის) სამეფოს იმ კუთხეებში, რომლებსაც ეს სახელები ერქვათ. სამწუხაროდ, უცნობია რა ტერიტორიებს მოიცავდნენ ეს ტერიტორიული ჯგუფები, მით უმეტეს ახალი წელთაღრიცხვის საწყისი საუკუნებიდან ისინი ფაქტობრივად არ ჩანან ქართულ სინამდვილეში, მაგრამ სანაცვლოდ ეგრისის სამეფოში წარმოჩნდნენ ახალი საერისთავოები ლაზეთის, ჭანეთის, აფხაზეთისა და მერგვეთის.

ბუნებრივია, ამ საერისთავოებს საფუძველი ჩაუყარეს იმ ტერიტორიულმა ჯგუფებმა, რომლებიც შედიოდნენ ეგრისის სამეფოში, სათანადოდ ეს მოვლენა არ იყო დაკავშირებული რაიმე ეთნიკურ ცვლილებებთან.

სწორედ ამ ეპოქიდან მოყოლებული ლაზიკაში მცხოვრებ მეგრელ დაერქვა ლაზი, ჭანეთში – ჭანი, აფხაზეთში – აფხაზი, მარგვეთში – მარგველი.

ამდენად ყველანი მეგრელები იყვნენ, მათი მშობლიური ენა იყო მეგრული და მათ ყველას მეგრული გვარები ჰქონდათ.

როგორც მიღებული იყო ამ საერისთავოების მმართველი დინასტიების წარმომადგენლები ეგრისის სამეფო დინასტიის ახლობლები იქნებოდნენ.

სამწუხაროდ, უცნობია ლაზეთ-ჭანეთის ერისთავების გვარები, მაგრამ მარგვეთის ერისთავები იყვნენ ბაღვაშები, ხოლო აფხაზეთისა შარაშიები.

ამ გვარების ეგრისის სამეფო გვართან კავშირზე მეტყველებს ის გარემოებაც, რომ ამბობენ თითქოს დადიანების ადრინდელი გვარი იყო ბაღვაში.

სხვათა შორის IV-VII-საუკუნეებში ეგრისის სამეფოს სათავეში აღმოჩნდა ლაზური დინასტია და სამეფოს ეწოდა **„ლაზიკის"** სამეფო, ხოლო მოსახლეობას ლაზები.

VIII-X საუკუნეებში ეგრისის სამეფოს სათავეში აღმოჩნდა აფხაზური დინასტია და სამეფოს ეწოდა **„აფხაზთა"** სამეფო, ხოლო მოსახლეობას აფხაზები.

როგორც ცნობილია, ამ მოვლენებს არავითარი ცვლილებები არ მოჰყოლია, არც ეთნიკური და არც ენობრივი.

მართალია, **„ლაზიკის"** სამეფოს ეპოქაში მოსახლეობას ლაზებად მოიხსენიებდნენ, ხოლო **„აფხაზთა"** სამეფოს ეპოქაში აფხაზებად, მაგრამ ფაქტობრივად ყველა ისინი მეგრელები იყვნენ, მათი მშობლიური ენა ისევ მეგრული იყო და ყველას მეგრული გვარები ჰქონდათ.

უფრო მეტი, სწორედ აფხაზთა სამეფოს ეპოქაში (VIII-VI-სს) დიდი ქართული საქმეები გაკეთდა, რამაც ძირითადად განაპირობა საქართველოს გაერთიანება.

– აფხაზთა სამეფომ შეძლო ყოფილი იბერიის (ქართლის) სამეფოს ტერიტორიის დაპყრობა (IX-საუკუნის ბოლოს) და იქ თავისი ერისთავის დასმა.

– აფხაზთა სამეფოს დედაქალაქი გახდა ქუთაისი (IX-საუკუნის ბოლოს), რაც ტერიტორიულად უფრო გამართლბული იყო.

– აფხაზთა სამეფოს სახელმწიფო ენა გახდა ქართული.

– აფხაზთა სამეფოს ეკლესია მცხეთის ეკლესიას დაექვემდებარა.

დღესაც აღფრთოვანებას იწვევს იმ ეპოქის მეგრული დიდებულებისა და მეგრული ხალხის (მათ შორის ლაზების, აფხაზებისა და მარგველების) ეროვნული თვითშეგნება. – მათ შეეძლოთ ქართლშიც სახელმწიფო ენად დაედგინათ მეგრული და ქართლის ეკლესია მარტვილის ეკლესიისთვის დაექვემდებარებინათ, რადგანაც მათ ჰქონდათ ქართლი დაპყრობილი და არა პირიქით.

სწორედ ამით ისინი ეუბნებოდნენ ხალხს, რომ მათ ქართლი კი არ დაუპყრიათ, არამედ ეს იყო აუცილებელი ღონისძიება საქართველოს გასაერთიანებლად.

სხვათა შორის, ეგრის-აფხაზეთის მეფე კონსტანტინე (IX-საუკუნის ბოლოს) ჩავიდა ქართლში და ცდილობდა კახეთისა და ჰერეთის სამთავროების შემოერთებას, მაგრამ სამხრეთ ქართველთა მეფე ადარნასე შეეკრა სომხეთის მეფე სუმბატს და მოლაპარაკების დროს მეფე კონსტანტინე დააპატიმრეს.

როგორც სომხური წყარო იუწყება, ამას აღუშფოთებია მეგრული ხალხი და მეგრული დიდებულები და შეუთვლიათ – თუ არ გაათავისუფლებდნენ მათ მეფეს, ისინი სამაგიეროს გადაუხდიდნენ.

ეტყობა, მათ ჰქონდათ ამისი შესაძლებლობა, ვინაიდან კონსტანტინე მეფე გაათავისუფლეს.

აშკარაა, რომ მეგრული ხალხი და მეგრული დიდებულები დარწმუნებული იყვნენ, რომ აფხაზი კონსტანტინე მეგრელი იყო.

არა და, თუ ასე არ მიაჩნდათ მათ შეეძლოთ სხვა მეგრელი მეფე დაესვათ.

მართლაც, ეგრის-აფხაზეთის სამეფოს ინიციატივა იყო ჩვენი ქვეყნის გაერთიანება, სწორედ მეგრელი დიდებულებისა და მეგრელი ხალხის დამსახურებაა ამ იდეის განხორციელება.

ეგრის-აფხაზეთის უსინათლო და უშვილო მეფემ თეოდოს II-მ, მემკვიდრედ აიყვანა დისშვილი, სამხრეთ ქართველთა მეფის ბაგრატ II-ის შვილიშვილი, ბაგრატ III (975წ), რაც იძლეოდა იმის საფუძველს, რომ ჩვენი ქვეყანა დინასტიური გზით გაერთიანებულიყო, ვინაიდან ბაგრატ III-ს, როგორც ეგრის-ფხაზეთის მეფის მემკვიდრეს მემკვიდრეობით ერგებოდა – ეგრის-აფხაზეთის სამეფო და ქართლი, სამხრეთ ქართველთა სამეფო, როგორც მისი მეფის ბაგრატ III-ის შვილისშვილს და ტაოს საკურაპალატო, როგორც დავით III-ის შვილობილს. სამწუხაროდ ეს ასე, არ მოხდა.

ეგრის-აფხაზეთის მეფის ერისთავი ქართლში, დიდი პიროვნება იოანე მარუში, (მარუშის-ძე) მოვიდა დავით III-სთან, ბაგრატ II-სთან წინადადებით ბაგრატ III-ეცნოთ ერთიან სამეფოს მეფედ, რაზეც ისინი კატეგორიული წინააღმდეგნი წავიდნენ და ბაგრატ III ქუთაისში აკურთხეს მხოლოდ ეგრის-აფხაზეთის მეფედ (978წ).

სამწუხაროდ, 30 წელზე მეტი ხნის განმავლობაში იბრძოდა ბაგრატ III ჩვენი ქვეყნის გასაერთიანებლად.

ამ მიზნით ის ებრძოდა ბაბუას, ქართველთა მეფე ბაგრატ II-ს, მამას გურგენს, დავით III კურაპალატს. კახეთისა და ჰერეთის მთავრებს, ქართლის დიდებულებს და ამ ბრძოლაში მისი ერთადერთი დასაყრდენი ძალა იყო მეგრული ხალხი, მათ შორის ლაზები, ჭანები, აფხაზები და მარგველები.

მართლაც, ბაგრატ III-მ მხოლოდ 1008-10 წლებში შეძლო ჩვენი ქვეყნის გაერთიანება და გახდა ერთიანი საქართველოს პირველი მეფე.

სხვათა შორის, ერთიან სამეფოს დაერქვა ეს **„საქართველოს სამეფო"** მხოლოდ იმიტომ, რომ ბაგრატ III წარმოშობით ქართველთა სამეფოდან იყო.

ჩვენი ქვეყნის სამეფოები მასში შევდინენ სამთავროებისა და საერისთაოების სახით, თუმცა დასავლეთ საქართველოს **„უცილოდ პატრონად"** დადიანი მიიჩნეოდა და მასვე ემორჩიდებოდა აფხაზთა საერისთავოც.

ამ ეპოქიდან აფხაზთა ერისთავები მუდამ იყვნენ ლაზური წარმოშობის აფხაზურ გვარის, შარაშიას (ქართული წყაროებში შერვაშიძე) წარმომადგენლები.

ერთიანი საქართველოს ეპოქა (XI-XV-სს) იყო ყველაზე მნიშვნელოვანი ეპოქა საქართველოს ისტორიაში, როდესაც სამეფომ აშკარა სიძლიერეს მიაღწია და ტერიტორიულადაც გაფართოვდა. სამწუხაროდ მონღოლების, თემურლენგისა და სხვა ურდოების შემოსევამ განაპირობა ერთიანი სამეფოს დაშლა (XV-საუკუნის ბოლოს) და ქართლისა და იმერეთის სამეფოების წარმოჩენა.

მართალია, სამეგრელოს სამთავრო იმერეთის სამეფოში შედიოდა, მაგრამ მის შემადგენლობაში ისევ დარჩნენ გურიისა და აფხაზეთის საერისთავოები სვანეთი და ლეჩხუმი.

როგორც საქართველოს ისტორიიდან სჩანს, ხშირად ერისთავები ცდილობდნენ დამოუკიდებლობის მოპოვებას, რასაც არერთხელ გამოუწვევია არეულობა ქვეყნის სინამდვილეში.

XVI-საუკუნის ბოლოს გურიის საერისთავომ მიაღწია სამეგრელოს სამთავროდან გასვლას და უშუალოდ იმერეთის მეფეს დაემორჩილა.

**ანზორ შონია**
**მკვლევარი, „ფაზისის"**
**აკადემიის წევრი**
*(გაგრძელება შემდეგ ნომერში)*

## პოეზიის კუთხე

**გურამ ჯიქია**

ვაწყობ სტრიქონებს მწკრივზე ლარივით,
განკარგულებას ჩემგან ელიან.
ვუმზერ მცხოვანი სპასალარივით,
თეთრი ფურცლები ბრძოლის ველია.
როცა მათ ესმით ამ გულის ცემის,
(განა მე უცხო ციდან დავეშვი?)
მუზად ქცეული გონება ჩემი
შვებას ჰპოულობს სისადავეში.
ჩვენთვის უცხოა შექება, ტაში,
ისედაც ვიწვით მაგ ცეცხლში ალად.
დიახ, ალტარზე მაგ სულის წვაში
არის პოეტის სიცოცხლის ძალა.
ლექსთა სპასალარს ასე მგონია:
რითმათა ჯარებს დარახტულთ წყებად,
რომ მოაქვთ ჩემთან ის ჰარმონია –
სულით ნათება რითაც იწყება.
სულმდაბლობაა ვინც ბედს მისტირის.
დავეწაფები ლექსთა იალაღს,
იქ რომ ავიგო „ჯიხა" ქვითკირის,
კალმად დავადნობ ყველა იარაღს.
სად რინა იღებს უმალ სხვა იერს,
ელვად მივილევთ ყველა ავ შარას,
გავანგრევთ კლდეს და მრავალ ბარიერს,
მერანს დავრახტავ, ავხსნი ავშარას.
განა მოასწრებ სურვილის სრულ თქმას,
როცა გენია შემოგედება?!
ლექსის ბწარები იწყებენ სუნთქვას –
აი, რა არის შემოქმედება.
თუ ჩემი ბედის მე კარგად მესმის,
პოეტის ხვედრი უნდა მეზიდა;
ვითარც ავტორი, ეს ჩემი ლექსიც
ნუ გაამრუდებს სავალს გეზიდან.
განგების მადლით მზევ და ბალახო,
აიას ცეცხლი სულში მგზნებია,
მწვერვალებისკენ უნდა დავლახო,
რაც ჭიუხი და ვიწრო გზებია.
გონებამ ნისლი უნდა გაჰყაროს,
მზემ რომ გვაცხუნოს სხივი ბრიალა;
ეს სადღეგრძელოდ ვუძღვენ სამყაროს –
დავსცალე ბროლის სავსე ფიალა.
და თუ ფანტომი „რინა" აკლდა მას,
ისე ორბიტა როგორ გალია?
რად მინდა ძეგლი, თუნდაც აკლდამა,
თუ ყველაფერი წარმავალია?
არა, ჩავიცვამ ნისლის მანტიას,
სულიც ნეტარით მარად ივსება.
სიცოცხლე მხოლოდ დანამატია,
ლექსის სუნთქვაა მარადისობა.
არ ვარ შობილი ლექსის სტიქიად,
თუმცა იმედებს მასზე ვამყარებ;
მერე რა, დღენი ჩემი მიქრიან,
მეც პოეზიის ვარ მოთაყვანე.
რადგან დაიდო ჩემს გულში ბინა,
მისთვის მერანიც აღმიკაზმია.
ვიტყვი მარადის „ლაზ კათებს რინა",
აია ჩემი აიაზმია.
რადგან განგებამ ასე ინება,
ლექსიც სურათად სულ იკვეთება.
აზრის ზეცაში გასეირნებად
ჩაქსოვილია სულისკვეთება.
შენთვის ჩავიცვი მგოსნის ბექთარი
აიავ, თვალის ჩინის სადარო,
სანამ კალამი ჩემი ხელთ არი,
შენთვის დავცალო ლექსის სალარო.
და თუ უმხედროდ ჩემი მერანი,
მიეფარება ცისა კაბადონს,
ასე მგონია შემცვლის ყველანი,
ვინაც უფალმა ეშხით დაბადოს.
ო, პოეზია ცეცხლის გზნებაა,
უფრო დიადი არის სხვა ნეტავ?
სიცოცხლე ერთი გაელვებაა
ხელის დადება – მთელი პლანეტა.

**ვულოცავთ ბატონ გურამ ჯიქიას სამოცდაათი წლის იუბილეს!**

**სახალო მოძრაობა "სამეგრელო", გაზეთი "ილორი" სამძიმარს უცხადებენ მოძრაობის აქტიურ წევრს ბატონ სოსო ბეჭვაიას დედის**

**ლიუდმილა ჭითანავა-ბეჭვაიას**

**გარდაცვალების გამო**

# “მორიგ მიუნჰაუზენობასთან გვაქვს საქმე”

*“1-ლი სექტემბრიდან ყველა პენსიონერის დაზღვევა აბსურდია, რადგან საამისოდ არანაირი რესურსი არა აქვთ”*

*“სახელმწიფო კლინიკებს გაკოტრებისთვის წირავს”*

2012 წლის 9 ნოემბერს, ანუ ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკური მიზნების გაცხადებიდან ერთ თვეში, საქართველოს ხელისუფლებამ ახალი საპენსიო და სადაზღვევო რეფორმის დაწყება ამცნო საზოგადოებას. პენსიონერების დაზღვევის იდეა პრეზიდენტს თურმე მას შემდეგ გასჩენია, რაც პრეზიდენტის დედას დაზღვევაზე უარი უთხრეს. ეს განცხადება, გაჭირვებული ადამიანების თანადგომით **“ცრემლმორეული”** პრეზიდენტის სხვა **“გულისამაჩუყებელი”** განცხადებების მსგავსად რომ წინასაარჩევნო მანიპულაცია გახლდათ, იმთავითვე არავის შეპარვია ეჭვი!

მიხეილ სააკაშვილი: **“რამდენიმე ჩემს მეგობარს თუ ნათესავს რაღაც რომ წამოსტკივდა და დაზღვევა არ ჰქონდა, საავადმყოფოს ხარჯები 17, 18, 20 ათას ლარზეც ავიდა. სწორედ ამის შემდეგ გამიჩნდა იდეა და ვუთხარი დედაჩემს, რომ დაზღვეულიყო, თუმცა, ვერ დაეზღვია”.**

*საწყალი გიული ალასანია!*

*ნეტავი როგორ ახერხებს თვიდან თვემდე თავის გატანას და ჯანმრთელობის შენარჩუნებას?*

მართლაც რომ სულელები ვგონივართ ყველანი მიხეილ სააკაშვილს!

ინიციატივის თანახმად, 67 წელს გადაცილებული მოქალაქეების პენსია 140 ლარამდე გაიზრდება და ყველა მათგანი თხუთმეტლარიან სადაზღვევო პაკეტს მიიღებს, დაზღვეული იქნებიან ასევე 5-წლამდე ასაკის ბავშვები. ლაპარაკია 800.000 მოქალაქის დაზღვევაზე.

როგორც მაშინდელმა პრემიერ-მინისტრმა ნიკა გილაურმა განაცხადა, **“2012 წლის ბიუჯეტში მოიძებნა რესურსი, რომლითაც 1-ლი სექტემბრიდან ყველა პენსიონერი იქნება დაზღვეული, – იგულისხმება უფასო მკურნალობა, ულიმიტო სასწრაფო ოპერაცია, უფასო სისხლისა და სხვა ანალიზები. უფრო მეტი განმარტებისთვის დავამატებ, – გაზრდილი პენსია, ანუ 140-დან 125 ლარი იქნება, ხოლო 15 ლარი სადაზღვევო თანხა... ამ ინიციატივისთვის ბიუჯეტიდან დამატებით 70 ათასი ლარი დაიხარჯება”.**

**ტარიელ ლომინაშვილი, რუსთავის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამხარეო ცენტრის დირექტორის ყოფილი მოადგილე:** – ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამების სამზარეულოს კარგად ვიცნობ და შემიძლია გითხრათ, რომ მიხეილ სააკაშვილისა და **“ნაცების”** მორიგ მიუნჰაუზენობასთან გვაქვს საქმე. ყველა მთავრობის დროს, მათ შორის შევარდნაძის პერიოდსა და მოგვიანებით **“ვარდების”** მთავრობაში, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხებთან დაკავშირებული სამსახურები ხალხისთვის გამოყოფილ საბიუჯეტო სახსრებს არჩევნებს ახმარდნენ. შორს წასვლა არ არის საჭირო, რომ სააკაშვილის მთავრობის დაპირებებზე იმსჯელოს კაცმა. ჯერ წინა არჩევნებზე დაპირებული ჯანდაცვის სადაზღვევო 5-ლარიანი პაკეტი რად ღირს! ამ ინიციატივის გაცხადებიდან ზუსტად ერთ თვეში თქვეს, შეგვეშალა 5-ლარიანი პაკეტი თურმე ვერ უზრუნველყოფს სრულფასოვან დაზღვევას, აი, 20-ლარიანი კი ნამდვილად ქმედითი იქნებაო. მოკლედ, ყველა რეფორმა შეეშალათ და ყველაფერში მოტყუვდნენ. 2012 წლის 1-ლი სექტემბრიდან ყველა პენსიონერის დაზღვევა აბსურდია, რადგან საამისოდ არანაირი რესურსი არა აქვთ.

**– ნიკა გილაურმა მაშინ განაცხადა, რომ ბიუჯეტში ამ პროექტისთვის 70.000 ლარი მოიძებნა.**

– ნამდვილად ჭკუასუსტი უნდა იყო, რომ ვერ მიხვდე, 800.000 კაცის სადაზღვევო უზრუნველყოფას 70.000 ლარი რომ ვერ გასწვდება. ამ პაკეტით, ესენი ხალხს რომ ჰპირდებიან, ერთი პენსიონერისთვის, სულ ცოტა, 500 ლარია საჭირო. გამოდის, 400 მილიონი ლარი ფინანსური უზრუნველყოფის სახით უკვე ჩადებული უნდა იყოს ბიუჯეტში.

**– ყველა პენსიონერს და 5 წლამდე ასაკის ბავშვს ასე ერთბაშად ხომ არ დასჭირდება მკურნალობა ან პოლიკლინიკაში საკონსულტაციოდ მისვლა?**

– უსახსრობის გამო უმეტესობა დიდი ხანია მოკლებულია ექიმთან ვიზიტისა და გამოკვლევების ჩატარების შესაძლებლობას, ამიტომ, როგორც კი შესაძლებლობა მიეცემათ, საავადმყოფოებს მიაწყდებიან. სამკურნალოდ თუ არა, გამოკვლევებზე მაინც 800.000 დაზღვეულისგან 300.000 აუცილებლად მოინდომებს სადაზღვევო პაკეტით სარგებლობას.

ამ დაპირების შესრულება წარმოუდგენელია სხვა მიზეზის გამოც, – საქართველოში სრულიად მოშლილია პირველადი ჯანდაცვა, მას არა აქვს ისეთი გამტარუნარიანობა, რომ ამდენი ხალხი ერთბაშად მიიღოს და სრულფასოვანი სამედიცინო გამოკვლევით უზრუნველყოს. გარდა იმისა, რომ ეს ცრუდაპირება და მოქალაქეების მოტყუებაა, ქვეყნის სრულიად არაკომპეტენტური ან წინასწარ ბოროტი მიზნებით მოქმედი ხელისუფლება იმ სამედიცინო დაწესებულებებს, რომელთაც სახელმწიფო პროგრამის მომსახურება დაევალებათ, გაკოტრებისთვის წირავს.

ჩვენმა ხელისუფლებამ კარგად დაამუღამა სამედიცინო დაწესებულებების გადაგდების სქემა, – ხშირად, სადაზღვევო თუ სხვა კომპანიები სამედიცინო დაწესებულებებს მომსახურების საფასურს არ უხდიან. მე შენ გეტყვი, პასუხს მოსთხოვს ვინმე?

არადა, პროგრამებით გათვალისწინებული სამედიცინო მომსახურების საფასურს საავადმყოფოებს საგადასახადო სამსახური შესრულებულ სამუშაოებში უთვლის და შესაბამის საგადასახადო ვალდებულებასაც აკისრებს. მას შემდეგ, რაც მომსახურების საფასური შესრულებულ სამუშაოებში აღირიცხება, მონაცემები საგადასახადოს გადაეცემა, რომელსაც სულ არ აინტერესებს, ჩაურიცხა თუ არა სახელმწიფომ ფული ამა თუ იმ კლინიკას. გადაუხდელობა აუცილებლად გამოიწვევს საგადასახადო ვალდებულების ზრდას და საბოლოოდ კლინიკების გაკოტრებას. ბევრი დაწესებულება გაკოტრებულია და ვისაც ჯერაც სული უდგას, იმასაც გააკოტრებენ!

**ხ. პაიჭაძე**




## “ცოტა ლენინიზმია საარჩევნო კამპანიაში” – ეუთოს საპარლამენტო ასამბლეა საქართველოში

ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტი რიკარდო მილიორი საქართველოში მიმდინარე საარჩევნო კამპანიაში ლენინიზმის ნიშნებს ხედავს, – ამის შესახებ მილიორმა პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძესთან დღევანდელი შეხვედრის შემდეგ განაცხადა.

მისი თქმით, საარჩევნო კამპანიისას მნიშვნელოვანია, პარტიებმა ხალხს თავიანთი პროგრამები და იდეები წარუდგინონ:

**“ცოტა ლენინიზმია საარჩევნო კამპანიაში, რომლის მიზანია მტრების განადგურების მცდელობა და არა პროგრამების წარდგენა... საქართველო მნიშვნელოვანი ერია, მნიშვნელოვანი ადგილი კავკასიაში, დემოკრატიის შუქია და ჩვენ აქ ვართ ამ შუქის ხაზგასასმელად”,** – განაცხადა რიკარდო მილიორმა.

ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის ვიცე-პრეზიდენტი ტონინო პიცულა კი საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების შესაძლო არაობიექტურობაზე საუბრობს:

**“ვხედავთ რამდენიმე პრობლემას – შეიძლება ეს იყოს არაობიექტურობა სამართალდამცავი ინსტიტუტების მოქმედებებში. ძირითადად, ეს შეიძლება იყოს სახელმწიფო აუდიტის სამსახური. ამ ინსტიტუტების მოქმედებები განვიხილეთ ექსპერტებთან და დაინტერესებულ მხარეებთან და გავაფრთხილეთ, რომ ისინი მოქმედებენ “არანათელი” ინსტრუქციებით. ჩვენი შეშფოთების მეორე საკითხია სასამართლო. გვინდა ვიხილოთ ნათელი და ნაკლებად არაობიექტური ინსტრუქციებით მოქმედება და ნეიტრალური ჩარევა სხვადასხვა საქმეში”,** – განაცხადა ტონინო პიცულამ.

ყველაზე საინტერესო კი ისაა, რომ მილიორის ამ განცხადებას საქართველოს კულტურის მინისტმა, ყოფილმა მხედრიონელმა და საკმაოდ ბნელი წარსულის მქონე ნიკა რურუამ **“სისულელე”** უწოდა, რაც თავისთავად მიანიშნებს იმაზე, რომ ნაციონალების რეჟიმი აგონიაშია და სულს ღაფავს.

# თამაზ ბაკურიძე: ბარამიძემ დალია და ისეთი სიძულვილი გადმოანთხია სააკაშვილის მიმართ, გეგონება, პირველი ოპოზიციონერია ამ ქვეყანაში

გვესაუბრება ასლან აბაშიძის ყოფილი პრესმდივანი, **თამაზ ბაკურიძე**:

**– თამაზ, მიხეილ სააკაშვილმა დღესაც გადაუფრინა შენს სახლს?**

– აი, ხუთი წუთის წინ გადაიფრინა... მაგას აჭარაში ისმაილ ქოს-ოღლის ეძახიან უკვე. კომუნისტების პერიოდში ქობულეთის ბაზართან მდგარა ერთი ბეჩი ტიპი, ისმაილა, თურმე, დაუძახებდნენ: ნახე, ბიჭო, რა მაგარი გოგო მოდისო. გაქანდებოდა, უცებ მიახტებოდა და აიტაცებდა ხელში. ესეც ასე აკეთებს.

**– ხომ ჩამოგიყვანათ ბათუმში გამყალბებელი გია ბარამიძე, რა გეშველებათ ახლა?**

– კი, ძალიან საინტერესო იყო, როცა სააკაშვილმა ჩამოიყვანა ბარამიძე. ჩემთვის ეს მოულოდნელი არ ყოფილა, კარგა ხნით ადრე ვიცოდი და შენთან ინტერვიუშიც ვთქვი ამას წინათ. სააკაშვილმა კიდევ ერთხელ ჩააფურთხა სულში აჭარლებს, მან თქვა, გია აქ დაიბადა და სკოლას აქ დაამთავრაო. კი, ბატონო, ასე იყო, მაგრამ ის მაინც არ არის ადგილობრივი... დავიჯერო, ამხელა აჭარაში ვერავინ მოძებნეს?

**– აჭარლებს აღარ გენდობიან.**

– ვინც აქამდე იყო დეპუტატი, ოთარ ჩარკვიანი, საერთოდ გააკოტრეს. ბარამიძისგან განსხვავებით, ჩარკვიანებს რაღაც წვლილი მაინც მიუძღვით ბათუმის განვითარებაში. ოთარს ჰქონდა სამშენებლო კომპანიები და სანამ ნულზე არ დაიყვანეს, არ მოეშვნენ. ყველაზე გასაკვირი ის არის, რომ დგას სააკაშვილი, ხოლო გვერდით უდგანან ბარამიძე და ვარშალომიძე... მიშა ყველას უხსენებს წარსულს, ისე ლაპარაკობს, გეგონება თვითონ წარსული ძალიან სუფთა აქვს, გეგონება, შევარდნაძის დროს თვითონ არ იყო ხელისუფლების წევრი, მინისტრი, საკრებულოს თავმჯდომარე და ფრაქცია **“მოქალაქეთა კავშირის”** ხელმძღვანელი პარლამენტში. ამას დავანებოთ თავი, შორს ნუ მიდის, იგივე ვარშალომიძის მამა არ იყო ასლან აბაშიძის მთავრობის თავმჯდომარე?

**– თამაზ, ამაზე ჩვენ უკვე არაერთხელ დავწერეთ.**

– კი, მახსოვს, მაგრამ როცა სააკაშვილი ყოველდღე ერთი და იგივეს ლაპარაკობს, ჩვენც ხშირად უნდა შევახსენოთ ხალხს, ვინ იყო ლევან ვარშალომიძის მამა. თუ შენ ვიღაცებს ლანძღავ, ადრე ასლან აბაშიძესთან მუშაობდიო, გვერდით მიიხედე, ვისი შვილი გიქნევს თავს? მეტსაც გეტყვით, ლევან ვარშალომიძის აპარატში მუშაობს ომარ მეგრელიძე, ერთ-ერთი გავლენიანი პირი, ეს ადამიანი იყო აბაშიძის აპარატშიც. თემურ დუმბაძე – ამჟამად ხელვაჩაურის გამგებელი, იყო **“აღორძინების”** ერთ-ერთი სახე. გელა ცხომელიძე – ამჟამად ქობულეთის გამგებელი, იყო **“აღორძინების”** ერთ-ერთი დამფინანსებელი და სულისჩამდგმელი. რომელი ერთი ჩამოვთვალო, შენ ვისკენ იშვერ ხელს? კარგი, ახლა გადავიდეთ გია ბარამიძეზე... ამას წინათ მოხდა ასეთი რამე: ბათუმში არის საქორწინო დარბაზი **“ბაგრატიონი”,** ამ დარბაზში ერთს ჰქონდა ქორწილი და ბარამიძეც იქ იყო. ბევრი ადამიანი სიფხიზლეში საკმაოდ სიტყვაძუნწია, მაგრამ როცა დალევენ, მერე თავს ვეღარ იკავებენ და სწორედ ასეთი ყოფილა ბარამიძეც... ყველაფერი გაიხსენა, ჟვანიას ამბავი და ბოლოს ამბობს, – ყელში მაქვს ყველაფერი ამოსული, არ ვიცი, როდის ვიფეთქებო. ისეთი სიძულვილი გადმოანთხია სააკაშვილის მიმართ, გეგონება პირველი ოპოზიციონერია ამ ქვეყანაში.

**– როდის უნდა იფეთქოს ბარამიძემ, როცა სააკაშვილი წავა, არა?**

– გელა, სააკაშვილი ძალიან კარგად აკონტროლებს თავის გარემოცვას, ისიც კი იცის, რას ლაპარაკობს ბარამიძე ქორწილებში.

**– ეს ამბავი მოხდა, სანამ ბარამიძეს წარადგენდა მაჟორიტარად?**

– კი, მანამდე იყო და ჯერჯერობით მას არ ტოვებს თამაშგარე მდგომარეობაში, რომ არ აყვირდეს.

**– ბარამიძე სულ დიდუბეში იყრიდა კენჭს, ბათუმში მისი გამწესება ჩამოქვეითებაა?**

– არა, სააკაშვილი თბილისის გაყალბებას ისე ვერ შეძლებს, როგორც ამას გააკეთებს რეგიონებში. დედაქალაქში ბარამიძეს არავინ აღარ მისცემს ხმას და ამიტომ გადმოისროლა ბათუმში. ეს ადამიანი არის ერთ-ერთი უნიჭიერესი გამყალბებელი მაჭავარიანგოგორიშვილთან ერთად. 1999 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ ბარამიძე და მაჭავარიანი ჩამოვიდნენ ასლან აბაშიძესთან, მაშინ **“აღორძინება”** რეიტინგით ასწრებდა **“მოქალაქეთა კავშირს”** და ეუბნებიან ასეთ რაღაცას: აჭარაში პროცენტები უნდა მოგვცეო, ასლანი აუხტა, – საქართველოს მასშტაბით ხმებს მართმევთ, ახლა აჭარაშიც გინდათო? არა, ვერ მოგცემთო. ბარამიძე ეუბნება, – საქმე ავტომატამდეც რომ მივიდეს, მაინც არ დავთმობთ, ძალას გამოვიყენებთ და ხმებს მაინც წავიღებთო. კი, ბატონო, მაშინ ვნახოთო, არ დაუთმო აბაშიძემ. აი, ასე დადიოდნენ და ვაჭრობდნენ ხმებით.

**– შევარდნაძე ვერ სთხოვდა ასლან აბაშიძეს?**

–არა, ხშირად შევარდნაძე აგზავნიდა ამათ, თვითონ არ კადრულობდა ასეთ საკითხებზე საუბარს. რაზეც შევარდნაძეს არ უნდოდა ლაპარაკი, იმას სიამოვნებით აკეთებდნენ ბურჯანაძე, ბარამიძე, მაჭავარიანი და ჟვანია.

**– ბოლო-ბოლო, ეს ვაჭრობა როგორ დამთავრდა?**

– ესენი ძალადობაზე გადავიდნენ, შეიძლება გახსოვს, ხაშურში და იქით **“აღორძინების”** წარმომადგენლებს გზები გადაუკეტეს, ავტობუსები არ გამოატარეს. ჩემთან ერთად ციხეში იჯდა სამეგრელო-ზემო სვანეთის კრიმინალური პოლიციის ყოფილი უფროსი, მან მითხრა, **“აღორძინება”** შუადღემდე იგებდა არჩევნებს და როგორც კი ეს შეამჩნიეს, ჩამოვიდნენ გოგორიშვილი, ნოღაიდელი, ჟვანია, მაჭავარიანი, შექმნეს სპეციალური შტაბი და გადატენეს ყუთები ყალბი ბიულეტენებითო.

**– მოკლედ, თავზე კრიმინალები და თაღლითები გვასხედან, რაა!**

– დიახ, ბატონო, ახლაც იმიტომ გადმოისროლეს ბარამიძე ბათუმში, რომ არჩევნები უნდა გაყალბდეს, სხვანაირად აჭარაში **“ნაცმოძრაობა”** ვერ გაიმარჯვებს. ბარამიძე და ვარშალომიძე მივიდნენ რამდენიმე უბანში, გამგებლის გარდა ქუჩაში არავინ არ გამოდიოდა. 23 აგვისტოს ლევან ვარშალომიძე იყო ჩამოსული ქობულეთში, მარტო გამგებელი ახლდა, რომ გაიარა ქუჩაში, გინება დაუწყეს. წეღან ვთქვი, ოთარ ჩარკვიანი გააკოტრესმეთქი, ძალიან ბევრია ფირმები, განსაკუთრებით სამშენებლო კომპანიები, რომელთა ხელმძღვანელებსაც თვითონ ვარშალომიძე იბარებს და ეუბნება: შენ ამდენს მოიტან, შენ ამდენს დახარჯავ არჩევნებშიო. მაგალითად, აბაშიძის დროს ერთი პერიოდი იყო შინაგან საქმეთა მინისტრი, მერე მოხსნეს... ახლა ვინაობას არ ვასახელებ, ჩემი შინაურია, სხვა არ არის, ამჟამად აქვს ბიზნესი. მან ბათუმის ცენტრალურ უბანში ააშენა კორპუსი. კაცი დაიღალა, ცალკე აქეთ ვარშალომიძემ გაატყავა, ცალკე ქალაქის მერმა, რობერტ ჩხაიძემ და ცალკე ვანო მერაბიშვილის ყოფილმა მოადგილემ. წინა არჩევნებზე ძალიან სერიოზული თანხები **“აახიეს”** და ახლაც იგივეს აპირებენ. კაცი იმ დონემდე მიიყვანეს, შეიძლება თავი მოიკლას.

**– ასე დაემართება ყველას, ვინც ამათ უწვება და ხმას არ იღებს.**

– სხვათა შორის, ამ ადამიანს ერთი პერიოდი **“ნაციონალები”** სთხოვდნენ, **“რესპუბლიკური პარტია”** დააფინანსეო და იხდიდა კიდეც.

**– ეს იქნებოდა ბიძინა ივანიშვილის მოსვლამდე.**

– კი, 2004 წელს და შემდეგ. მე კი ვუთხარი, ძალიან ნუ დაიხარჯები, ეგენი გამოგიყენებენ და მერე მოგისვრიან-მეთქი, მაგრამ ჯერჯერობით ხმას არ იღებს. რობერტ ჩხაიძეს შემოაკლდება თუ არა ფული, ეგრევე პრობლემები ექმნება... აჰა, აგერ, კიდევ გადმოიფრინა მიშამ, სად მიდის ნეტა? ამას უნდა დავუკეტო ბობოყვათის საჰაერო სივრცე!

**– “რაგატკით” ვერ ჩამოაგდებ?**

– ვერა, ორი თვითმფრინავი მიჰყვება უკან, დაცვის **“პონტში”**... ვაა, რა დავაშავეთ ასეთი, რომ არც თვითონ ისვენებს და არც ჩვენ გვასვენებს? ლამის ყოველ ერთ საათში მიფრინავს და მოფრინავს!

**გ. ზედელაშვილი**

# ცაიშის ხუროთმოძღვრული კომპლექსი



აღმოსავლეთის ფასადი ერთადერთია, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია შედარებით ხელუხლებლად, თავდაპირველი ფორმით. იგი მთლიანად შემოსილია კარგად თლილი კვადრებით; წყობაში ძირითადად დაცულია ჰორიზონტალური რიგები, სადაც აბსოლუტურად სხვადასხვა ზომისა და ფორმის ქვები ენაცვლება ერთმანეთს. ამიტომაა, რომ წყობას საკუთარი სახე აქვს და გვიანი დროის აღდგენა ერთი შეხედვითაც შეიმჩნევა, მიუხედავად იმისა, რომ ეს აღდგენაც საკმაოდ კარგად თლილი კვადრებითაა შესრულებული.

კერძოდ ამ ფასადზე ახალი წყობა იწყება იქ, სადაც სამხრეთიდან აღმავალი ორნამენტული კარნიზი წყდება; აქედან ფასადის მთელი სიბრტყე გამოწეული ნაწილის სახურავს ზემოთ, ყოფილი ჯვრის მკლავის ვიწრო კარნიზით და ფასადის ბრტყელი კედლის ერთი მესამედი, ჩრდილო კუთხისაკენ, აღდგენილია. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩრდილო-დასავლეთის კუთხე, შეკეთების შედეგად, ათი სანტიმეტრით შიგნითაა შეწეული; თავდაპირველი ნაწილიდან ამ კუთხეში მხოლოდ ცოკოლი და მომდევნო პირველი რიგია შერჩენილი, XVII საუკუნის შეკეთების დროინდელია ფასადის ჩრდილო ნაწილში არსებული მაღალი კარნიზი.

ამ ფასადის დომინირებული ნაწილია საზეიმოდ მორთული მრავალგვერდა, რომლის ზედაპირი, გარდა კუთხეების წახნაგებისა, სადაც მხოლოდ პილასტრებია კაპიტელებით – დამუშავებულია ცენტრიდან გვერდებისაკენ დაღმავალი დეკორატიული თაღედით. ამ თაღოვან არეებს ქმნის რთული შემადგენლობის კაპიტელებითა და ბაზისებით მორთული შეწყვილებული ნახევარკოლონები.

მომჩარჩოებელი შეწყვილებული ლილვებითა და ორნამენტული არშიებით მდიდრულად მორთული სარკმლები განლაგებულია შუა სამ წახნაგზე. ცენტრალური სარკმე ორი დანარჩენისაგან განსხვავებით, მთლიანად შემდგარია სამმაგი ლილვაკის კონის კვარცლბეკზე. სამივე სარკმელს თაღს ზემოთ, ღერძზე თითო კოპი უზის. დანარჩენთაგან განსხვავებით შუა სარკმელი სამი კოპით მთავრდება. ყველა კოპი ჩუქურთმითაა დაფარული.

ამ მრავალგვერდაზე კიდევ ორი შესამჩნევი ელემენტია. ერთია ამ მრავალგვერდას წიბოებზე, თაღებს შორის განლაგებული თითო კოპი, მეორე – როზეტები. ერთი როზეტი მოთავსებულია სამხრეთის თაღოვანი არის ცენტრს ქვემოთ, მეორე – აფსიდით ჩრდილო სარკმლის ქვედა მარჯვენა კუთხესთან.

მარჯვენა სარკმელი ორიგინალურია თავისი ფორმით, რადგან მოჩარჩოებული შეწყვილებული ლილვები ვერტიკალური კი არ არის (ჩვეულებრივ, ისინი ყველა ვერტიკალურია), არამედ ქვემოთკენ უახლოვდება ერთმანეთს.

ამ ფასადის თავდაპირველი დეკოროდან შერჩენილი ელემენტია ბარელიეფი, რომელიც მოთავსებულია ჩრდილოეთის ფრთის ზედა ნაწილში, მრავალგვერდას კარნიზის ჰორიზონტზე.

ამ ფასადის შესამოსავად შეკეთების დროს გამოყენებულია ორნამენტული ქვები, რომელთაგან ორი უშუალოდ რელიეფის ზემოთაა, ხოლო სამი – კეხს ქვემოთ.

სამხრეთის ფასადიც საკმაოდ დაზიანებულია, მაგრამ დასავლეთისა და ჩრდილო ფასადებთან შედარებით მისი მდგომარეობა გაცილებით უკეთესია. ფასადის მასა საფეხურიან ცოკოლზე აღმართული ერთი მთლიანი სიბრტყეა, რომლის განაპირა ნაწილებს ჰორიზონტალური კარნიზი ამთავრებს, ხოლო შუაზე აწეულ ჯვრის მკლავს – ორქანობიანი გადახურვა. ამ ფასადის თავდაპირველი შენარჩუნებული ნაწილის კონტური შეიძლება შემდეგნაირად შემოვხაზოთ: მარჯვენა მხარის კარნიზი მთლიანად, მის ქვემოთ მდებარე კედელი ორიოდე ზიგზაგით კარის არქიტრავის ქუსლის ჰორიზონტის გაყოლებით სარკმლის ხვრელის დონეზე, თვით სარკმლის ქვის ჩაუთვლელად და მარცხნივ, ამ ჰორიზონტის ცოტა ქვევით კუთხემდე. აქ აღნიშნული კონტურის გარეთ ყველაფერი აღდგენილია, ხოლო მასალად, თითქმის მთლიანად გამოყენებულია ძველი შენობის ნაწილები.

ამ ფასადის ძირითადი შემადგენელი ელემენტებია ერთი შესასვლელი და ორი სარკმელი. ფართო შესასვლელი, რომელიც თითქმის ფასადის ცენტრშია გაჭრილი, გადაკეთებულია. მისი პროფილირებული მოჩარჩოების ვერტიკალი ორივე მახარეს წყდება და ზედ მიმსგავსებული პროფილით დადგმულია ახალი არქიტრავის ქვა (ეს ქვა, შერჩენილი ორნამენტული დამუშავების მიხედვით, სულ სხვა დანიშნულების ყოფილა. იგი ამ შესასვლელზე მორგების მიზნით გადაუკეთებიათ).

ყველაზე მეტადაა სახეცვლილი ფასადის ჯვრის აწეული მკლავი. მისი სიმაღლე თითქმის ორი მესამედითაა შემცირებული. შემცირებულია ფუძეც, ხოლო მისი ორქანობიანი კარნიზი მთლიანად ახალია, რომელიც ორნამენტით დამუშავებულია. ფასადის ამ ჯვრის მკლავის ცენტრში ერთი სარკმელია, რომელიც მოჩარჩოებულია გრეხილოვანი შეწყვილებული ლილვაკითა და ორნამენტული არშიით.

მეორე წრიული ფორმის სარკმელი, მოთავსებულია ფასადის მარცხენა ნაწილში. დაბლა მისი საპირე არშია ერთი ქვისაგანაა გამოკვეთილი და მთლიანად მოჩუქურთმებულია (რადგან ეს სარკმელი ფასადის აღდგენილ ნაწილშია მოთავსებული. გარკვევით ვერ ვიტყვით, თავდაპირველ ადგილზეა იგი თუ არა, მაგრამ სარკმლის შიგა მხარის ხელუხლებად შემონახვა გვაფიქრებინებს, რომ მას ადგილი არ შეუცვლია).

ფასადის დეკორს, მოჩუქურთმებული სარკმლების გარდა, შეადგენს ნგრევის დროს მეტ-ნაკლებად დაზიანებული რამდენიმე ელემენტი: მთავარი სარკმლის ორივე მხარეს ჩასმულია თითო მოზრდილი როზეტი, ხოლო ზემოთ დაახლოებით სამკუთხა კომპოზიციით მოთავსებულია სამი მოჩუქურთმებული კოპი (მათ მარცხნივ ჩაყოლებულია წრიული სარკმელი, მაგრამ საერთო მოხაზულების მეტი არაფერი შემორჩენილა, ყველაფერი მოუთლიათ). საერთოდ, ფასადის შემოსილობის აღდგენილ ნაწილში მრავლადაა გამოყენებული დეკორის ფრაგმენტები, რომელთა უმრავლესობაც კედლის სიბრტყისათვის მოსარგებად გაუთლიათ და გასწორებული ჩაუდგამთ. რაც შეეხება ძეგლის მარცხენა ფრთას, მისი ჰორიზონტალური კარნიზიც ძირითადად თავდაპირველი კარნიზის ფრაგმენტებისაგანაა შეკოწიწებული.

ფასადზე შერჩენილია ერთი მეტად საინტერესო დეტალი, რომელიც ცხადად გვაუწყებს აწ აღარ არსებული კარიბჭისა და სტოას არსებობას. ფასადის მთელი სიგრძის ქვედა ნაწილში გადარჩენილია ფრესკის ფრაგმენტები. ფასადის მარჯვენა მხარეს, ზედ კედლის სიბრტყეზე, კარგადაა შემონახული ორი თაღის კვალი (მარცხენა უფრო მაღალია მარჯვენაზე), რომელთა შორის არსებული არეები მთლიანად ფრესკით ყოფილა დაფარული; კარის მომდევნო მარცხენა ნაწილში არავითარი მკვეთრი კონტური არ არის შერჩენილი. მაგრამ ფრესკის ოდესღაც არსებობის კვალის გარკვევა აქაც შესაძლებელია. ფრესკის არსებული კვალის მიხედვით ირკვევა, რომ სტოას ცენტრალურ ნაწილში, გვერდით ნაწილებთან შედარებით, აწეული ყოფილა, ხოლო შიგნით მისი აღმოსავლეთი მონაკვეთი სწორკუთხა იყო.

აღმოსავლეთით შერჩენილია სტოას აღმოსავლეთი კედლის ფუნდამენტის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი. დანარჩენი კი დროთა ვითარებაში გამქრალა. ეს შერჩენილი ნაწილი თუმცა ძირითადი კორპუსის აღმოსავლეთ კედლის ხაზზეა მოთავსებული, მაგრამ მასთან ორგანულად არაა დაკავშირებული, ეკლესიის სამხრეთ-აღმოსავლეთ კედლის კუთხე და ცოკოლიც ერთი მთლიანია ე.ი. შესაძლოა, სტოა უშუალოდ ეკლესიასთან ერთად არ იყოს აგებული.

დასავლეთ ფასადი რადიკალურად განსხვავდება აღმოსავლეთის ფასადისაგან. იგი მოკლებულია ყოველგვარ შვერილებს და წარმოადგენს მხოლოდ საფეხურიან ცოკოლზე აღმართულ, ორქანობიანი სახურავის ქვეშ მოქცეულ ერთ მთლიან სიბრტყეს. თუმცა დღევანდელი მისი სახე არ არის თავდაპირველი, მაგრამ შერჩენილი ნაწილი – ცოკოლი და მომდევნო რიგები უეჭველად იმის დამადასტურებელია, რომ მთელი ფასადი ადრეც ერთი ვერტიკალური სიბრტყისაგან შედგებოდა. ამ ფასადს, აღმოსავლეთის ფასადის მსგავსად, მიწისძვრის დროს დაუკარგავს ერთი მასა – ჯვრის დასავლეთი მკლავის აწეული ნაწილი, ხოლო XVII საუკუნის აღმდგენელ ოსტატს, ისე როგორც სხვაგან, აქაც უგულებელუყვია შენობის ეს ელემენტი.

როგორც აღვნიშნეთ, ფასადზე ხელუხლებელია: ცოკოლი, კარი მთლიანად და კედლის წყობა კარის მარცხნივ ერთ მეტრამდე, ხოლო მარჯვნივ ორ მეტრამდე. დანარჩენი ნაწილი შემოსვისა (როგორც თვით კედელი) მთლიანად აღდგენის დროისაა.

შესასვლელი ზემოთ, ვერტიკალური ღერძის ოდნავ სამხრეთით, მოთავსებულია განიერი ოთხკუთხა სარკმელი. იგი ახლადაა ამოყვანილი და მის მხოლოდ ქვემო ნაწილშია გამოყენებული წინანდელი ორნამენტული სარკმლის ნაწილი. მეორე სარკმელი ჩრდილოეთითაა, შესასვლელსა და კუთხეს შორის. იგი შედგება ორი სხვადასხვა ტიპის სარკმლის ნაწილებისაგან. ქვედა ნაწილი ორმაგ გრეხილში ჩამჯდარი ფართო მოჩუქურთმებული საპირეა; ზედა ნაწილი გრეხილებით ფართო არშიის მქონე წრიული სარკმლის ფრაგმენტია, ტიპით ისეთივე, როგორც სამხრეთ ფასადზე ვნახეთ (აღმდგენელ ოსტატს იგი გადაუკეთებია მაღალი სარკმლის ზედა ნაწილის მოსარგებად). ვფიქრობთ, სარკმლის ქვედა ნაწილი თავდაპირველია და მისთვის განკუთვნილ ადგილზეა დანგრევის შემდეგ ხელახლა ჩასმული.

ფასადის მარჯვენა ნაწილში მდებარე მესამე სარკმელი გაცილებით მაღალია, ვიდრე მარცხენა. იგი წარმოადგენს აღდგენის დროს უბრალოდ თლილი ქვით ამოყვანილ მაღალ სწორკუთხედს. ამ აფსიდის მეოთხე სარკმელი, რომელიც მოთავსებულია ცენტრალურ და სამხრეთის სარკმლებს შორის, ანათებს პატრონიკეში შესასვლელ ტალანს. ეს სარკმელი წრიულია.

ფასადის ღირშესანიშნავი ელემენტია, აწ უკვე გაფუჭებული, ცენტრალური სარკმლის ზემოთ მოთავსებული ბარელიეფი. მისგან მხოლოდ პროფილირებული მოჩარჩოებაა შემორჩენილი, ისიც ნაწილობრივ. თვით რელიეფური გამოსახულება იმდენადაა დაზიანებული, რომ გარკვევით ვერ ვიტყვით, რას შეიცავდა იგი. ბარელიეფის მოჩარჩოების ზედა ნაწილში გვიან ჩაუსვამთ წმ. გიორგის გამოსახულება.

ფასადის კარნიზი მთლიანად და ქვედა მომდევნო რამდენიმე რიგი ქვებისა XVIII საუკუნეს ეკუთვნის, რასაც გვიდასტურებს ძეგლის აღმდგენელ ცაიშელ მიტროპოლიტ გრიგოლ ჩიქოვანის წარწერაც. იგი მოთავსებულია კეხის ქვემოთ, კარნიზის სამხრეთ ფართზე.

ჩრდილოეთ ფასადი ამ ძეგლის ყველაზე დაზიანებული ნაწილია. ეს კედელი მთელ სიგრძეზე თითქმის ძირამდე დარღვეული ყოფილა. თავდაპირველი შერჩენილი ნაწილი, ცოკოლი და ზოგან მომდევნო ერთიორი რიგია. შესასვლელი თუმცა ძველი ქვით არის ამოყვანილი, მაგრამ უდავოდ სახეცვლილია.

სამხრეთისა და დასავლეთის ფასადების მსგავსად, ეს ფასადიც ერთ მთლიან სიბრტყეს წარმოადგენს, რომლის ძირითადი ნაწილი პროფილირებული კარნიზით მთავრდება. იგი წყდება ჯვრის მკლავის მიღწევამდე (გუმბათის ყელის გარე ხაზების გასწვრივ). თვით ფასადის ჯვრის მკლავი დაბალია და ვიწრო, სამხრეთის ფასადის მსგავსად, ესეც კარნიზით მთავრდება. ოღონდ იგი ჰორიზონტალური კარნიზისაგან იმით განსხვავდება, რომ აქ ჯვრის მკლავის კარნიზი, როგორც ეს აღმოსავლეთისა და სამხრეთის ფასადებზე ვნახეთ, უორნამენტოა - პროფილირებული, რაც XVII საუკუნის რესტავრაციის დროინდელია, ხოლო ამ ფასადის განიერი კარნიზი, როგორც ეს დასავლეთის ფასადის კარნიზის წარწერითაა დამოწმებული, XVIII საუკუნის ოსტატის ხელითაა შექმნილი. როგორც ამ კარნიზების ქვის ჯიში, ისე მათი დამუშავებაც დიდად განსხვავდება შენობის თავდაპირველი ნაწილისაგან. აღდგენის დროს კედლის ვერტიკალურობა და სიბრტყეობრიობაც კი ვერ დაუცავთ. ჯვრის მკლავის დაქანებული კარნიზის სიმაღლეებიც სხვადასხვა დონეზეა.

ფასადი ელემენტებია შესასვლელი და სარკმელი. შესასვლელი მოთავსებულია თითქმის ფასადის ღერძზე, იგი „დამჯდარი“ ფორმისაა და გადახურულია გრძელი არქიტრავის ქვით. მოჩარჩოება არ გააჩნია. ზემოთ, ჯვრის მკლავის ღერძზე ცოტა აღმოსავლეთით, გაჭრილი სარკმელი კი მთლიანად ახალია, ოღონდ გამოუყენებიათ ძველი, გამოფიტული ნახევაწრიული ფორმის ქვა.

გუმბათის ყელი, მთლიანად მიწისძვრის შემდგომი დროისაა. შიგნიდან იგი ჩაჭყლეტილგვერდებიანი ცილინდრია, რომელსაც აგვირგვინებს ნახევარსფერული გუმბათი. თვით გუმბათის ცილინდრული ყელი ზედა და ქვედა მასებისაგან გამოყოფილია ჰორიზონტალური სარტყლით. ეს სარტყლები შექმნილია ქვემოთ სამი და ზემოთ ორი ლილვისაგან. გუმბათის ყელში გაჭრილი რვა სარკმელი არ ექვემდებარება არავითარ კანონზომიერებებს; ისინი განლაგებული არ არის ღერძებზე; არც სიგანესა და სიმაღლეებშია დაცული თანატოლობა; თითქმის ყველა სარკმელი სხვადახვა დონეზე იწყება და მთავრდება, ხოლო სიგანის ერთნაირობის დაცვა იმდენად უგულებელყოფილია, რომ ზოგი სარკმელი მომდევნოში ორჯერ ჩაეტევა. ყველა სარკმელი უკლებრივი ნახევარწრიული თაღებითაა გადახურული.

გუმბათის ყელი შიგნიდან მთლიანად შელესილი ყოფილა.

გუმბათის ყელის ქვედა ნაწილში, თითქმის უშუალოდ სარტყლის ზემოთ, მოჩანს ოთხი საკმაოდ დიდი ქვევრის თავი (ქვევრი – რეზონატორი). ეს ქვევრები იმდენად დიდია, რომ მათი წვეტი ზოგან კედლის გარეთაც ჩანს.

გარდან გუმბათის ყელი წარმოადგენს რაღაც საშუალოს ცილინდრსა და მრავალწახნაგა პრიზმას შორის. ცხადია, ის მრავალწახნაგა უფროა, ვიდრე ცილინდრი, მაგრამ **„პრიზმის“** წიბოები ისე დუნედაა გამოყვანილი, რომ მისი შემჩნევა უშუალოდ მხოლოდ სახურავზე ასვლის შედეგადაა შესაძლებელი, ისიც არა ყველგან. ასეთი არაზუსტი, უხასიათო ნამუშევარი მთელ მასას აძლევს ცილინდრის ფორმას.

ეს **„ცილინდრი“** ზემოთ მთავრდება სადად პროფილირებული კარნიზით, ხოლო ქვემოთ – შეწყვილებული ლილვით. ცილინდრის ზედაპირზე განლაგებული მაღალი და ვიწრო სარკმლები მოჩარჩოებულია თითქმის ერთნაირი სახის, მეტად დაბალი ხარისხით შესრულებული, პროფილიანი საპირეებით. ქვების ერთი ნაწილი ძალიან დაზიანებულია გამოფიტვის გამო. სარკმლების მოჩარჩოება ზემოთ თაღოვანია, მაგრამ გვერდითი ქვები ძალიან განსხვავდება ერთმანეთისაგან. ამასთან საყურადღებოა სამხრეთ-აღმოსავლეთის, ჩრდილო-აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთის სარკმლების დამთავრება. ეს სარკმლები სხვადასხვა ზომისა და ფორმისაა ორნამენტოვანი მოჩარჩოებით. ამათგან პირველი და მესამე ნახევარწრიული ფორმისაა, ხოლო მეორე – ოთხკუთხა. საინტერესოა ერთი დეტალიც, რომელიც სამხრეთის სარკმელს აქვს: ზემოთ, უშუალოდ ხვრელის ბოლოში, ჩასმულია კერამიკული ფილა, რომელშიც მთლიანად ამოკვეთილია ფაქიზად შესრულებული, წრეში ჩასმული ფოთოლი, ხოლო წრის ზედა არშიას მხედრული წარწერებით აწერია „ანანია“.

სარკმლებს შუა (გარდა ორისა, სამხრეთ-აღმოსავლეთსა და ჩრდილო-დასავლეთისა) უსისტემოდ თაღების დონეზე ჩასმულია სხვადასხვა ზომის ორნამენტული კოპი. ერთგან კი, სახელდობრ სამხრეთ-დასავლეთის სარკმლებს შორის, ცხვრის თავის ქანდაკებაა ჩასმული.

გუმბათის ყელი შემოსილია სხვადასხვა ზომის თლილზედაპირიანი ლეგა ფერის ქვით. აქა-იქ ჩატანებულია აგური, ზოგან თითო-თითო, ზოგან კი ჯგუფებად, ხოლო კარნიზის ზემო ნაწილი მთლიანად აგურითაა ამოყვანილი. გუმბათის ყელის კედლებზე გამოყენებულია აგრეთვე ორნამენტული ქვების ფრაგმენტებიც. შემოსვაში არ არის დაცული ჰორიზონტალური რიგები. საერთოდ, მთლიანად წყობა მდარე ოსტატობითაა შესრულებული.

გუმბათი აღმოსავლეთით ეყრდნობა პილასტრებით დამუშავებულ საკურთხევლის კუთხეებსა და დასავლეთით ორ მასიურ პილონს. გუმბათქვეშა კვადრატიდან გუმბათის ყელის ცილინდრულ ფორმაზე გადასვლა ხდება აფრული წესით, სადაც ზედ აფრაზე დართულია ერთსაფეხურიანი ტრომპი. ტრომპებს ამ შემთხვევაში არავითარი კონსტრუქციული დანიშნულება არა აქვს.

საკურთხევლის გეგმა მთლიანად უწესოა, რაც ადგილზე თითქმის არ შეიმჩნევა; აფსიდის მომრგვალება აქ ელიფსურია. ასევე არაწესიერ გეგმაზეა აგებული ბემაც; მისი კედლები ვიწროვდება შიგნითკენ არათანაბარი დაქანებით (სამხრეთის კედელი უფრო მეტად უხვევს, ვიდრე ჩრდილოეთისა).

აფსიდისა და ბემის არაწესიერი ფორმა და აფსიდის კედლის სისქის განსხვავება დანარჩენი კედლებისაგან გვიკარნახებს, რომ აქ გადაკეთებასთან გვაქვს საქმე. როგორც ეტყობა, ადრეფეოდალური ხანის ეკლესიის ნაწილი გამოუყენებიათ შემდეგი დროის მშენებლებს.

# სვანებო! დუმილი ყოველთვის არ არის ოქრო!

როგორც ქართველობა იყო საამაყო დიდ საბჭოეთში, ასე სვანობა იყო საამაყო კავკასიის მთიანეთში და საქართველოში.

ჩვენ გვესახელება წინაპართა მიერ განვლილი გზა: მტერთან მტრობა, მოყვარესთან – მოყვრობა, სტუმრის ღირსეულად მიღება-გაცილება, ქვეყნის ერთგულება, საქართველოს მეფეთა სამსახურში ყოფნა.

სვანების როლი განუზომლად დიდია საქართველოს ისტორიაში. ამის შესახებ დიდი ქართველი მეისტორიენი უხვად გვაწვდიან მასალებს.

სამშობლოც დამსახურებულად უფასებდა ქვეყნის ამ რეგიონს ერთგულ სამსახურს, განსაკუთრებით ბაგრატოვანთა დინასტია.

დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ რამდენჯერმე აუჯანყდნენ სვანები მეფის რუსეთს. კონსტანტინე დადეშქელიანმა გუბერნატორი გაგარინიც კი გამოასალმა სიცოცხლეს მეფეთა ქალაქ ქუთაისში.

არ მინდა გავაზვიადო – სვანები მართლაც სვანობდნენ, არც არავისზე ბატონობდნენ, არც არავის იბატონებდნენ.

რა ხდება დღეს?

ვწუხვარ, მაგრამ ჩვენი დღევანდელი დუმილი, ყველაფრისადმი შეგუება, რაც ჩვენს თავს ხდება, უკვირს ყველას, უკვირს დანარჩენ საქართველოს. გაქრა მითი სვანების ვაჟკაცობის შესახებ. ჩვენც დაგვაშინეს, ხმას ვერ ვიღებთ, ჩავიკეტეთ, ვიმალებით, ვითომ ვერაფერს ვხედავთ, არაფერი გვესმის!

მავანნი ამბობენ: სვანები ერთმანეთს არ პატიობენ წყენას, სხვაგან და სხვასთან კი, დღეს, დიდი ვერაფერი რაინდები არიანო. ამგვარი ხმების გამავრცელებლები მწარედ სცდებიან – მარტო კომანის ბრძოლაც კმარა სვანთა სიმამაცის დასტურად.

ღმერთმა დამიფაროს ვინმეს ვაქეზებდე შურისძიებაზე, მაგრამ როცა ახალგაზრდა უდანაშაულო კაცს მოგიკლავენ ხელისუფლების წარმომადგენლები და არც კი მოგიბოდიშებენ, ერთიო აქცია მაინც ხომ უნდა გაგვემართა? სანდრო გირგვლიანს მხოლოდ დედამ, ქალბატონმა ირინა ენუქიძემ უპატრონა და დააკვდა კიდევაც უსამართლობას.

სვანები ვდუმდით.

გაუგონარი ვანდალიზმი ჩაიდინა ხელისუფლებამ სოფელ ეცერში აფრასიძეების ოჯახის მიმართ. **"დიდმა სარდალმა"** გიორგი ბარამიძემ, რომელსაც ზურგს ორი ათასი პოლიციელი უმაგრებდა, მძიმე არტილერიიდან გრიგალისებური ცეცხლი გაუხსნა ევგენი აფრასიძის სახლს. მოკლეს მამა-შვილი ევგენი და ომეხ აფრასიძეები, დააპატიმრეს გოჩა და შმაგი აფრასიძეები. ამ ოპერაციას ხელისუფლება დიდი ხნის განმავლობაში წარმატებულს უწოდებდა. მოგვიანებით, ცრუ ინფორმაციაზე დაყრდნობით, მე-19 საუკუნის საძვალე გათხარეს, ძვლები ტომრებში ჩაყარეს და თბილისში ჩამოიტანეს. ექსპერტიზის ჩატარების შემდეგ კი ისევ სოფელ ეცერში დააბრუნეს და გამგეობის შენობასთან დაყარეს.

რადგან სვანეთი შეუვალ, მკაცრი ტრადიციების დამცველ მხარედ არის მიჩნეული, უნიჭო ხელისუფლებას ეგონა, რომ ამ ოპერაციით ავტორიტეტს აიმაღლებდა და მოსახლეობაში შიშს დანერგავდა. მოგვიანებით, როცა გაირკვა, რომ უგზოუკვლოდ დაკარგული ახალგაზრდა ლევან კალაძე არაკაცების მიერ სულ სხვა ადგილას იყო მოკლული, პრეზიდენტს უნიჭო სპეცოპერაციის ავტორები რომ გაეკიცხა, ალბათ ასე არ გამწვავდებოდა ეს ურთიერთობა.

სვანები არად ჩაგვაგდეს. არც ხელისუფლების წარმომადგენლებს და არც პარლამენტს ბოდიში ან სინანულის სიტყვა მაინც დასდენოდათ ამ ფაქტთან დაკავშირებით?!

ქართული (სვანური) ჩვეულებით, მიცვალებულთა საძვალის შეწუხება მკრეხელობის ტოლფასი დანაშაულია და ასეთ დანაშაულს ხანდაზმულობა არა აქვს.

ძნელი სათქმელი არ არის, რა შეფასებას მისცემს ისტორია საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლებას ამ ქმედებების გამო. არც ისაა ძნელი მისახვედრი, თუ რა ბედი ელის იმ ადამიანებს, რომლებმაც ფეხქვეშ გათელეს ქართული ტრადიცია. საწყენი ის არის, რომ ამ ბარბაროსობის ჩამდენი ადამიანები ბოლო ხანებში ხშირად ადიან სვანეთში, იქ კი მათ სვანური კუბდარით და ხაჭაპურით უმასპინძლდებიან.

სვანებმა არც მაშინ ამოვიღეთ ხმა, როცა ორი სახელოვანი მანდილოსანი მზევინარ ჯაფარიძე და ნელი ნავერიანი, რომლებიც კაცების დუმილის გამო იძულებული გახდნენ, თავად აემაღლებინათ ხმა ხელისუფლების თავგასულობის წინააღმდეგ, სპეცრაზმელებმა დააპატიმრეს.

არ ავტეხეთ განგაში გმირი ქალბატონის ნორა კვიციანის მიმართ შეთითხნილი ბრალდებით დაპატიმრებაზე. მას საზოგადოების ნაწილმა დამსახურებულად შეარქვა ქართველი ჟანა დარკი. ქალბატონმა ნორამ და მისმა ოჯახმა ბევრი იბრძოლეს დალის ხეობის შესანარჩუნებლად და სასურველ შედეგსაც მიაღწიეს. მან და მისმა შვილმა – ბაჩუკი არღვლიანმა შეძლეს მშვიდობიანი ურთიერთობის დამყარება აფხაზურ მხარესთან. ამან გააღიზიანა არაეროვნული ხელისუფლება, დაიწყეს მათზე ბრალდებების შეთხზვა. ბოლოს, ემზარ კვიციანზე განაწყენებულმა ხელისუფალმა იარაღის უკანონო შენახვა წარუდგინეს ბრალდებად ქალბატონ ნორას და დააპატიმრეს. იარაღი კი ხელისუფლებამ თავად დაურიგა ადგილობრივ მოსახლეობას. ამაზეა ნათქვამი ქართული ანდაზა: **"ცხენი ვერ გახედნა და უნაგირი დაამტვრიაო"**. ნორა კვიციანმა მრავალგზის განაცხადა უარი შეწყალებაზე და დღესაც პატიმარია. ქალებმა კი გვასახელეს სვანები, მგონი ჯერი მამაკაცებზე მიდგა.

ხელისუფლების მხრიდან კიდევ ბევრი ძალადობის ფაქტი ახსოვთ სვანებს, ადამიანთა ფიზიკური შეურაცხყოფის, დაჩაგვრის და ა.შ.

რა გვემართება? ერთმანეთს ხომ არაფერს ვპატიობთ?

ამ ხელისუფლებამ ძირძველ ქართულ მიწას – დალის ხეობას – ჯერ სახელი შეუცვალა და დაარქვა **"ზემო აფხაზეთი"**. შემდეგ კი ჩვენი ხალხი ძალით გამოიყვანა ხეობიდან და ეს მხარე გაასხვისა. ისტორიული ფაქტია, რომ დალის ხეობაში სვანების გარდა არასდროს არავის უცხოვრია. ამ მხარეს აფხაზეთის სვანებს ეძახდნენ.

ეს ძველი მისიმინიალების მიწაა – სვანთა წინაპრების, რაზედაც მეტყველებენ როგორც ქართული, ისე უცხოური წყაროები.

ცნობისათვის: აფხაზურმა მხარემ მრავალგზის შემოგვითვალა სვანებს ხეობაში საკუთარ მიწაზე დაბრუნება. ბევრი დაბრუნდა კიდეც, მიუხედავად ჩვენი ხელისუფლების კატეგორიული წინააღმდეგობისა (ძალოვნებს გაძლიერებული საგუშაგო აქვთ გახსნილი ჭუბერთან, რათა გადასასვლელი გზა გადაუკეტოს დაბრუნების მსურველთ).

სვანები ერთ გოჯ მიწას არ თმობდნენ. საკარმიდამო საზღვრის ოდნავ შეცვლაც კი, ხშირ შემთხვევაში, სისხლის დაღვრით მთავრდებოდა. დღეს კი ხელისუფლებამ მთელი ხეობა ჩამოგვართვა და გაასხვისა.

ჩვენ ამაზე ვდუმვართ.

ჰესების მშენებლობის ბუმს აყოლილნი ხუდონჰესის მშენებლობას აპირებენ. არვინ გვეკითხება ჩვენ, დატბორვით რომ ემუქრებიან ეკლესიებს, წინაპართა საფლავებს, თავი რომ გავანებოთ იმ ეკოლოგიურ ცვლილებებს, რასაც ეს ჰესები გამოიწვევენ ამ მხარეში!

ახლაც არ უნდა ავიმაღლოთ ხმა?

არც ქვემო ქართლში ჩასახლებული სვანები არიან კარგ დღეში. არ აძლევენ მიწის ფლობის უფლებას. აქ ჰოლანდიელები სარგებლობენ პრივილეგიებით მიწების შესყიდვისას.

სვანებო! სათქმელი ბევრი გვაქვს, მაგრამ ახლა მოქმედებაა საჭირო. ყველამ ხმა ამოიღო, შიშიო დასძლია. ხედავთ, რომ ეს ხელისუფლება აშკარად ანტიქართულია, მაშასადამე ანტისვანურიცაა. როგორც იქნა გამოჩნდა ძალა, რომელიც დაუპირისპირდა უკანონობას, უმსგავსოებას!

თქვენ კარგად იცით, რომ დუმილი ყოველთვის არ არის ოქრო. ზემოთ ჩამოთვლილი მხოლოდ ნაწილია იმ უმსგავსოებისა, რაც დღევანდელმა ხელისუფლებამ სვანეთსა და სვანებს დამართა.

არავინ არ იღებს ხმას. ხომ ხედავთ, არავის აინტერესებს ჩვენი მდგომარეობა. საქართველოს აღმასრულებელ ხელისუფლებაში ერთი წარმომადგენელიც არ გვყავს!

ალბათ გახსოვთ, სვანი პარლამენტარები არ მეტყველებენო, უტყვები არიანო.

დაგვცინიან!

მათ ლაპარაკი კი იციან, მაგრამ რადგან დანიშნული დეპუტატები არიან, ამ ხელისუფლებაზე აუგს ვერ ამბობენ, პირში წყალი აქვთ ჩაგუბებული, გამბედაობა კი მართლა აკლიათ!

მეგობრებო! ჩვენი ცხოვრება ჩვენვე უნდა შევცვალოთ. უპრიანი იქნება, თუ მომავლის შენებაში გამოცდილი, ავტორიტეტული უფროსი თაობის წარმომადგენლები მიიღებენ აქტიურ მონაწილეობას.

სვანეთს უხსოვარი დროიდან უხუცესთა საბჭო განაგებდა და ეს ნათლად ჩანს ქართულ და უცხოურ წყაროებში. უხუცესთა გადაწყვეტილებას ვერავინ ვერ ეწინააღმდეგებოდა და ამიტომ მხარეში წესრიგი იყო. სვანმა უხუცესებმა დღესაც უნდა თქვან მართალი სიტყვა. მათი რეკომენდაციით უნდა დაინიშნოს ორივე რაიონში პროკურორიც და პოლიციის უფროსიც. უხუცესთა მიერ წარდგენილ პიროვნებას არ უნდა დაუპირისპირონ სადეპუტატო კანდიდატი, არც ხელისუფლებამ და არც ოპოზიციამ. მათი აზრი მოსახლეობისათვის მისაღებია, რადგან ისინი ხატზე არიან დაფიცებულები მიუკერძოებლობაზე. ამ შემთხვევაში, მოსახლეობაში სიმშვიდე და წესრიგი იქნება, არც გაყალბებას ექნება ადგილი და მხარეთა შორის ქიშპსა და დამდურებასაც მოეღება ბოლო, რადგან უხუცესები ყოველთვის საუკეთესოებს უწევენ შუამდგომლობას.

ეს წესი უნდა გავრცელდეს საქართველოს ყველა რაიონში (ამაზე იზრუნებს საქართველოს უხუცესთა დარბაზი). ამით ხალხიც კმაყოფილი იქნება და ხელისუფლებასაც ნაკლები ბრალდებები წარედგინება. და, რაც მთავარია, საქართველოს საკანონმდებლო ორგანოში უტყვნი კი არა, ერის რჩეული შვილები მოხვდებიან.

სვანებო! მამა-პაპურად შევძახოთ **"ლილეო"** და ჩავებათ საერთო ეროვნულ ფერხულში!

**როლანდ ნიჟარაძე,**
**საქართველოს უხუცესთა დარბაზის აღმასრულებელი მდივანი**

# ბიძინა ივანიშვილი – ხელისუფლებამ საერთაშორისო დავალიანება 2,2-ჯერ გაზარდა



2003 წლიდან დღემდე მთავრობამ 6 მილიარდი მოიზიდა გრანტებით და კრედიტებით, რამაც საერთაშორისო დავალიანება 2,2-ჯერ გაზარდა, – ამის შესახებ **"ქართული ოცნების"** ლიდერმა ბიძინა ივანიშვილმა ცაგერის მოსახლეობის წინაშე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

**"ჩვენი პრეზიდენტი აღმშენებლობით ტრაბახობს. აღმაშენებელი ისე დააკნინა, რომ ყველას აღმაშენებელს ადარებს. 6 მილიარდიდან 2 მილიარდნახევარია გზებზე დახარჯული, თუმცა, საკითხავია ესეც რამდენად მიზნობრივად",** – აღნიშნა **ივანიშვილმა. მან დეტალურად ჩამოთვალა ხელისუფლების მიერ მოზიდული გრანტები. ივანიშვილის განცხადებით, აშენდა პოლიციის 130 შენობა, 17-მდე იუსტიციის სახლი, თუმცა, მისი დათვლით, ვერც ერთ შემთხვევაში ვერ სცდება ხელისუფლების დანახარჯები მილიარდნახევარს და "სად წაიღო მთავრობამ ეს თანხები – უცნობია".**

**"ეს არის მათი აღმშენებლობა?! გამობრძანდნენ და პასუხი გაგვცენ, რას გვამადლიან?! ჩვენ რომ უნდა გადავიხადოთ ეს ფული, ამას გვამადლიან?!",** – აღნიშნა მან.

ბიძინა ივანიშვილმა მოსახლეობასთან სიტყვით გამოსვლისას სოფლის მეურნეობის პროგრამაზე ისაუბრა, რომელსაც მისი თქმით, **"ქართული ოცნება"** დიდი ხანია ახორციელებს. ივანიშვილის განცხადებით, 2003 წელს, **"ვარდების რევოლუციის"** შემდეგ ის შეხვდა მიხეილ სააკაშვილს და 2 მილიარდი შესთავაზა სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის, თუმცა, მისგან უარი მიიღო. მისი თქმით, მან თავად დამოუკიდებლად დაიწყო ამის გაკეთება და **"ქართუ ჯგუფს"** სოფლის მეურნეობის მიმართულებით ბევრი რამ აქვს გაკეთებული.

**"ჩვენ გვაქვს მეურნეობები წილკანსა და ჯიღაურაში. გამოვიყვანეთ და აღვადგინეთ ვაზის 425 ენდემური ჯიში, შემოვიტანეთ საუკეთესო ჯიშის თესლები, გამოგვყავს საუკეთესო ჯიშის ნერგები. მომავალ წელს დავურიგებთ მოსახლეობას სათესლე მასალას უფასოდ",** – განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

მისი თქმით დღეს ყურძნის ფასი აღმაშფოთებელია და ყურძნის მოყვანა გლეხს უფრო ძვირი უჯდება, ვიდრე მისი სარეალიზაციო ფასია. **"5-7 წელიწადია ეს საქმე უკვე დაწყებული მაქვს. შეგიძლიათ წაბრძანდეთ და ნახოთ. ამ სფეროსთვის პირველ ეტაპზე 1 მილიარდი გამოიყოფა",** – განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

**"ქართული ოცნების"** ლიდერმა ისაუბრა მოსახლეობისთვის იაფი კრედიტების ხელმისაწვდომობაზე და განცხადა, რომ კერძო პირებისათვის ხელმისაწვდომი გახდება იაფი კრედიტები. ეს იქნება 10 და ზოგ შემთხვევაში 20 წლიანი კრედიტი, რომელიც მოხმარდება წვრილ გლეხურ მეურნეობას, საწარმოების შექმნას და მისი მიზანი იქნება სოფლის მეურნეობის აღორძინება.

**"თქვენი ხმა თქვენ მოგხმარდებათ და ის არ დაიკარგება",** – **მიმართა "ქართული ოცნების"** ლიდერმა საკუთარ ამომრჩევლებს.

აღნიშნულ კონტექსტში ივანიშვილმა ადგილობრივ მცხოვრებლებს მოუწოდა, რომ მოარული ხმები, თითქოს ხელისუფლება არჩევნებს **"მაინც გააყალბებს",** არ დაიჯერონ.

**"ხალხი იგებს არჩევნებს, კარგად გააცნობიერეთ, კარგად დაფიქრდით, ნუ გეშინიათ, ვერაფერს გაბედავენ! თქვენი ხმა მოგხმარდებათ თქვენ და ის არ დაიკარგება! ჩვენ დავიცავთ თითოეულ ხმას! არ დაიჯეროთ, რომ გააყალბებენ, ნახეთ როგორი შეშინებულები არიან! მოგიწოდებთ, პირველ ოქტომბერს, კარგი ანალიზის შედეგად, ემოციების გარეშე მიიღოთ გადაწყვეტილება",** – აღნიშნა ივანიშვილმა.

ამასთან, **"ქართული ოცნების"** ლიდერი ადგილობრივებს დაჰპირდა, რომ რამდენიმე წელიწადში საქართველო ევროპის ღირსეული წევრი გახდება. **"ჩვენ ევროპის რიგებში ღირსეულ ადგილს დავიკავებთ",** – დასძინა ივანიშვილმა.

მან ცაგერის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ მამუკა ჩხეტიანზეც ისაუბრა და მოსახლეობას მოუწოდა, რომ ხმა სწორედ მას მისცენ. **"არ დაიბნეთ, ძალიან ბევრ რეგიონში, მათ შორის თბილისშიც ამბობენ, რომ ხმას "ქართულ ოცნებას" მისცემენ, მაგრამ "ნაციონალური მოძრაობის" რამდენიმე მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი "კარგი ბიჭია". რა თქმა უნდა ისინიც კარგი ბიჭები არიან, რა თქმა უნდა ისინიც ჩვენი ქვეყნის შვილები არიან, მაგრამ არ დაიბნეთ, ისინი "ნაციონალურ მოძრაობას" წარმოადგენენ. არჩევნებს კი მაჟორიტარი დეპუტატები იგებენ. თქვენ გყავთ ძალიან კარგი მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი – მამუკა ჩხეტიანი, მეცნიერი, რომელმაც კარგად იცის თქვენი კუთხე-კუნჭული, სოფლის მეურნეობა და არის ძალიან წესიერი და ღირსეული კაცი",–** მიმართა ბიძინა ივანიშვილმა მოსახლეობას.

# უბედურო საქართველოვ საით მიდიხარ!!!

*(გაგრძელება 185-დან)*

## („ვარდების რევოლუცია" და სახელმწიფო კანიბალიზმი)

**ზღაპრული მითი „კარგ მეფეზე" თითქოს „მიშამ არ იცის ამ მკვლელობების შესახებ" შვილმკვდარ მამას იური ვაზაგაშვილს მალევე გაუქარწყლდა. ამის საფუძველი მ.სააკაშვილისადმი გაგზავნილი წერილების უპასუხოდ დატოვებამ მისცა. ერთ- ერთ ინტერვიუში იგი სინანულით ამბობდა: „ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი, რომ ქვეყნის პრეზიდენტი ამაზე რეაგირებას არ მოახდენდა. არჩევნების წინ მოსახლეობას ჰპირდებოდა, ჭოპორტში პამიდორს გაგითოხნითო, მაგრამ ისევ ძველებურად აგრძელებს... აქ არის ორი ვარიანტი: ან მიშა სააკაშვილი ველარ მართავს ქვეყანას, ან თვითონ მფარველობს მკვლელებს."** ამ საკითხთან დაკავშირებით ობიექტური დასკვნის გაკეთება მხოლოდ ერთადერთ კითხვაზე მიუდგომელი პასუხის გაცემით გახდება შესაძლებელი. მხედველობაში მაქვს, თუ რომელი ქვეყნიდან იმართება სააკაშვილი. რამდენადაც **„ვარდების რევოლუცია"** მასონურ-სოროსული შემოქმედების ნაყოფს წარმოადგენს, ადვილად მისახვედრი უნდა იყოს, რომ იგი **„ოკეანის გაღმელი"** მაღალჩინოსნების სურვილთა აღმსრულებელია. მცირე ერებისადმი მათი დამოკიდებულებაც გასათვალისწინებელია. მხედველობაში ალენ დალესის პროგრამა მაქვს. აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში აშშ-ის საგარეო პოლიტიკური კურსი ამ დოკუმენტში გარკვევითაა ნათქვამი. **„ჩვენ ყველანი პირადად მხარს დავუჭერთ და შევაქებთ... ძალადობის, სადიზმის კულტს."** ე.ი. ყოველივე იმას, რასაც მ.სააკაშვილი ქართველ ერთან მიმართებაში სჩადის, გარკვეული ფორმით მხარდაჭერასა და წამახალისებელ შექებას აშშ-იდან იღებს. აქედან გამომდინარე, მისი ყოველი ნაბიჯი წინასწარ გამიზნულ და შეგნებულად მიღებულ გადაწყვეტილებას წარმოადგენს. იგი **„უფროსი მეგობრისა"** და **„პარტნიორი"** სახელმწიფოს ხელისუფალთა სიამოვნებაზეა აგებული. იქ სადაც ტოტალური რეჟიმისა და დიქტატურისთვის დამახასიათებელი მეთოდებით იმართება ქვეყანა, ხელისუფლების მაღალჩინოსნებს კარგად აქვთ გააზრებული თუ რა მნიშვნელობას იძენს ადამიანის პერმანენტული იდეოლოგიური წნეხის ქვეშ მოქცევა. საზოგადოებაში შინაგანი შიშის ფსიქოლოგიური ზემოქმედება რომ არ განელებულიყო, მკვლელობიდან – მკვლელობამდე დასაშვები შესაძლო შუალედური დრო წინასწარ იქნა განსაზღვრული.

უცხო ქვეყნების **„ლაბორატორიებში გამოყვანილი"** და კომპიუტერის პროცესორივით დაპროგრამებული დღევანდელი საქართველოს ხელისუფლების კლონი კანიბალები, ზემოაღნიშნულ ჩანაფიქრს მაღალ დონეზე ასრულებენ. ამის დადასტურებას ზ.ვაზაგაშვილის მკვლელობიდან ექვსი თვის თავზე ამირან (ბუტა) რობაქიძის მიზანმიმართული ლიკვიდაცია წარმოადგენს. ეს დანაშაულებრივი ფაქტი დიდუბის ეკლესიის მახლობლად მიქაძე-დონაძის სცენარის მიხედვით განხორციელდა. სახელისუფლებო ზონდერბრიგადების ჯგუფის წევრებმა, დანებებული და ხელებაწეული 19 წლის ბუტა რობაქიძე სასიკვდილოდ გაიმეტეს (მკვლელი გრიგოლ ბაშალეიშვილი). **მოწმეთა ჩვენების მიხედვით დადგენილია, რომ სასწრაფო დახმარების მედპერსონალის მოსვლის მომენტში, ბ. რობაქიძე ჯერ კიდევ ცოცხალი იყო და შველას ითხოვდა. მომაკვდავი ახალგაზრდისადმი პირველადი დახმარების სამუშაოსადმი ხელშეწყობის სანაცვლოდ, ასფალტზე სისხლში მოფართხალე და სიკვდილ-სიცოცხლესთან მებრძოლ ბ.რობაქიძესთან ექიმები ზურაბ მიქაძემ არ მიუშვა. ვინც XX საუკუნის 30-40-იანი წლების ბოლშევიკებისა და გერმანელი ფაშისტების მხრიდან ადამიანებთან დამოკიდებულების ისტორიას საფუძვლიანად იცნობს, დამეთანხმება, რომ მათი სამარცხვინო ნამოქმედარის ყველაზე ამაზრზენი და კანიბალისტური მეთოდი, ზურაბ მიქაძემ გაზეპირებული ლექსივით მომაკვდავ ბ. რობაქიძესთან მიმართებაში გამოიყენა. ერთ-ერთ ინტერვიუში ზ. მიქაძის მისამართით შვილმკვდარი სოსო რობაქიძე სავსებით სიმართლიანად ბრძანებდა: „მე მაგის ოჯახის წევრი რომ ვიყო, უარს ვიტყოდი მის მამობაზე, მის შვილობაზე და ის ქალი, ვინც მაგას ლოგინში უწვება და ეფერება, ღორია და მეტი არაფერი! საკუთარ შვილებს როგორ ეფერებიან ეს გარეწრები?"** ასეთი გაკვირვებული ფორმანარევი მრისხანებით წარმოთქმული სიტყვების მნიშვნელობის შესმენა, მხოლოდ მაღალზნეობრივ ოჯახში გაზრდილ ადამიანებს ხელეწიფება. **პირდაპირ უნდა ითქვას, ს. რობაქიძეს და საერთოდ ქართულ საზოგადოებას ერთი რამ დაავიწყდა; „ვარდების რევოლუცია" ქუჩაში მორბენალი უწიგნური და „ქვასროლია" ადამიანების მიერ იყო მოწყობილი. ამიტომ არის დღეს საქართველოში უზნეობისა და უსამართლობის დღესასწაული.** ჩემს ამ განცხადებას ბ. რობაქიძის მკვლელობასთან დაკავშირებული ფაქტებიც ამყარებს: ა) რამდენადაც ბ.რობაქიძის მანქანაში იარაღი არ აღმოჩნდა, ზურაბ მიქაძემ და გურამ დონაძემ ერთადერთ გამოსავალ საშუალებად ვაკის პოლიციის განყოფილებიდან ავტომატური იარაღის საიდუმლოდ გამოტანა და მოკლული ახალგაზრდების მანქანაში ჩაწყობა მიიჩნია. ამის შესახებ, პოლიციის მაიორმა გია სარიშვილმა, მოგვიანებით სოსო რობაქიძეს დაუფარავად უთხრა: **„როცა შენი შვილის მკვლელობა მოხდა, იმ დღეს მორიგე ჯგუფში ვიყავი ვაკეში არაყიშვილის ქუჩაზე პოლიციის განყოფილებაში და სწორედ იქედან გაიტანეს იარაღი, რომელიც შენს შვილს და მასთან მყოფ ბიჭებს ჩაუდეს მანქანაში".** მომხდარი ფაქტიდან 10 წუთის შემდეგ, სატელეფონო შეტყობინებიდან გამომდინარე (დედის მძიმე მდგომარეობის გამო), სახლში მიმავალმა გ. სარიშვილმა დიდუბის პანთეონთან ის მანქანები დაინახა, რომლებმაც იარაღი ვაკის პოლიციიდან გაიტანეს. იქ იყო საპატრულო პოლიციის უფროსი ზურაბ მიქაძეც. ამ ფაქტთან დაკავშირებით იმავე სარიშვილმა განაცხადა: **„მაშინვე მივხვდი, რომ ვაკის პოლიციიდან წამოღებული იარაღი შენს შვილს და მის მეგობრებს რომ ჩაუდეს მანქანაში."** ბ) ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედების **„გამართლების"** მიზნით, ვაკის პოლიციის განყოფილებიდან წამოღებული იარაღით, ზ. მიქაძემ და გ. დონაძემ დახოცილი ახალგაზრდების **„შეიარაღება"** მოახდინა. ამ პროცედურის შემდეგ განახორციელეს მკვლელობის გაყალბებულ ფორმატში ვიდეოაპარატურით გადაღება-მონტაჟირება. **ამ სამარცხვინო საქმეში აქტიურად „რუსთავი-2"-ის ჟურნალისტებიც მონაწილეობდნენ. სწორედ მათი ეთერით გავიდა ზ. მიქაძის პირველი ინტერვიუ, სადაც ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ „ბანდიტური ჯგუფის დასაკავებლად ადექვატური ზომები მივიღეთო." ამ ფაქტიდან მხოლოდ 8 თვის შემდეგ მოხდა ოფიციალურად იმის აღიარება, რომ ბ. რობაქიძესა და მის თანმხლებ ახალგაზრდებს იარაღი არ ჰქონდათ. „რუსთავი -2"-ის იმ ჟურნალისტებმა, რომლებმაც ეთერში ყალბი ინფორმაცია გაუშვეს, უდანაშაულო ახალგაზრდები „ბანდიტებად" გამოაცხადეს, ს. რობაქიძის ოჯახის ღირსება და უფლებები ფეხქვეშ გათელეს, დღევანდელი გადასახედიდან თავს დამნაშავედ გრძნობენ თუ არა – საინტერესოა! ან კიდევ, ფულზე გაყიდულ და ზნეობრივად დეგრადირებულ ასეთ ჟურნალისტებს აქვს კი მორალური უფლება, საზოგადოების მხრიდან მათდამი პატივისცემა და სამართლებრივი დამოკიდებულება მოითხოვონ?**

პოლიციის თანამშრომელთა ინფორმაციაზე დაყრდნობით დადასტურებულია, რომ ბ.რობაქიძის მკვლელობის ამსახველი ვიდეო კასეტა გ.დონაძეს აქვს. მისი გადაღება გ.ბაშალეიშვილის მანქანიდან მიმდინარეობდა. რამდენადაც შვილმკვდარმა მამამ სახელისუფლებო კანიბალებთან ჭიდილში სამართალი ვერ ჰპოვა, იძულებული გახდა შვილის საფლავზე ფიცი დაედო: **„შვილის საფლავს ვფიცავ... როგორ მდგომარეობაშიაც მოკლეს ჩემი უდანაშაულო შვილი, რომელ ოჯახსაც ავირჩევ მათგან, იგივეს გავუკეთებ".** მართალია, მართლმადიდებელი ქრისტიანი კაცის მხრიდან ბოროტებისადმი ბოროტებით დაპირისპირება მიუღებელია, მაგრამ, ამ მდგომარეობამდე იგი ქვეყანაში გაბატონებულმა უსამართლობამ მიიყვანა. მითუმეტეს, ბუტა რობაქიძის მკვლელი, ჯანღონით აღსავსე ახალგაზრდა კაცის სიცოცხლის შეგნებულად ხელმყოფი გიორგი ბაშალეიშვილი, სახელისუფლებო კანიბალთა ინტერესების დამცველმა სასამართლომ, მკვლელობის მუხლით კი არა, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს უფლებათა გადამეტებით გაასამართლა და 4 წელი მიუსაჯა. ამით საზოგადოებას პირდაპირ უთხრეს: **„ხელისუფლებას ჩირის ფასადაც არ უღირს უდანაშაულო ახალგაზრდების სიცოცხლე!"**

საქართველოს ხელისუფლების მაღალჩინოსანთა სადიზმისა და კანიბალიზმის გამოვლინების ნიმუშს, 2006 წლის 28 იანვარს სანდრო გირგვლიანის მკვლელობა წარმოადგენს. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, არსებული მასალების ანალიზიდან გამომდინარე, დაბეჯითებით შეიძლება იმის თქმა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსნებმა ს. გირგვლიანი სიტყვიერი შეურაცყოფის საფუძველზე გაწირეს. **მისი სიკვდილი, საპარლამენტო არჩევნებში ხალხის მხარდაჭერის შედეგად შემთხვევით აღზევებული და კანიბალისტური ცნობიერებით აღზრდილი ადამიანების სახელთანაა დაკავშირებული. ესენია: კონსტიტუციური დეპარტამენტის მაშინდელი უფროსი დათა ახცალაია, კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის მაღალჩინოსანი ოლეგ მელნიკოვი, გენერალური ინსპექციის უფროსი ვასილ სანოძე, შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურის უფროსი გურამ დონაძე და შინაგან საქმეთა მაშინდელი მინისტრის მეუღლე თაკო სალაყაია.** მათივე ძალისხმევით გამოძახებულმა პოლიციელთა სადამსჯელო ბრიგადამ, სანდრო გირგვლიანი და ლევან ბუხაიძე უკანონოდ დააკავა, ოქროყანის სასაფლაოზე აიყვანა და სასტიკად ცემა. წამების სადისტური მეთოდების პროცედურას, ს. გირგვლიანს უკანასკნელ ამოსუნთქვამდე უტარებდნენ. მის სხეულზე აღბეჭდილი წამების კვალი, სასამართლომ **„ნაკაწრებად"** გაასაღა. მოსამართლეთა მხრიდან გამოთქმული **„ჰიპოთეზის"** მიხედვით, შესაძლებელი იყო ს.გირგვლიანი თავდამსხმელებს გაქცეოდა, კბილებიან მავთულხლართებში წაქცეულიყო, ბასრ საგანზე დაცემულიყო და მრავალობითი ხასიათის ჭრილობებიც იქედან მიიღო. ასეთი მტკივნეული საკითხისადმი ამ დონეზე მიდგომას და ლოგიკაგამოცლილ მსჯელობას, პინოჩეტისა და სადამ ჰუსეინის მმართველობას დაქვემდებარებული მოსამართლეებიც არ კადრულობდნენ. ამ რეალობას, უცხოური ქვეყნების ზოგიერთი მაღალჩინოსანი ანგარიშს არ უწევს. საქართველოს სინამდვილისა და მისი მოსახლეობის ყოფითი მდგომარეობით არდაინტერესებიდან გამომდინარე, მ.სააკაშვილის კანიბალისტური ხელისუფლების შეფასებებს მხოლოდ ტყუილებზე და პიარზე აგებული სატელევიზიო რეკლამების მიხედვით აკეთებენ. აქედან გამომდინარე, მათი განცხადებები აბსურდულ სახეს ატარებს. ამიტომ არის, საქართველოს მოსახლეობაში თითოეული მათგანისადმი ზიზღი და გულისწყრომა რომ დამკვიდრდა. დოკუმენტური მასალებით დადასტურებულია: ევროპისა და აშშ-ის ზოგიერთი პოლიტიკოსის მხრიდან **„დემოკრატიის შუქურად"** წოდებულმა მ.სააკაშვილის ხელისუფლებამ, უსამართლობითა და ადამიანთა განუკითხაობით, პინოჩეტისა და სადამ ჰუსეინის მმართველობისათვის დამახასიათებელი სადიზმის ნიშნები შემოქმედებითად გადაამუშავა და კანიბალიზმის ახალი ფორმებით შეავსო. ამ ფაქტს, სახელისუფლებო ტელევიზიები და ფულის შოვნაზე დახარბებული ზოგიერთი „ჟურნალისტი" შეგნებულად უვლის გვერდს. ისეთ იდეოლოგიურ პროპაგანდას ეწეოდნენ და ეწევიან, რომ უმაღლეს სახელისუფლებო ეშელონებში მოკალათებულ მკვლელებს (მ. სააკაშვილი, ვ. მერაბიშვილი, ზ. ადეიშვილი, ბ. და დ. ახალაიები და სხვები), უდანაშაულობის წამოსასხამში ფუთავენ და დემოკრატიისათვის თავდადებული მებრძოლების რეკლამირებას უკეთებენ. **ასეთი ჟურნალისტური ტყუილისა და ნამუსგარეცხილობის წინააღმდეგ აღიმაღლა ხმა XXI საუკუნის უსამართლობასთან შეუდრეკელმა მებრძოლმა ქალბატონმა ირინა ენუქიძემ. პრაქტიკული მოქმედებით, ქართულ საზოგადოებას თვალნათლივ აჩვენა თუ როგორი უნდა იყოს ქართველი დედა. სწორედ ასეთი დედის წინაშე, მსოფლიოს ერთმა უდიდესმა ჯალათმა თემურ ლენგმა ქედი მოიდრიკა და თავის სარდლებს ხმამაღლა განუცხადა: „ვადიდოთ დედა, ვისმა სიყვარულმაც არ იცის ზღუდე, არ იცის დაბრკოლება, ვისი ძუძუთიც გამოზრდილია მთელი მსოფლიო!" საუბედუროდ, დღევანდელი საქართველოს ხელისუფლების მესვეურთ დედები არ ჰყოლიათ, ანდა ოდესმე თუ ჰყავდათ, ისინი უღირსნი და „ნადედარნი" იყვნენ. ალბათ არც კი იციან, რომ მათ მიერ გაჩენილი და ვერგაზრდილი შვილები ვისი მამისანნი არიან. ასეთი ტიპის ადამიანებთან უხდებოდა ბრძოლა ქალბატონ ირინა ენუქიძეს. მისი შეუპოვრობა და მტკიცე ხასიათი რომ არა, წამებით მოკლული ს.გირგვლიანი „რეფორმირებული" სასამართლოს მიერ დამნაშავედ იქნებოდა გამოცხადებული.** თუმცა, არსებულმა ხელისუფლებამ, მის მიერ შექმნილი „ზონდერბრიგადების" დანაშაულებრივი ქმედების მიფუჩეჩებას მაქსიმალურად შეეცადა. ამ პროცესს, პარლამენტისა და მისი თავმჯდომარის უპრინციპო დამოკიდებულებაც უწყობდა ხელს. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ერთ-ერთ ინტერვიუში გ. გირგვლიანი ხაზგასმით აღნიშნავდა. **„სანდროს მკვლელობის შემსრულებლები სპეციალურად არ დაიჭირეს მანამ, სანამ კანონი არ შეცვალეს და იმ მუხლზე რომლითაც ისინი უნდა გაესამართლებინათ, სასჯელი გაანახევრეს. ეს გააკეთა პარლამენტმა მაშინ, როცა მისი თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე იყო."** საუბედუროდ, კანონშემოქმედებითი ორგანო და მისი ხელმძღვანელობა თვალებს იმ უკანონობაზე ხუჭავდა, რასაც ადგილი ჰქონდა ამა თუ იმ დანაშაულებრივი საქმის ძიებასთან მიმართებაში. ამის შესახებ ქვეყნის **„სახალხო დამცველი"** ს. სუბარი ჯერ კიდევ 2008 წლის იანვარში ხაზგასმით წერდა: **„გირგვლიანის საქმე არის ამ ხელისუფლების მოღვაწეობაზე დასმული დიდი შავი ლაქა, რომელიც შემზარავი სიცხადით ასახავს, რა მდგომარეობაა ქვეყანაში სამართლის სფეროში... ხელისუფლება და სამართალი ერთმანეთშია შერწყმული. გამოძიებამაც იმავე კრიტერიუმებით იხელმძღვანელა რითაც ხელისუფლებამ."**

საქართველოში გამეფებული უსამართლობისა და განუკითხაობის ზეიმის ფონზე, ნებისმიერი საღად მოაზროვნე ადამიანისათვის მისახვედრი უნდა ყოფილიყო, რომ გონებრივად მოფარფატე და ალაჟვერა კანიბალი მ.სააკაშვილი, ს.გირგვლიანის მკვლელ მაღალჩინოსნებს სანიმუშოდ არ დასჯიდა. რამდენადაც ეს რეალობა ს.გირგვლიანის ოჯახის წევრებს და მის ადვოკატებს კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული, ისინი იძულებულნი გახდნენ, სამართალი ევროპის სასამართლოში ეძებნათ. მათ მიერ სტრასბურგში შეტანილი სარჩელის შედეგად, საქართველოს ხელისუფლებას სტრასბურგიდან რამდენიმე სახის უსიამოვნო შეკითხვა მოუვიდა, რომელზედაც წერილობითი პასუხის გაცემას მოითხოვდნენ. საზოგადოებისა და ევროპის ქვეყნების თვალის ასახვევად, საქართველოს ხელისუფლებამ ს. გირგვლიანის მკვლელთა საკითხი პიარკამპანიის ერთჯერად ფორმატში გადაწყვიტა. მხედველობაში მაქვს ს.გირგვლიანის მკვლელობის დაკვეთის შემსრულებლების, ადამიანის უკანონოდ დაკავებისა და ფიზიკური შეურაცყოფის ბრალდებით გასამართლების ფაქტი. ბუნებრივია, მათი სასჯელიც სულ სხვა მუხლით იქნა განსაზღვრული. გ. ალანიას – 8 წელი, მ. ბიბილურიძეს, ა. აფციაურს და ა. ლაჭავას 7-7 წელი. ამ გადაწყვეტილებიდან ერთი წლის თავზე, უზენაესმა სასამართლომ მსჯავრდებულებს სასჯელი 6 თვით შეუმცირა, ხოლო მ. სააკაშვილს 2008 წლის 24 ნოემბერს შეწყალების შედეგად გაუნახევრეს. 2009 წლის სექტემბერში კი ციხიდან გაათავისუფლეს. ამ ფაქტთან დაკავშირებით, პარლამენტში გამართული დებატების დროს, ნაციონალების **„მოკრივემ"** და **„ლოგიკური აზროვნების სიმბოლომ"** – აკაკი ბობოხიძემ განაცხადა: **„აღნიშნული მსჯავრდებულები სასჯელს მკვლელობისათვის არ იხდიდნენ, არა მარტო იმიტომ რომ არ დავსაჯეთ, არამედ იმიტომ რომ იქ ამ ხალხის მიერ მკვლელობა არ მომხდარა".**

**გიორგი სუფსისპირელი**

*(გაგრძელება შემდეგ ნომერში)*

სპორტული კუთხე მიჰყავს ჟურნალისტ გიორგი ჯალაღანიას

# “არ უხდება მშიშარა პრეზიდენტს ერის მამის როლი”



**“არ გამოუვათ მიხეილ სააკაშვილსა და მის გუნდს, საფეხბურთო სამყაროს ჩემთან დაპირისპირება”. “პოლიტიკური პოლიცია, კრიმინალი ჩინოვნიკები და პლანტატორი გამგებლები”.**

რეგიონებში **“ქართული ოცნების”** მაჟორიტარი კანდიდატების მოსახლეობასთან შეხვედრებს ინციდენტებიც ახლავს. გამონაკლისი არც კახი კალაძეა, რომელიც მაჟორიტარული წესით კენჭს სამტრედიაში იყრის. იგი **“კვირის პალიტრას”** პროვოკაციებსა და იმ გაუხმაურებელ დეტალებზე ესაუბრა, რომელიც ამ ინციდენტების უკან იმალება. შეგახსენებთ, რომ გასულ კვირას ექსპერტმა მამუკა არეშიძემ განაცხადა, ხელისუფლება კალაძის წინააღმდეგ ვეტერანი ფეხბურთელების გამოყენებას გეგმავსო. კახი კალაძესთან საუბარი სწორედ ამ თემით დავიწყეთ.

– არ ვიცი, ვინ შეიძლება აღმოჩნდეს ამ ავანტიურაში ჩართული. ამ ბინძურ პროცესს მართავს არსებული კრიმინალური რეჟიმი მშიშარა პრეზიდენტის ხელმძღვანელობით. არ გამოუვათ მიხეილ სააკაშვილსა და მის გუნდს საფეხბურთო სამყაროს ჩემთან დაპირისპირება. თუმცა, არც იმის გამორიცხვა შეიძლება, რომ ვინმე სულმდაბალი ადამიანი გამოძებნონ, რომელიც რაღაც თემით ეყოლებათ გამოჭერილი, და ჩემს წინააღმდეგ გამოიყენონ.

**– სამტრედიაში პოლიტიკურ ვითარებას მართლა ლადო ვარძელაშვილი, დავით ნამგალაური და გია უდესიანი აკონტროლებენ და არა ადგილობრივი “ნაციონალები”?**

– დიახ, **“ნაციონალურ მოძრაობას”** ამჟამად კრიტიკული დღეები უდგას. ამიტომ ხელისუფლებამ მიიჩნია, რომ ადგილობრივი ძალებით **“ქართულ ოცნებასთან”** ვერაფერს გახდება და თბილისიდან **“მაშველი რგოლი”**, ზემოხსენებული პერსონები გამოგზავნეს.

ვარძელაშვილისა და ნამგალაურის კუნთმაგარი ზონდერების ჩაყვანა **“ნაცმოძრაობას”** სამტრედიაში სასტიკი მარცხისგან მაინც ვერ იხსნის. აქეთ-იქით დარბის სამტრედიის პოლიციის უფროსი, ვინმე ობოლაძე თბილისიდან ჩამოსულ ზონდერებთან ერთად და ამაოდ ცდილობს ჩვენი მომხრეების დაშინებას. საქმე საქმეზე რომ მიდგება, ეს არაკაცები არც ფიზიკურ შეურაცხყოფაზე იხევენ უკან. მაგალითად, როცა სოფელ გომში მოსახლეობას ვხვდებოდით, დაგვახვედრეს უცხო პირები, რომლებიც ვერც გომელებმა ამოიცნეს და ვერც სამტრედიელებმა. ისინი თავს დაესხნენ ჩვენს აქტივისტებს, ამ ყველაფერს კი პოლიციის მაღალჩინოსანი მშვიდად უყურებდა. არც მას და არც მის ხელქვეითებს ძალადობაზე რეაგირება არ ჰქონიათ. ასეთი ინციდენტები საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში ხდება.

ამას ინციდენტებიც აღარ ჰქვია. ეს არის **“ნაციონალური მოძრაობის”** შტაბის ხელმძღვანელებისა და გუბერნატორების მიერ ორგანიზებული შტურმი **“ქართული ოცნების”** მხარდამჭერებზე. ამ პროცესში ყველას თავისი როლი აქვს. სოფლის გამგებელი და მისი დამქაშები **“ქართული ოცნების”** წარმომადგენლების მოსახლეობასთან შეხვედრების ჩაშლას ცდილობენ, შემდეგ წინა პლანზე გამოდიან სხვადასხვა ქალაქიდან ჩამოყვანილი ზონდერები და თავიანთ **“საქმეს”** ასრულებენ. ამ ყველაფერს უყურებს და აკონტროლებს პოლიცია და დანაშაულებრივ ფაქტებზე არ რეაგირებს, ანგაჟირებული ტელევიზიის წარმომადგენლები კი ცალმხრივად აშუქებენ და ა.შ.

**– ვინ იქნება თქვენი მთავარი კონკურენტი არჩევნებზე და რამდენპროცენტიანი გამარჯვების იმედი გაქვთ?**

– არა მარტო ჩემი, არამედ კოალიციის მთავარი კონკურენტი არჩევნებზე იქნება პოლიტიკური პოლიცია, ასევე, კრიმინალი ჩინოვნიკები, პლანტატორებად ქცეული სოფლის გამგებლები. ჩვენი მოკავშირე და მთავარი მხარდამჭერი ამ პროცესში საქართველოს მოსახლეობა იქნება. ხალხი ცვლილებებს ელის და შიშიც უკვე გადალახა.

**– გვახსოვს, როგორ გამოგიყვანათ მოთმინებიდან თქვენი ძმის სახელის ხსენებამ და ბინძურმა ბრალდებამ. მსგავსი შემთხვევა კიდევ რომ განმეორდეს, როგორ მოიქცევით?**

– ეს ჩემი პირველი ნაბიჯებია პოლიტიკაში, მაგრამ მოწინააღმდეგეებისგან განსხვავებით ვიცი, რა არის ადამიანობა, კაცობა, ცოცხლის დაფასება, მიცვალებულის სულის პატივისცემა. არსებობს ზღვარი, რომელსაც კაცმა კი არა, არაკაცმაც არ უნდა გადააბიჯოს!

**– სააკაშვილმა რაბათის ციხის გახსნისას ოლიმპიადის ვერცხლის მედალოსანი და ოლიმპიური ჩემპიონი შეაქო, მან ამაყად თქვა, ზოგიერთ ქვეყანას, ჩვენგან განსხვავებით, ოლიმპიური ჩემპიონი არა ჰყავსო. როგორ ფიქრობთ, პრეზიდენტისგან ხოტბაშესხმულ სპორტსმენებს დაუფასდებათ ღვაწლი თუ ეს მხოლოდ მათ პოლიტიკურ შეხედულებებზე იქნება დამოკიდებული?**

– სააკაშვილს ისე ადარდებს ჩვენი ოლიმპიელები, როგორც მე ბანგლადეშის ოლიმპიელთა გამოსვლა. არ უხდება მშიშარა პრეზიდენტს ერის მამის როლი. ის ერის მამა კი არა, ქართველი ერის სირცხვილია! როგორ შეიძლება იმ ოლიმპიელებს დაუფასოს შრომა, რომლებმაც არცთუ დიდი ხნის წინ საკუთარი თვალით დაინახეს, თუ როგორ გადაარქვა დღევანდელმა კრიმინალურმა რეჟიმმა ზვიადაურის სახელი ახმეტის სპორტდარბაზს, ხოლო გორში ოლიმპიური კედელი, სადაც ბეჭდაუდებელი ფალავნის, შოთა ხაბარელის სახელიც იყო ამოტვიფრული, დაანგრია და მიწასთან გაასწორა! მიშას სძულს მოწინავე ადამიანები, მით უმეტეს, სპორტსმენები. ამიტომაც ნიშნავენ ნებისმიერი ფედერაციის ხელმძღვანელად მხოლოდ **“ნაცმოძრაობის”** წევრს.

**– წინასაარჩევნო პერიოდში “ქართულ ოცნებაში” შემავალი პარტიების ანგარიშებს ინკასო ადევს. ამაზე რას იტყვით?**

– ხელისუფლება აგონიაშია, მას ძალიან ცოტა დრო დარჩა. იმედია, ქართველი ხალხი პასუხს გასცემს ხელისუფლებას იმ ტანჯვისა და დამცირებისთვის, რომელიც ამ 10 წლის განმავლობაში მიიღო. ჩვენ ყველაფერს გავუძლებთ, არ გვეშინია არც ანგარიშების დაყადაღების, არც ქონების ჩამორთმევის, არც ზონდერების, არც ქვების სროლის. XXI საუკუნეში არ არის ქვასროლია ხელისუფლების ადგილი. ქართველი ხალხი ამას არ იმსახურებს.

**– მაგრამ პრეზიდენტმა გარკვევით თქვა, მეტი საქმე არა მაქვს, ეს აწყობილი ქვეყანა თქვენ დაგიტოვოთო.**

– ამით მკაფიო და აგრესიული მესიჯი გაუგზავნა როგორც ქართველ ხალხს, ასევე ჩვენს დასავლელ მეგობრებს. ნათლად გამოჩნდა, რომ ეს კაცი არ ირჩევს დასავლეთისკენ, გამჭვირვალე არჩევნების ან სხვა დემოკრატიული ფასეულობებისკენ მიმავალ გზას. მან ყველას თვალწინ მოისხა დიქტატორის მანტია და ასე უნდა ქვეყნის მართვა, მაგრამ ავიწყდება, რომ სურვილი ერთია და შესაძლებლობა – მეორე. საქართველოს მოსახლეობას ისღა დარჩენია, მალე დაივიწყოს სააკაშვილის მმართველობის კოშმარული 10 წელი და ლაღი და ბედნიერი ცხოვრებისკენ განაგრძოს სვლა.

**– თქვენი აზრით, მივა სიტუაცია სამოქალაქო დაპირისპირებამდე?**

– ხელისუფლება პოლიტიკურ პოლიციასა და ჯიბის ტელევიზიებთან ერთად აღრმავებს სამოქალაქო დაპირისპირებას. პასუხისმგებლობა ამ პოლიტიკურ პროცესზე სააკაშვილის კორუმპირებულ და კრიმინალურ რეჟიმს ეკისრება. მისთვის ქართველი ხალხის აზრი და არჩევანი მთავარი არ არის, მთავარია, ყველანაირი ხერხით მოიგოს არჩევნები, რაც პრეზიდენტმა საჯაროდაც განაცხადა. თუმცა, დღეს სულ სხვა რეალობაა, მსოფლიო თანამეგობრობაც სააკაშვილის ცრემლების და ტყუილების დაჯერებას ნამდვილად არ აპირებს. დარწმუნებული ვარ, 1-ელ ოქტომბერს ხალხი გააკეთებს არჩევანს და **“ქართული ოცნება”** გაიმარჯვებს.

**ე. ასათიანი**

## იუმორი

ქობულეთის პლაჟზე:

– რა ღირს სიმინდი?

– ქართველი ხარ, ბიჭო? უფასოდ მოგცემ!

* * *

სამშობიაროში მისულ ორსულ ქალს ექიმი ეუბნება:

– თუ გნებავთ, ახალი მეთოდით გამშობიარებთ...

– როგორია ეგ ახალი მეთოდი?

– ტკივილები ბავშვის მამაზე გადავა.

ქალი დათანხმდა, მშობიარობის შემდეგ ქმარს ურეკავს და ეკითხება:

– როგორა ხარ, ისვენებ?

– რა დამასვენებს, მეზობელმა ყვირილით კინაღამ დაანგრია აქაურობა.

* * *

სვანს მიასვენებენ და სურათი შებრუნებული მიაქვთ. რატომო, ეკითხება ვიღაც.

– ძებნაშია! – უპასუხეს სვანებმა.

* * *

– მეგრელი რადიოში რეკავს:

– რა გნებავთ?

– ძალიან მომეწონა ბახის სიმფონია და ავტორი ვინაა, ნეტავი?

* * *

– ექიმო, ძილის დროს ძალიან ვიტანჯები.

– რატომ?

– მესიზმრება, რომ წარწერიან კარს ვაწვები და ვერ ვაღებ!

– კარს რა აწერია?

– “შენსკენ მოსწიე”!

## საუკუნო სიმშვიდე გქონებოდეს, ძმაო მურად..

### ეძღვნება მურად ესართიას ხსოვნას

რა ულმობელია დრო – უკვე მეორმოცე დღე გალეულა, რაც ჩვენს გვერდით აღარა ხარ, ძმაო მურად!

დედასავით ჩაგიხუტა მშობლიურმა მეგრულმა მიწამ...

ჩემო ძვირფასო ძმაო, მეგობარო და თანამოზრევ, დიდი გულისტკივილით და სულშეძრული ვწერ ახლა ამ სტრიქონებს. თავზარი დაგვატეხა შენმა სიკვდილმა. ამ გაუსაძლის საქაოში ამხელა ტკივილი რატომ დამიტოვე, ბიჭო.

კი გვაფრთხილებდი – რაღაც გული მაწუხებსო, მაგრამ არ გიჯერებდით, რადგან ვერ წარმოგვედგინა შენი შემართების მქონე ადამიანის ავადმყოფობა – სწორედ ამას ვერ ვპატიობთ ჩვენს თავს!

ურთულესი ხასიათით გამოირჩეოდი, ჩვენო ძმაო, მურად და ამით იყავი ძალზე საინტერესო, რადგან შენი ხასიათის სირთულე სასიკეთოდ უბრუნდებოდა საზოგადოებას და არა თავსატეხად!

ამიტომაც იმეორებდი ხშირად ხუმრობანარევი ტკივილით: ვინ რა იცის ჩემი გულის დარდებიო...

მართალიც ყოფილხარ, ჩემო ნატანჯო მეგობარო...

შენ უკვე შეუერთდი ზეციურ სამყაროს, მიუხველ მამა-პაპათა **“ხელდანთებული ცვილითა”** და ბედნიერ ადამიანად მიგვაჩნიხარ, რადგან პირნათელი და ცოდვის ტვირთით დაუმძიმებელი წარსდექი უფლის სამსჯავროზე.

როგორ გინდოდა, რომ აღორძინებული და გაძლიერებული კოლხეთი გეხილა, რაც შენთვის სრულიად საქართველოს აღორძინებისა და გაძლიერების სიმბოლოდ მიგაჩნდა, გინდოდა, რომ გამთლიანებულ სამშობლოს მოსწრებოდი, გულით გსურდა, რომ უზომოდ მონატრებული გაგრაბიჭვინთის ზღვის ტალღები მოგლამუნებოდნენ ნაზად, როგორ გინდოდა საფიცარი ოჯახის წევრების ბედნიერებით გახარებულიყავი...

არ ვიცით, როდის შეგვაშრება თვალზე ცრემლი. მხოლოდ იმით ვიმშვიდებთ თავს, რომ უამრავ სამშობლოდან გადახვეწილ ქართველთა დარად უცხო მიწას კი არ მიებარე, არამედ მშობელ დედასავით ჩაგიკრა გულში სამეგრელოს მიწამ!..

მურად, ჯიმა, ერთხელაც იქნება, იმქვეყნად შევიყრებით და დანარჩენზე იქ ვისაუბროთ...

მარად შენი ძმა,

**ზურაბ კვარაცხელია,**
**სახალხო მოძრაობა “სამეგრელოს” ზუგდიდის ოფისის ხელმძღვანელი**

## ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, ხელისუფლებამ დიდი საავადმყოფოს მშენებლობა ჩაუშალა

კოალიცია **“ქართული ოცნების”** ლიდერის, ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, ხელისუფლებამ მას რესპუბლიკური საავადმყოფოს ადგილზე, ახალი, უფასო საავადმყოფოს მშენებლობის გეგმა ჩაუშალა.

როგორც მან ლენტეხში ამომრჩევლებთან შეხვედრაზე განაცხადა, 40 მილიონ დოლარზე მეტია დახარჯული რესპუბლიკურ საავადმყოფოზე, თუმცა უნდა დახარჯულიყო 700 მილიონ ევროზე მეტი, რაზეც მისი თქმით, ის ხელს აწერდა და უნდა გაეკეთებინა.

**“რესპუბლიკური საავადმყოფოს ადგილზე, ნახაზი გერმანელების გაკეთებული იყო, ფუნდამენტს ვიწყებდით, როდესაც შემაჩერეს. თვითონ რესპუბლიკურ საავადმყოფოს არ ვანგრევდით, აქ უნდა გადმოსულიყო სამედიცინო ინსტიტუტი. იქმნებოდა უნიკალური საუნივერსიტეტო კლინიკა, რომელიც 700-800 საწოლზე იქნებოდა გათვლილი. ეს რესპუბლიკური საავადმყოფო საშუალებას მისცემდა პრაქტიკულად ყველა სოციალურად დაუცველს საქართველოს მასშტაბით, სერიოზული მკურნალობა და ოპერაციები ჩაეტარებინა. ეს უნდა ყოფილიყო უფასო, რასაც მე ვითხოვდი. რაღაც ეტაპზე ეს შეთანხმება იყო სააკაშვილთან. ეს ის დროა, როდესაც მას ვხვდებოდი. მე არ ვმალავ, რომ მასთან ახლო ურთიერთობა მქონდა და ბევრ რაღაცაზე რჩევასაც ვაძლევდი. უეცრად, როდესაც ფუნდამენტის გათხრა დავიწყეთ, მირეკავს სააკაშვილი და მეუბნება, რომ ეს არ გამოვა. რატომ არ გამოვა და ბენდუქიძე, მისი ეკონომიკური მრჩეველი მეუბნება, ეს რომ უფასო გაკეთდეს, მაშინ რა გვეშველება ჩვენ 100 თუ 150 საავადმყოფოს ვაშენებთო. რა თქმა უნდა, კერძო საავადმყოფოები უნდა იყოს, მარტო უფასო საავადმყოფოებით ვერ იარსებებს ქვეყანა და უნდა იყოს არჩევანი, მაგრამ აუცილებელია იყოს უფასო საავადმყოფოც”,** – განაცხადა ივანიშვილმა.

მისივე თქმით, მარტო რესპუბლიკურს არ აშენებდა და მას საქართველოს მასშტაბით 14 საავადმყოფოს მშენებლობა ჩაუშალეს.

ISSN 1987-8966 “ილორი”
9 771987 896009
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 მე-4 სართული
სარეგ. №01018002930
234-32-95

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
სარედაქციო საბჭო: თემურ ქორიძე, ზურაბ ჯამბურია, თენგიზ კუბლაშვილი, კლიმენტი შელია, გივი სომხიშვილი, ანზორ შონია, დავით ქობალია, გიორგი სიჭინავა, ნუგზარ სალაყაია (გალი)
ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოდრიშვილი
გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ქობალია 599-34-37-27

გაზეთ “ილორის” გაცნობა შეგიძლიათ “საქინფორმის” ვებგვერდზე
WWW.saqinform.ge